

**სისხლის სამართალი**  
**ზოგადი და კარძო ნაირუბი**

**სისხლის სამართლის პროცესი**  
**ზოგადი და კარძო ნაირუბი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2023, №4-6

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2023, №4-6

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2023, №4-6

**Решения Верховного Суда Грузии  
по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2023, №4-6

გადაწყვეტილების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**რუსულან ჭანტურიძე**

**ტექნიკური რედაქტორი  
მარიკა გალალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:**

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოსიუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## საქოპელი

### სისხლის სამართლი

#### ზოგადი ნაწილი

##### 1. სასჯელის დანიშვნა

განაჩენით დანიშული სასჯელის შემსუბუქება შეზღუდული შერაცხადობის გათვალისწინებით .....	5
განაჩენით დანიშნული სასჯელის გამკაცრება ..... 19; 32; 40	
ბრალის აღიარება მხოლოდ სასამართლო გამოძიების ბოლო ეტაპზე ვერ იქნება მიჩნეული გამოძიებასთან თანამშრომლობად საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებისათვის .....	46
საქართველოს სსკ-ის 53 <sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის გამოყენება საქართველოს სსკ-ის 381 <sup>1-ე</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო გამოიწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმართლებელ დამძიმებას .....	52

##### 2. ამნისტია, შენყალება, ნასამართლობა

ამნისტია .....	61
----------------	----

#### კერძო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ იძულება ოჯახის წევრის მიმართ .....	66
-------------------------------------------------------------------------	----

### სისხლის სამართლის პროცესი

#### ზოგადი ნაწილი

მტკიცებულება ნივთიერი მტკიცებულების საპროცესო კონფისკაცია .....	76
--------------------------------------------------------------------	----

#### კერძო ნაწილი

##### 1. კასაცია

საკასაციო განაჩენი	
გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტკუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქებუნქტით .....	84

განაჩენში ცვლილების შეტანა და ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 <sup>1</sup> , 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან (დამაშვილისათვის წინასწარი შეცნობით უმნეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ,) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის	
11 <sup>1</sup> , 126-ე მუხლის 1 <sup>2</sup> ნაწილზე .....	104
განაჩენში ცვლილების შეტანა და სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნარდგენილ ბრალდებაში .....	112
განაჩენში ცვლილების შეტანა და ქმედების გადაკვალიფიცირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანებიდან (სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე – ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება .....	122
განაჩენის უცვლელად დატოვება (სსკ-ის 116-ე მუხლი) .....	134
განაჩენის უცვლელად დატოვება (სსკ-ის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) .....	150
სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება .....	161
<b>2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასიცვის ცესი</b>	
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე მუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის მითითება – დაუშვას შუამდგომლობა .....	169

# სისხლის სამართალი

## ზოგადი ნაწილი

### 1. სასჯელის დანიშვნა

განაჩენით დანიშვნის სასჯელის პამსუხურება  
შეზღუდული შერაცხადობის გათვალისწინებით

#### განაჩენი საქართველოს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. გაბინაშვილი,  
მ. ვასაძე

№42აპ-23

30 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ა-ს ინტერესების დამცველი ადგომატის – ი. შ-სა საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ვ. ა-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 19,109-ე მუხლის მე-2 ხაზილის „ბ“ ქვეპუნქტით (24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანამაულები.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ვ. ა-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2021 წლის 4 მარტს, ქ. ბ. პენიტენციური დაწესებულების №... საკანში მოთავსებული იყენებ: ვ. ა., ნ. ქ-ი და ვ. ლ-ე. დაახლოებით 10:10 წუთზე, ვ. ა-მ მძინარე თანასაკნელ ნ. ქ-ს, რომელსაც არ ჰქონდა თავის დაცვის შესაძლებლობა, განზრახ მკვლელობის მიზნით, საკანში არსებული ორი ლიტრი ტევადობის, მარილით სავსე პოლიეთოლენის ბოთლის თავში მრავალჯერადი დარტყმით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, კერძოდ, ქალას ფუძის მოტეხილობა და ქალას სარქველის ძვლების

ტრავმული დაზიანება (მარჯვენა თხემის ძვლის მრავალფრაგმენტოვანი და იმპრესიული მოტეხილობა; მარჯვენა საფეთქლის ძვლის პირამიდის დამსხვრეული მოტეხილობა, მოტეხილობის ხაზის გადასვლით საფეთქლის ძვლის ქიცვზე და სფენოიდური წიალის კედლებზე); სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევით და სუბდურული ჰემატომით. მიყენებული დაზიანებების შედეგად ნ. ქ-მა დაკარგა გონება, რითაც კვლავ ისარგებლა ვ. ა-მ და თანაქონი მჭრელი თვისებების მქონე საგნით განაგრძო ნ. ქ-ისათვის დაზიანებების მიყენება თავისა და კისრის მიდამოში მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობების სახით, რის შედეგადაც ნ. ქ-მა მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, მარჯვენა ლოყის მიდამოს, ყბისქვეშა მიდამოს, კისრის მიდამოზე უკანა ზედაპირზე არსებული ჭრილობა, კისრის მიდამოს გარეთა საულელ ვენის დაზიანებით, ხოლო მარჯვენა საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის მიდამოს ჭრილობის, მარჯვენა ლოყის მიდამოში ნაკვეთი ჭრილობების, მიმართული მარჯვენა ქვედა ყბის კუთხის მიდამოსკენ გადასვლით კისერზე, მარცხნივ ყურის ნიუანის ორივე მხარეს მრავლობითი მცირე ზომის ჭრილობების, ყურის დაფის აპკის ტრავმული გასკვდომის და გარეთა სასმენი ხვრელის ზედა კედელზე სისხლნაჟღენთების სახით, მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ნ. ქ-ი მდგომარეობა შეფასდა რა სიცოცხლისთვის სახიფათოდ, იგი გადაიყვანება ბათუმის სამედიცინო ცენტრში, სადაც ექიმთა ძალისხმევის შედეგად დღეის მდგომარეობით მოხერხდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება და გრძელდება მკურნალობა;

2.2. ქ. ბ-ში პენიტენციურ დაწესებულებაში №.. დეესკალაციის ოთახში მოთავსებული ბრალდებული ვ. ა., 2021 წლის 4 მარტს, გამოყვანილი იყო საგამოძიებო ოთახში დისტანციურ სასამართლო პროცესში მონაბილეობის მისაღებად. პროცესის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 18:27 საათზე, როდესაც ვ. ა. ბრუნდებოდა დეესკალაციის ოთახში, პირველი სართულის დერეფანში გადაადგილებისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ხ. ყ-ს. კერძოდ, ხელი დაარტყა სახეში, რა დროსაც ამ უკანასახელმა მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუმღელად, მარცხენა წარბის არეში ნახეთქი ჭრილობის სახით;

2.3. მსჯავრდებული ვ. ა., რომელიც მოთავსებული იყო ქ. ბ-ში, მდებარე №... პენიტენციურ დაწესებულებაში, ამავე დაწესებულების №-ე საკანში 2020 წლის 19 თებერვალს ინახავდა აკრძალულ ორ ცალ საგანს – დაშლილი მექანიკური საპარსის („ბიგი“) მოწყობილობის კომპონენტებისგან გადაკეთების შედეგად კუსტარულად დამზადებულ ბასრი ნაწიბურის მქონე და მჩხვლეტავი თვისების მქონე კუსტარულად დამზადებულ საგნებს, რაც 2020 წლის 19 თე-

ბერვალს დაახლოებით 12:38 საათზე, თანამშრომლების მიერ №-ე საკის არაგეგმიური შემოწმება-დათვალიერებისას აღმოაჩინეს თანამშრომლებმა;

2.4. მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულმა ვ. ა-მ, რომელიც მოთავსებული იყო ქ. ბ-ში პენიტენციურ დაწესებულებაში, 2020 წლის 27 ივნისს, ამავე დაწესებულების №-ე საკანში ინახავდა აკრძალულ საგანს – მექანიკური საპარსი მოწყობილობის დაშლის შედეგად განცალკევებულ, ბასრი ნაწიბურის მქონე კომპონენტს, რაც აღმოაჩინეს 2020 წლის 27 ივნისს, დაახლოებით 13:24 საათზე, დაწესებულების თანამშრომლების მიერ ვ. ა-ს პირადი ნივთების შემოწმებისას;

2.5. ბრალდებული ვ. ა., რომელიც მოთავსებული იყო ქ. ბ-ში, მდებარე №..ე პენიტენციურ დაწესებულებაში, 2020 წლის 17 ივლისს ამავე დაწესებულების №..ე საკანში ინახავდა აკრძალულ – მჩხვლეტავი თვისების მქონე კუსტარულად დამზადებულ საგანს, რაც აღმოაჩინეს 2020 წლის 17 ივლისს დაახლოებით 17:02 საათზე, დაწესებულების თანამშრომლების მიერ საკის შემოწმება-დათვალიერებისას;

2.6. ბრალდებული ვ. ა-მ, რომელიც მოთავსებული იყო ქ. ბ-ში პენიტენციურ დაწესებულებაში, 2021 წლის 1 იანვარს ამავე დაწესებულების №-ე საკანში ინახავდა აკრძალულ საგანს – ერთჯერადი საპარი დანადგარის დაშლილ, განცალკევებულ შემადგენელ ნანილს, ლითონის ფრაგმენტს, მჭრელი – ბასრი საგნისათვის დამასასიათებელი თვისებებით, რაც აღმოაჩინეს 2021 წლის 1 იანვარს, დაახლოებით 17:21 საათზე, დაწესებულების თანამშრომლების მიერ ვ. ა-ს პირადი ნივთების შემოწმებისას.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 ივლისის განაჩენით: ვ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს საკის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მესამე ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1. საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მესამე ნაწილით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.3. საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (2020 წლის 19 თებერვლის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით

(2020 წლის 27 ივნისის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა;

3.5. საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით  
(2020 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა;

3.6. საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით  
(2021 წლის 1 იანვრის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვე-  
თა;

3.7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძ-  
ველზე, უფრო მეტაცრმა სასჯელმა შთანთქმა სხვა სასჯელები და  
საბოლოოდ ვ. ა-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ  
და ზომად განესაზღვრა – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.8. ვ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის  
გამოცხადებიდან – 2022 წლის 27 ივლისიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავ-  
რდებულ ვ. ა-ს ინტერესების დამცველმა ადგომატმა ი. შ-მ, რო-  
მელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის  
გაუქმება და ვ. ა-ს გამართლება მსჯავრად შერაცხულ ყველა ეპი-  
ზოდში.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის  
განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 ივლი-  
სის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წე-  
სით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ვ. ა-ს ინტერესების დამცველმა ად-  
გომატმა ი. შ-მ და მოითხოვა ვ. ა-ს მიმართ გამამართლებელი განა-  
ჩენის დადგენა მსჯავრად შერაცხულ ყველა ეპიზოდში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქ-  
მის მასალები, შეამონება დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთ-  
ხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ  
უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება შემ-  
დეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სისხლის  
სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს  
სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩი-  
ვარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. დაც-  
ვის მხარე ითხოვს ვ. ა-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული დანაშაუ-  
ლების ყველა ეპიზოდში გამართლებას. დაცვის მხარის განმარტე-  
ბით, სასამართლომ არ დაადგინა საქართველოს სსკ-ის 19,109-ე

მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მოტივი, რომლის დადგენასაც აქვს ფუნდამენტური და გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინადან მოტივის არ არსებობის პირობებში ვ. ა-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ განზრას მკვლელობის მცდელობად; ვ. ა-ს ბრალდება წარედგინა მხოლოდ საკანში არსებული ვიდეოჩანანერის საფუძველზე. სადაც უტყუარად არ არის დადგენილი 6. ქ-ის მიმართ განხორციელებული ქმედების ჩამდენი რეალურად იყო თუ არა ვ. ა.; 6. ქ-ი იყო თუ არა მძინარე ან უმწეო მდგომარეობაში.

3. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივრშია ჩამოყალიბებული. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულია იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებმაც ვ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) მსჯავრდება განაჩირობა. გასაჩივრებულ განაჩენში დეტალური მსჯელობაა წარმოდგენილი, მათ შორის, დაცვის მხარის ყველა ძირითად არგუმენტზე, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს. შესაბამისად, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩინია გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული იმ არგუმენტების გამეორება, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

5. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ვ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრდების (24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია) ნაწილში და მიაჩინია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: მოწმეების: მ. ი-ის, რ. ბ-ის, ე. ი-ის, ზ. ი-ის ჩვენებებით, მხარეთა მიერ უდავოდ ცონბილი ს. გ-ის, თ. გ-ის, გ. მ-ის, ლ. ა-ის, ი. ქ-ის, ე. დ-ის გამოკითხვის ოქმებით, 2021

წლის 12 მარტის ვიდეოთვალის ჩანაწერის დათვალიერების ოქმით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 15 მარტის №.... ექსპერტიზის დასკვნით და სხვა მტკიცებულებებით) დასტურდება, რომ ვ. ა-მ 2021 წლის 4 მარტს, №- პენიტენციური დაწესებულებაში, №-ე საკანში, დაახლოებით 10:10 საათზე მძინარე თანასაკნელ ნ. ქ-ს, რომელსაც არ ჰქონდა თავის დაცვის შესაძლებლობა, განზრას მკვლელობის მიზნით, საკანში არსებული ორი ლიტრი ტევადობის, მარილით სავსე პოლიეთოლენის ბოთლის თავში მრავალჯერადი დარტყმით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები. შიყენებული დაზიანებების შედეგად ნ. ქ-მა დაკარგა გონება, რითაც კვლავ ისარგებლა ვ. ა-მ და თანნაქონი მჭრელი თვისებების მქონე საგნით განაგრძო ნ. ქ-ისთვის დაზიანებების მიყენება თავისა და კისრის მიდამოში მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობების სახით, რის შედეგადაც ნ. ქ-მა მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები, მარჯვენა ლოყის მიდამოს, ყბისქვეშა მიდამოს, კისრის მიდამოზე უკანა ზედაპირზე არსებული ჭრილობა, კისრის მიდამოს გარეთა საუღლე ვერის დაზიანებით, ხოლო მარჯვენა საფეხქელ-ქვედა ყბის სახსრის მიდამოს ჭრილობის, მარჯვენა ლოყის მიდამოში ნაკვეთი ჭრილობების, მიმართული მარჯვენა ქვედა ყბის კუთხის მიდამოსკენ გადასვლით კისერზე, მარცხნივ ყურის ნიუანის ორივე მხარეს მრავლობითი მცირე ზომის ჭრილობების, ყურის დაფის აპკის ტრაგმული გასკდომის და გარეთა სასმენი ხერელის ზედა კედელზე სისხლნაშენობების სახით, მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

6. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ ვ. ა-ს ქმედებაში არ იკეთება საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, დანაშაულის მოტივის დაუდგენლობის გამო კი მის მიერ ჩადენილია მკვლელობის მცდელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით (ან სხვა დანაშაული, რომელიც არ არის დაკავშირებული განზრას მკვლელობის მცდელობასთან დამამძიმებელ გარემოებებში); ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ თითქოსდა საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ნ. ქ-სათვის დაზიანებების მიმყენებელი პირი ვ. ა.ა, ხოლო დაზიანების მიყენების მომენტში ნ. ქ-ს ეძინა და იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში.

7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა №- პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა: მ. ი-მ, რ. ბ-ემ, ე. ი-ემ და ზ. ი-ემ დაადასტურეს, რომ 2021 წლის 4 მარტის მდგომარეობით №-ე სა-

კანში განთავსებული იყვნენ მსჯავრდებულები: ვ. ა., ვ. ლ-ე და ნ. ქ-ი.

8. მხარეთა მიერ უდაცოდ ცნობილი №-ე საკნის ვიდეოთვალის 2021 წლის 10 მარტის ჩანაწერითა და 2021 წლის 12 მარტის ვიდეოთვალის ჩანაწერის დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ

– 2021 წლის 4 მარტს 10:00 საათზე საკანში გამორთულია შუქი, თუმცა ვიდეოსათვალთვალო კამერა კარგად აფიქსირებს საკანში მიმდინარე მოვლენებს. კადრში ჩანს, რომ საკანში მოთავსებულია სამი მსჯავრდებული – ნ. ქ-ი, ვ. ლ-ე და ვ. ა.. ნ. ქ-ი და ვ. ლ-ე წვანან საწოლებში, გადაფარებული აქვთ საგარაუდოდ ზეწრები, მოსჩანს მხოლოდ თავები, ხოლო მსჯავრდებული ვ. ა. დგას ფეხზე, დადის საკანში, განუწყვეტლივ მოძრაობს...

– 10:09:40 საათზე ვ. ა. მიდის ნ. ქ-ის ლოგინის მიმართულებით. ხელში უჭირავს 2 ლიტრის ტევადობის ბოთლი, მასში მოთავსებული მოთეთრო ფერის მასით, რომელსაც მთელი ძალით უქნევს მძინარე ნ. ქ-ს და თავში არტყამს მარჯვენა მხარეს, კადრში ჩანს, როდესაც ვ. ა-მ დარტყმის შემდეგ ბოთლი ანია ზემოთ, ნ. ქ-მა თავი გამოწია ბალიშიდან, მაგრამ საწოლში შებრუნება ვერ მოასწორ, ვ. ა-მ ისევ მოუქნია ხელთ არსებული ბოთლი ქ-ს და ისევ დაარტყა თავში, რის შემდეგაც ვ. ა. გამეტებით ურტყამს ბოთლს ნ. ქ-ს თავში, რა დროსაც კადრში ჩანს, რომ ნ. ქ-ი საწოლში არხევს ფეხებს, შემდეგ ტრიალდება და წვება მუცელზე, რის შემდეგაც არანაირ მოძრაობას არ აკეთებს, ხოლო ვ. ა. ნ. ქ-ს ისევ ურტყამს ბოთლს თავში...

– 10:09:59 საათზე გაიღვიძა ვ. ლ-ემ და წამოწია ლოგინიდან თავი, რის შემდეგაც ვ. ა. ცხრაჯერ არტყამს ნ. ქ-ს თავში, როდესაც მასთან მიდის ვ. ლ-ე, ვ. ა-ს ხელიდან უვარდება ბოთლი...

– 10:11:31 საათზე კადრში ჩანს, რომ მას შემდეგ რაც ვ. ლ-ე მივიდა კართან და დაუძახა დაწესებულების თანამშრომლებს, ვ. ა. ტანთცმული ზედა სამოსის მარჯვენა ჯიბიდან იღებს რაღაც საგანს, ისევ მიდის ნ. ქ-თან, მარცხენა ხელს ადებს თავზე, ხოლო მარჯვენა ხელით აკეთებს სწრაფ მოძრაობებს და თანნაქონ საგანს ნ. ქ-ს ჩვიდმეტჯერ უსვამს კისრის არეში.

– 10:11:51 საათზე, ვ. ლ-ე ნ. ქ-ს გადახდის ზემოდან გადაფარებულ ზენარს, რა დროსაც ჩანს, რომ ნ. ქ-ი საწოლში წევს მუცელზე უგონო მდგომარეობაში...

– 10:11:54 საათზე კადრში ჩანს, რომ როდესაც ვ. ლ-ე აჯანჯლა-რებს ნ. ქ-ს და მცირე ხნით გაიხედება საკნის კარების მიმართულებით, ამ დროს ვ. ა. ისევ მიდის ნ. ქ-თან, მარცხენა ხელით უკავებს თავს, ხოლო მარჯვენა ხელში არსებულ საგანს ისევ სწრაფად უსვამს კისრის მიდამოში...

– 10:12:05 საათზე ვ. ლ-ე ისევ აგრძელებს ნ. ქ-ის შეჯანჯღარებას, რა დროსაც ვ. ა. ისევ მიდის ნ. ქ-თან მარცხენა ხელს კიდებს თავში და მარჯვენა ხელთ არსებულ უცხო საგანს რამოდენიმე-ჯერ ურტყმის კისერში...

– 10:12:10 საათზე საკანში შედის სამართლებრივი რეზიმის გან-ყოფილების ინსპექტორი ე. დ-ე, რომელსაც მოჰყენება უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი ლ. ა-ე, ხოლო მათ უკან კართან იმყოფება სამართლებრივი რეზიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორი ი. ხ-ი, ამ დროს ვ. ლ-ე შორდება ნ. ქ-ის საწოლს, ხოლო ვ. ა. მცირე ხნით ჩერდება ნ. ქ-თან და აგრძელებს მარჯვენა ხელში არსებული საგნის კისრის მიდამოში ჩარტყმას, ხოლო რო-დესაც დაინახა საკანში შესული ე. დ-ე ამის შემდეგ ისიც შორდება ნ. ქ-ის საწოლს... რამდენიმე წამში (10:12:23), როდესაც ე. დ-ე მი-დის ნ. ქ-ის საწოლთან, ამ დროს ვ. ა. კვლავ დგას ქ-ის საწოლთან, მას მარცხენა ხელით უჭირავს ნ. ქ-ის თავი, ხოლო მარჯვენა ხელში არსებულ საგანს აშკარად და მკვეთრი მოძრაობით ქვემოდან ზე-მოთ კისერმი სამჯერ უსვამს ქ-ს. კადრში აშკარად ჩანს, რომ რო-დესაც ვ. ა-მ კისრის მიდამოში გამოუსვა თანაქონი საგანი ნ. ქ-ს მას უყურებს ე. დ-ე, ამ უკანასკნელმა არაფერი არ მოიმოქმედა და ხელი არ შეუშალა ვ. ა-ს, აღეკვეთა მისი ქმედება, სანამ ვ. ა-მ თა-ვად არ დაანება თავი ნ. ქ-ს.

9. აღნიშნული გარემოებები ასევე დასტურდება მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მოწმეთა – სპეციალური პენიტენციური სამსა-ხურის ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის სამმართვე-ლოს ინსპექტორების: ს. გ-ისა და თ. გ-ის გამოკითხვის ოქმებით. მოწმეებმა თანხვდენილად მიუთითეს, რომ 2021 წლის 4 მარტს 10:00 დან 18:00 საათამდე იყვნენ მორიგეები, დაახლოებით 10:11 შეხედეს მონიტორებს, რა დროსაც მათი ყურადღება მიიქცია №-ე საკანში მიმდინარე მოვლენებმა. გადიდებულ გამოსახულებაში და-ინახეს, რომ №-ე საკანში განთავსებული იყო სამი პატიმარი, კერ-ძოდ, ვ. ა., ვ. ლ-ე და ნ. ქ-ი. გადიდებულ კადრში დაინახეს, რომ ვ. ლ-ე აკავებდა და ამშვიდებდა ვ. ა-ს, რის შემდეგაც იგი წავიდა საკნის კარებისენ და სავარაუდოდ დაუძახა დანესებულების თანამშრომ-ლებს, რის შემდეგაც მობრუნდა და ნ. ქ-ს ხელებით დაუწყო შენ-ჯღრევა. ნ. ქ-ი ამ დროს იწვა თავის საწოლზე, რომელიც განთავსე-ბულია საკანში შესასვლელი კარებიდან ხელმარჯვნივ კედელთან. ასევე ვ. ა.ც მივიდა საწოლთან და თითქოსდა იგიც ცდილობდა ნ. ქ-ის მოსულიერებას. მალევე გაიღო საქნის კარები და შიგნით შე-ვიდნენ დანესებულების თანამშრომლები, ამავდროულად ვ. ა-მ, რომელსაც რაღაც საგანი ეკავა ხელში, ნ. ქ-ს ყელში რამოდენიმე-ჯერ გამოუსვა, თითქოსდა ყელს ჭრიდა. კონკრეტულად თუ რა სა-

განი ეკავა ხელში ვ. ა-ს კადრში ვერ გაარკვიეს, საკანში შესულმა დაწესებულების თანამშრომლებმა ვ. ა. განიერ გვერდზე. ეს უკანასკნელი კი შევიდა საპირფარეშოში, სადაც სავარაუდოდ დაიბანა ხელები, ვინაიდან იქიდან გამოსვლის შემდეგ ხელები შეიმშრალა კედელზე ჩამოკიდებული პირსახოცით. ასევე №-ე საკანთან მოვიდნენ დაწესებულების სხვა თანამშრომლები და მედპროსონალი. №-ე საკანში 10:11 საათამდე განვითარებული მოვლენები მოწმეებმა ნახეს ვიდეოჩანანერის უკან გადახვევისა და დათვალიერების შემდეგ, სადაც ასევე მიუთითეს ვ. ა-ზე, რომელმაც მძინარე 6. ქ-ს რამოდენიმეჯვრ თავში ჩაარტყა მოთეთრო ფერის პოლიეთოლენის ბოთლი, 6. ქ-ი თითქოს თავიდან ცდილობს წამოდგომას, ასევე რამოდენიმეჯვრ შეარხეს ფეხებს, რის შემდეგაც ხდება უმოძრაო, სავარაუდო გონებას კარგავს. მიუხედავად ამისა ვ. ა. აგრძელებს ბოთლის თავში დარტყმას. ამ დროს ელვიძება ვ. ლ-ეს, რომელიც დგება საწოლიდან და ცდილობს ვ. ა-ს შეკავებას და დაწყნარებას, რის შემდეგაც ეძახის დაწესებულების თანამშრომლებს.

10. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის №610აპ-22 განჩინება).

11. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 15 მარტის №... ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ წარმოდგენილი შპს ბ-ს სამედიცინო ცენტრის სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი №-ის ქსეროასლის ჩანაწერების მიხედვით, 6. ქ-ი მიღებულ ტრამებითან დაკავშირებით კლინიკაში მიყვანილია 04.03.2021 წელს 10:40 სთხე. წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, 6. ქ-ს აღნიშნება: ქალას ფუძის მოტეხილობა და ქალას სარქველის ძვლების ტრავმული დაზიანება (მარჯვენა თხემის ძვლის მრავალფრაგმენტოვანი და იმპრესიული მოტეხილობა; მარჯვენა საფეთქლის ძვლის პირამიდის დამსხვრეული მოტეხილობა. მოტეხილობის ხაზის გადასვლით საფეთქლის ძვლის ქიცვზე და სფენორიდური წიალის კედლებზე); სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა და სუბდურული ჰემატომა; მარჯვენა საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის მიდა-

მოს, მარჯვენა ლოყის მიდამოს, ყბისქვეშა მიდამოს, კისრის უკანა ზედაპირზე ჭრილობა; მარჯვენა ლოყის მიდამოში ნაკვეთი ჭრილობები, მიმართული მარჯვენა ქვედა ყბის კუთხის მიდამოსკენ გადასვლით კისერზე; მარცხნივ ყურის ნიჟარის ორივე მხარეს მრავლობითი მცირე ზომის ჭრილობები; გარეთა სასმენი ხვრელის ზედა ედელზე სისხლნაუღლენთები; დაფის აპის ტრამვული გასკდომა. მარჯვენა ლოყის მიდამოში (მიმართული მარჯვენა ქვედა ყბის კუთხის მიდამოსკენ გადასვლით კისერზე) არსებული ნაკვეთი ჭრილობები განვითარებულია რამე მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით, სხვა ზემოაღნიშნული ჭრილობის მიმყენებელი საგნის განსაზღვრა შეუძლებელია წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არასრულად აღნერილი მორფოლოგიური სურათის გამო. ჭრილობების მიმართულება და სილრმე არ არის აღნერილი წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში. ქალას ფუძის მოტეხილობა, ქალას სარქველის ძვლების ტრამვული დაზინება, სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, სუბდურული ჰემატომა, გარეთა სასმენი ხვრელის ზედა ედლის სისხლნაუღლენთები, დაფის აპის ტრამვული გასკდომა განვითარებულია რამე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით. დაზიანებები ერთობლიობაში მიეკუთვნებიან მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს.

12. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ვ. ა-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ხერხით და საშუალებით, დაზიანებათა რაოდენობით, ხასიათით, ლოკალიზაციით, მიყენების ვითარებით დგინდება ვ. ა-ს განზრახვა – მისი ქმედებები მიმართული იყო დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ; დადასტურებულია ფაქტობრივად განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ((24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია) – წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირებისთვის, სისხლის სამართლის საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს რომ დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს ადამიანის უმწეო მდგომარეობაში ყოფნა და აქედან გამომდინარე მის მიერ წინააღმდეგობის განევის შეუძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ვიდეოჩანანერითა და მისი დათვალიერების ოქმით, მონმეთა ჩვენებებით) დგინდება, რომ ვ. ა-ს დანაშაულებრივი ქმე-

დების ჩადენის დაწყებისას გაცნობიერებული ჰქონდა 6. ქ-ის ფიზიკური უმნეობის მდგომარეობა, ვინაიდან დგინდება, რომ დაზარალებულს 10:10 საათზე ეძინა.

14. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მსჯავრდებულ ვ. ა-ს მიერ მისთვის საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია) შერაცხული ქმედების ჩადენა.

15. ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მართალია, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს ვ. ა-ს გამართლება მისთვის მსჯავრად შერაცხულ ყველა ეპიზოდში, თუმცა საჩივრის სამოტივაციო ნაწილში დაცვის მხარე მსჯელობს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მსჯავრდებაზე. საჩივარში არაფერია ნათქვამი თუ რატომ არ ეთანხმება დაცვის მხარე საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) გათვალისწინებულ მსჯავრდებას. შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და ვერ პასუხობს საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

15.1. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ვ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (მათ შორის: ხ. ყ-ის, ზ. ი-ის, დ. დ-ის გამოკითხვის ოქმები, ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის ... №... ექსპერტიზის დასკვნა, ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმი, ოქმი აკრძალული საგნის აღმოჩენის შესახებ, ინფორმაციული პატაკი, მოწმეების გ. ყ-ის, ჯ. ბ-ის, ბ. კ-ის, მ. თ-ისა და ნ.- შ-ის გამოკითხვის ოქმები, ოქმი აკრძალული საგნების ჩამონათვალის ვ. ა-სათვის გაცნობის შესახებ, საგნის დათვალიერების ოქმი, ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმი, ტრასოლოგიური ექსპერტიზის №..., №..., №... და №... დასკვნები, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებები და სხვა მტკიცებულებები), ასევე საქმის არსებითი განხილვისას მოწმის სახით დაკითხული ზ. ი-ის ჩვენება, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებენ, რომ ვ. ა-მ ჩაიდინა მსჯავრად შერაცხული საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლით (ოთხი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულები.

16. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვ. ა-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შესაბამისი მუხლების სანქციით დადგენილი მაქსიმალური სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (24.05.2022 წლამდე მოქმედი რედაქცია) – 17 წელი; საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 8 წელი; საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) – 3 წელი.

17. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის მასალებში წარმოდგენილ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №... დასკვნას, რომლის თანახმად, ვ. ა-ს დაუდგინდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა – ემოციურად არამდგრადი პერსონალური აშლილობა (კოდი – №... დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით) მიდრეკილებით დეკომპენსაციებისადმი. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს – 2021 წლის 4 მარტს დაახლოებით 10:10 საათზე, 2021 წლის 4 მარტს დაახლოებით 18:27 საათზე, 2021 წლის 1 იანვარს დაახლოებით 17:21 საათზე და 2020 წლის 27 ივნისს დაახლოებით 13:24 საათზე – ვ. ა. ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, ფსიქიკის დროებითი აშლილობით ან ჭკუასუსტობით დაავადებული არ იყო, მას აღნინიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა – ემოციურად არამდგრადი პერსონალური აშლილობა, მიღრეკილებით დეკომპენსაციებისადმი და მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). თავისი ფსიქიკური მდგომარეობით ვ. ა-ს შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას, მისცეს ჩევნება და მონანილეობა მიიღოს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაში. ვ. ა-ს აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. ვ. ა. იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, დაავადებული არ არის. ვ. ა-ს აქვს ფსიქიკური ნაკლი, რომელიც ხელს უშლის საკუთარი თავის დაცვის განხორციელებას. ვ. ა. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით იძულებით მურნალობას, ან არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას არ საჭიროებს.

18. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 35-

ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის-გან არ თავისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული სერაცხადობის მდგომარეობაში. იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეზღუდულ შერაცხადობას სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს. სააპელაციო სასამართლომ სსენებული გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღო და მსჯავრდებულს განუსაზღვრა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით (24.05.2022-მდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა მაქსიმალური ხანგრძლივობით.

19. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მასში გამოვლენილ მართსანინაალმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსანინაალმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, ყოფაქცევას ქმედების ჩადენის შემდეგ, საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების დანაწესებსა და საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას, იმ გარემოებას და მიზანშენობილად მიაჩინა ვ. ა-ს შეზღუდული შერაცხადობის, საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენში ვ. ა-სათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების მიმართულებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ვ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. შ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკავშირდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ვ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 16 წლისა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

4. ვ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადე-

ნისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ვ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (2020 წლის 19 თებერვლის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. ვ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (2020 წლის 27 ივნისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. ვ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (2020 წლის 17 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

8. ვ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 378<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (2021 წლის 1 იანვრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

9. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მყაცრმა სასჯელმა შთანთქას სხვა სასჯელები და საბოლოოდ ვ. ა-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 16 წლითა და 6 თვით;

10. ვ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან – 2022 წლის 27 ივლისიდან.

11. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განაჩენით დანიშნული სასჯელის გამპაცრება

### განაჩენი საქართველოს სახელით

№44აპ-23

16 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
ლ. ფაფუაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განხილა ბათუმის რაიონული პრო-  
კურატურის პროკურორ ზურა ბაიდოშვილის საკასაციო საჩივარი  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-  
თა პალატის 2022 წლის 4 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წე-  
სით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ-  
მა ზურა ბაიდოშვილმა, რომელიც ითხოვს განაჩენის შეცვლასა და  
დ. ჩ-სათვის უფრო მკაფიო სასჯელის განსაზღვრას, თავისუფლე-  
ბის აღკვეთის სახით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ შეფარდებული სას-  
ჯელი შეუსაბამოა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების ხა-  
სიათსა და მის პიროვნებასთან. კასატორი მიუთითებს, რომ დ. ჩ-ს  
ქმედებაში გამოკვეთილია 12 დაანაბულებრივი ეპიზოდი, ამასთან,  
დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანი არ არის ანაზღაურე-  
ბული. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯე-  
ლის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავი-  
დან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. საქართველოს სა-  
კოსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივნისის №1/7/851 გა-  
დაწყვეტილების მიხედვით, აღნიშნული მიზნების მისაღწევად  
უდიდეს როლს თამაშობს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინ-  
ციპი. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სას-  
ჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება  
სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის  
პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტი-  
აა [...] სასჯელის ზომის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურად-  
ღება უნდა მიექცეს დამნაშავის პერსონალურ ბრალს, სამართლებ-

რივი სიკეთის დაზიანების ხარისხს, პირის გამოსწორების შესაძლებლობას და, ამავე დროს, საზოგადოების ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. გადაწყვეტილების სამართლიანობა შინაარსობრივად გულისხმობს შეფარდებული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობას. მხოლოდ ის გარემოება, რომ განსაზღვრული სასჯელი დანაშაულის სანქციის ფარგლებშია a priori არ შიუთითებს მის სამართლიანობაზე.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 ივნისის განაჩენით დ. ჩ. – დაბადებული 19..., – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ რ. ც-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ბ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ე. გ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „...“ ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ 2022 წლის 16 თებერვლის ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; (შპს „....“ 2022 წლის 17 თებერვლის ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. კ-ს 2022 წლის 16 თებერვლის ეპიზოდი) ჯარიმა 5000 – ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის

მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ მ. კ-ს 2022 წლის 17 თებერვლის ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ თ. გ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანხმიდან გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენითა და 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით დადგენილი პირობითი მსჯავრი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და დ. ჩ-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების და ჯარიმა – 10000 ლარი. მასვე, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი. დ. ჩ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელი აეთვალა – 2022 წლის 11 აპრილიდან.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ჩ-მ ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსანინაალმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის (12 ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

3.1. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 13 თებერვალს, დაახლოებით 18:30 საათზე, ...მდებარე მობილური ტელეფონების მაღაზიის მესაკუთრე რ. ც. მოატყუა, რომ სურდა ოთხი მობილური ტელეფონის შეძენა პოლონელი ტურისტებისა და თავისი შვილებისათვის. დ. ჩ-მ იმ განზრაცვით, რომ მართლსანინაალმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა რ. ც-ს კუთვნილ ორ „აიფონ 11-ის“ ფირმის და ორ „ესიაომი რედმი 9ა-ს“ ფირმის მობილურ ტელეფონს, მოატყუა და აჩვენა თავის მობილურ ტელეფონში არსებული თანხის გადარიცხვის დასტურის ე.წ. „სქრინშოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა მობილური ტელეფონების საფასურის გადარიცხვა რ. ც-ს საბანკო ანგარიშზე, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსანინაალმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა რ. ც-ს კუთვნილ ორ „აიფონ 11-ის“

ფირმის და ორ „ქსიაომი რედმი 9ა-ს“ ფირმის მობილურ ტელეფონს.  
დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით რ. (ც-ს მიადგა – 2250 ლარის  
მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი).

3.2. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ.  
ჩ-მ 2022 წლის 13 თებერვალს, დაახლოებით 13:30 საათზე, .... მდე-  
ბარე სავაჭრო ცენტრ „შპს ...“ მდებარე მობილური ტელეფონების  
მაღაზიის მფლობელ – ი. ბ-ს უთხრა, რომ სურდა სამი მობილური  
ტელეფონისა და სამი ყურსასმენის ყიდვა. დ. ჩ-მ იმ განზრახვით,  
რომ მართლასაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა  
ი. ბ-ს კუთვნილ ნივთებს, მოატყუა და აჩვენა თავის მობილურ ტე-  
ლეფონში არსებული თანხის გადარიცხვის დასტურის ე.წ. „სქრინ-  
შოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა მობილური ტე-  
ლეფონებისა და ყურსასმენების საფასურის გადარიცხვა ი. ბ-ს სა-  
ბანეო ანგარიშზე, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლასაწინააღ-  
მდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა ი. ბ-ს კუთვნილ ორ „სამ-  
სუნგ ა-32-ის“ ფირმის მობილურ ტელეფონს, ერთ „სამსუნგ ა22-ის“  
ფირმის მობილურ ტელეფონსა და სამ „Y47-ის“ ფირმის ყურ-  
სასმენს. დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით ი. ბ-ს მიადგა – 2120  
ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.3. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ.  
ჩ-მ 2022 წლის 6 აპრილს, დაახლოებით 12:20 საათზე, .... მიმდება-  
რე ტერიტორიაზე, ე. გ. მოატყუა, რომ თ-დან ჩამოუტანდა ხელის  
სახნავსა და ჭურჭლის სარეცხ მანქანას. დ. ჩ-მ იმ განზრახვით, რომ  
მართლასაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ე. გ-  
ს კუთვნილ – 900 ლარს, მოტყუებით, რომ თითქოსდა, ხსენებული  
თანხა საჭირო იყო ნივთების საზღვარზე განბაჟებისათვის, მარ-  
თლასაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა დაზარალე-  
ბულის კუთვნილ – 900 ლარს, რის შედეგადაც, ე. გ-ს მიადგა 900  
ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

3.4. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამარ-  
თლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ.  
ჩ-მ 2022 წლის 6 აპრილს, ..., ძველი სავაჭრო ცენტრის მიმდებარე  
ტერიტორიაზე, ბ. ნ-ს მოატყუა და დაპირდა, რომ თ-დან ჩამოუ-  
ტანდა ხელის სახნავს, ტელევიზორს, მაცივარს, ტანსაცმლის სა-  
რეცხ მანქანას, ორ გაზქურას, ორ ნოუთბუქს, მობილურ ტელე-  
ფონს, მტვერსასრუტს, ვიდეოთვალს, ავტომობილისა და ჭურჭლის

სარეცხვა მანქანებს, ხოლო ხსენებული ნივთების თითქოსდა, საზღვარზე განპატივისთვის დაზარალებულს მოსთხოვა – 8098 ლარი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაეუფლა, რის შედეგადაც, ბ. ნ-ს მიადგა – 8098 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.5. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 13 თებერვალს, დაახლოებით 16:29 საათზე, .... მდებარე ელექტრონული ტექნიკის მაღაზია შპს „....“, იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მაღაზიის კუთვნილ „სქაიტექის“ ფირმის ტელევიზორს, „ეისერის“ ფირმის ლეპტოპსა და „ქსიაომი რედმი 9ა-ს“ ფირმის მობილურ ტელეფონს, მოატყუა მაღაზიის თანამშრომელი და აჩვენა თანხის გადარიცხვის დასტურის ე.წ. „სქრინმოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა ელექტრონული ტექნიკის საფასურის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა შპს „....“ კუთვნილ „სქაიტექის“ ფირმის ტელევიზორს, „ეისერის“ ფირმის ლეპტოპსა და „ქსიაომი რედმი 9ა-ს“ ფირმის მობილურ ტელეფონს. დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით შპს „....“ მიადგა – 1401 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.6. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 17:30 საათზე, .... მდებარე შპს „....“ კუთვნილ ელექტრონული ტექნიკის მაღაზია „....“, იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მაღაზიის კუთვნილ ორ „ჰუნდაის“ ფირმის მაცივარს და ორ „ტოშიბას“ ფირმის ტელევიზორს, მოატყუა მაღაზიის მენეჯერი ო. გ., აჩვენა თანხის გადარიცხვის დასტური, ე.წ. „სქრინმოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა ელექტრონული ტექნიკის საფასურის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა შპს „....“ კუთვნილ ორ „ჰუნდაის“ ფირმის მაცივარსა და ორ „ტოშიბას“ ფირმის ტელევიზორს. დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით შპს „....“ მიადგა – 4296 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.7. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ.

ჩ-მ 2022 წლის 17 თებერვალს, დაახლოებით 10:15 საათზე, ... მდებარე შპს „...“ კუთვნილ ელექტრონული ტექნიკის მაღაზია „...“, იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მაღაზის კუთვნილ სამ „ტოშიბას“ ფირმის ტელევიზორსა და ერთ „სამსუნგის“ ფირმის პლანშეტს, მოატყუა მაღაზის მენეჯერი ო. გ. და აჩვენა თანხის გადარიცხვის დასტურის ე.წ. „სქრინშოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა ელექტრონული ტექნიკის საფასურის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა შპს „...“ კუთვნილ სამ „ტოშიბას“ ფირმის ტელევიზორსა და ერთ „სამსუნგის“ ფირმის პლანშეტს. დ.ჩ.-ს დანაშაულებრივი ქმედებით შპს „...“ მიადგა – 4176 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.8. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 16:30 საათზე, ... მდებარე შპს „...“ ელექტრონული ტექნიკის მაღაზია „...“, იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მაღაზის კუთვნილ ორ „...“ ფირმის სარეცხ მანქანასა და ორ „...“ ფირმის ტელევიზორს, მოატყუა მაღაზის თანამშრომლები, რომ ელექტრონული ტექნიკა ესაჭიროებოდა გასაქირავებელი ბინის მოსანყობად და აჩვენა თანხის გადარიცხვის დასტური, ე.წ. „სქრინშოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა ელექტრონული ტექნიკის საფასურის გადარიცხვა საბანკო ანგარიშზე, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა შპს „...“ კუთვნილ ორ „...“ ფირმის სარეცხ მანქანასა და ორ „...“ ფირმის ტელევიზორს. დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით შპს „...“ მიადგა – 4180 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.9. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 20:30 საათზე, ... მდებარე ელექტრონული ტექნიკის მაღაზია „...“ თანამშრომელი მ. ნ. მოატყუა, რომ სურდა ორი მობილური ტელეფონის შეძენა თავისი შვილებისთვის. იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მ. ე-ს მაღაზის კუთვნილ ორ „აიფონ 7-ის“ ფირმის მობილურ ტელეფონსა და მობილური ტელეფონის აქსესუარებს, დ. ჩ-მ მოატყუა მაღაზის თანამშრომელი და აჩვენა თანხის გადარიცხვის დასტური, ე.წ. „სქრინშოტი“, რომლი-

თაც, თითქოსდა, დასტურდებოდა ელექტრონული ტექნიკის საფასურის გადარიცხვა, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა მ. ე-ს კუთვნილ ორ „აიფონ 7-ის“ ფირმის მობილურ ტელეფონსა და მობილური ტელეფონის აქსესუარებს. დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით მ. ე-ს მიადგა – 850 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.10. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 16 თებერვალს, საღამოს საათებში, ... მდებარე მ. კ-ს ავეჯის მაღაზიდან, იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა დაზარალებულის კუთვნილ ავეჯს, მოატყუა იგი, რომ სასწრაფოდ უნდა შეეძინა ავეჯი, რათა გაეგზავნა კახეთში სატვირთო მანქანით. დ. ჩ-მ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, თითქოსდა, გადარიცხული ჰქონდა ავეჯის საფასური მ. კ-ს საბანკო ანგარიშზე, მოტყუებით დაეუფლა მის კუთვნილ, 3000 ლარად ლირებულ საწოლსა და მატრასს, ორ ტუმბოს, კარადასა და კომოდს. დ. ჩ-ის დანაშაულებრივი ქმედებით მ. კ-ს მიადგა – 3000 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.11. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 17 თებერვალს, დილის საათებში, ... მდებარე მ. კ-ს ავეჯის მაღაზიდან იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა დაზარალებულის კუთვნილ ავეჯს, მოიტყუა, რომ თავისი ნათესავისთვის უნდა შეეძინა ავეჯი, მაღაზის თანამშრომელს და აჩვენა თანხის გადარიცხვის დასტური, ე.ნ. „სქრინშოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა ავეჯის საფასურის გადარიცხვა, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა მ კ-ს კუთვნილ, 3300 ლარად ლირებულ ორ სავარძელს, ორ დივანსა და რვა ბალიშს. დ. ჩ-ს ქმედებით მ. კ-ს მიადგა – 3300 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3.12. 2020 წლის 21 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ 2022 წლის 23 მარტს, დაახლოებით 12:00 საათზე, .... მდებარე თ. გ-ს თეთრეულის მაღაზიდან იმ განზრახვით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა მაღაზის კუთვნილ „ბესტკლას“ ფირმის თეთრეულს, მოატყუა დაზარალებული

და აჩვენა თავის მობილურ ტელეფონში არსებული თანხის გადარიცხვის დასტური, ე.ნ. „სქრინშოტი“, რომლითაც, თითქოსდა, დასტურდებოდა თეთრეულის საფასურის ჩარიცხვა, რის შედეგადაც, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლა თ. გ-ს კუთვნილ – 1265 ლარად ღირებულ თეთრეულს. დ. ჩ-ს დანაშაულებრივი ქმედებით თ. გ-ს მიადგა – 1265 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზურა ბაიდოშვილმა, რომელიც ითხოვდა განაჩენის შეცვლასა და დ. ჩ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ნოემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და საკასაციო საჩივრის საფუძვლითნაბა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ: დაზარალებულების – თ. გ-ს, მ. ე-ს, რ. ც-ს, მ. კ-ს, მ-ს, ი. ბ-ს, ე. გ-ს, ბ. ნ-ს, ო. გ-ს, ს. შ-ს, მოწმეების – ზ. მ-ს, გ. შ-ს, თ. ნ-ს, ქ. კ-ს, მ. შ-ს, დ. გ-ს, გ. ა-ს, ზ. ც-ს, ს. მ-ს, მ. ნ-ს, გ. შ-ს, ზ. ქ-ს, მ-ს, ი. ხ-ს გამოკითხვის ოქმები, მობილური ტელეფონის, სასაქონლო ზედნადებისა და ქვითრების ამოღების ოქმები, ბანკებიდან ინფორმაციის გამოთხვის ოქმები, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილი, ფოტოსურათებით ამონობის ოქმები, რომლებიც, მსჯავრდებულის მიერ დანაშაულების აღიარების მხედველობაში მიღებით, გონივრულ ეჭვას მიღმა ადასტურებს, რომ დ. ჩ-ზა მადგილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის მსჯავრად შერაცხეული ქმედება – თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის (12 ეპიზოდი), რასაც არც მხარეები ხდიან სადაცოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის განსაზღვრულ სასჯელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე

მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლინაია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამზაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამზაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამზაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამზაშავის რესოციალიზაცია.

4. აღსანიშნავია, რომ დ. ჩ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით მსჯავრად შერაცხული ქმედება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვიდან ცხრა წლამდე.

5. საკასაციო სასამართლომ ინდივიდუალურად განიხილა, როგორც მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე – მსჯავრდებულის პიროვნება, ამასთან – შეაფასა ის გარემოება, თუ კონკრეტული სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა, რამდენად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე – ჯარიმა – არ შეესაბამება არც დ. ჩ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების ხასიათს და არც მის პიროვნებას. შეფარდებული სასჯელი არის ზედმეტად ლმობაერი და არ წარმოადგენს მსჯავრდებულზე ზემოქმედების იმ ფორმას, რომელსაც შეუძლია, უზრუნველყოს სასჯელის მიზნების რეალურად განხორციელება, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს რომ დ. ჩ-სათვის კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის შერჩევისას, სააპელაციო სასა-

მართლოს ყურადღების მიღმა დარჩა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი დამამდიმებელი გარემოება – პირობით მსჯავრდებულის მიერ ახალი განზრახი დანაშაულების ჩადენა, კერძოდ, მეტად საყურადღებოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დ. ჩ. საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელად განსაზღვრული ჰქონდა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, იმავე – 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით დ. ჩ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გაუნახევრდა ზემოაღნიშნული სასჯელი და განესაზღვრა – 1 წლითადა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საუფლებელზე ასევე ჩაეთვალა პირობითად, იმავე – 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით, ხოლო ჯარიმის ნაწილში, განაჩენი დარჩა უცვლელად. საქართველოს იუსტიციის საქმინისტროს სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – აჭარისა და გურიის პრობაციის ბიუროს წერილით დადგენილია, რომ დ. ჩ-ს საპრობაციო ვადა დაუსრულდებოდა – 2022 წლის 21 აპრილს და ამდენად, პირობით მსჯავრდებულმა დ. ჩ-მ ახალი განზრახი დანაშაულები ჩაიდინა სწორედ გამოსაცდელი ვადის პერიოდში – 2022 წლის 13 თებერვალს (სამი ეპიზოდი), 2022 წლის 15 თებერვალს, 2022 წლის 16 თებერვალს (სამი ეპიზოდი), 2022 წლის 17 თებერვალს (ორი ეპიზოდი), 2022 წლის 23 მარტსა და 2022 წლის 6 აპრილს (ორი ეპიზოდი). საკასაციო სასამართლო კვლავაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასჯელის შერჩევისას, პიროვნების დახასიათების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია სწორედ მისი კრიმინალური წარსული და მიაჩინა, რომ პირობითი მსჯავრის მოხდისას ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენა დიდიდილად უნდა ამცირებდეს დამნაშავის მიმართ მომავალში მსუბუქი სასჯელის გამოყე-

ნების შანსს. მოცემულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილმა ლმობიერებამ ვერ უზრუნველყო სასჯელის მიზანი, არამედ ნაახალისა დ. ჩ., ჩადგნა არაერთი ახალი განზრანი დანაშაული. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადგნილი დანაშაულების ხასიათთან მიმართებით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ დ. ჩ-ს ქმედებაში გამოკვეთილია დანაშაულთა სიმრავლე, ხოლო ცალკე აღებულ ყველა ეპიზოდში – ორ-ორი მაკვალიფიცირებელი გარემოება: რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და არაერთგზის, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დ. ჩ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს იდეალური ერთობლიობით, მაკვალიფიცირებელ გარემოებათა კუმულაცია (ცალსახად ნარმოადგენს ჩადგნილი ქმედებების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მათ საშიშროებას მნიშვნელოვნად ზრდის.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშნის ზოგადსავალდებულო გარემოებების, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (აღიარა ჩადგნილი დანაშაულები; უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას; მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთების ნაწილი ამოღებულია) და დამამძიმებელი (პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ახალი დანაშაულების ჩადენა; დანაშაულთა და დანაშაულთა მაკვალიფიცირებელ ნიშანთა სიმრავლე) გარემოებების გათვალისწინებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ჩ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ეპიზოდებისათვის უნდა მიესავოს – 6-6 წლით თავისუფლების აღვეთა, ხოლო დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობისას, საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რაც, ჩადენილი დანაშაულების სიმძიმის, მათი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

## დ ა ა ღ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზურა ბაი-დოშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. დ. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:
  - 3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ რ. ც-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ბ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ე. გ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ბ. ნ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ 2022 წლის 16 თებერვლის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ 2022 წლის 17 თებერვლის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (შპს „....“ ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;
  - 3.9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. ე-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების

აღკვეთა;

3.10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ მ. კ-ს 2022 წლის 16 თებერვლის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დაზარალებულ მ. კ-ს 2022 წლის 17 თებერვლის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ თ. გ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ რ. ც-ს ეპიზოდი) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქას სხვა დანარჩენი სასჯელები და დ. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დადგენილი და ამავე სასამართლოს 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით შემცირებული პირობითი მსჯავრი;

3.15. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დადგენილი და ამავე სასამართლოს 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით შემცირებული პირობითი მსჯავრი;

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 4 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განაჩენით დანიშნული სასჯელის გამკაცრება

### განაჩენი საქართველოს სახელით

№45აპ-23

13 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
შ. თალუმაძე,  
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ხელვაჩაურის რაიონული  
პროკურატურის პროკურორ რომან ბოლქვაძის საკასაციო საჩივა-  
რი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა პალატის 2022 წლის 29 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წე-  
სით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკუ-  
რორმა რომან ბოლქვაძემ, რომელიც ითხოვს განაჩენში ცვლილე-  
ბის შეტანასა და დ. ჩ-ს მიმართ ყველაზე მეაცრი სასჯელის გამო-  
ყენებას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გა-  
დაწყვეტილება უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლოა, რად-  
გან მსჯავრდებულის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათის,  
ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო წების, ქმედების  
გახსნორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედე-  
გის, ასევე – დამანაშავის წარსული ცხოვრების გათვალისწინებით,  
შეფარდებული სასჯელი არ შეესაბამება ჩადენილი ქმედებების  
ფაქტობრივ ხასიათს, ვერ შეამცირებს ახალი დანაშაულის ჩადე-  
ნის რისკს და ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზ-  
ნების შესრულებას – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშა-  
ულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას; სა-  
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნა-  
ნილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვა-  
ლისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და  
დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და  
მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო წებას, მო-  
ვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორცი-

ელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის ნარსულ ცხოვრებას. გამომდინარე იქიდან, რომ მსჯავრდებულ დ. ჩ-ს არც უცდია დაზარალებულებისათვის აენაზლაურებინა მიყენებული ზიანი, ხოლო მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ იგი არაერთხელ არის მიცემული პასუხისმგებაში და ასევე – მხილებული ანალიგიური დანაშაულების ჩადენაში, სასჯელის მიზნების უზრუნველსაყოფად მას უნდა შეეფარდოს სასჯელის უფრო მკაცრი სახე და ზომა.

2. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 18 ოქტომბერის განაჩენით დ. ჩ, – დაბადებული ..., – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიერავა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ე. მ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ზ-ის ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. გ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 5000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ რ. ჩ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 7000 ლარი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ფ. ბ-ს ეპიზოდი) ჯარიმა – 7000 ლარი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა დანარჩენი სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 7000 ლარი.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ჩ-მ ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის (5 ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ, რომელიც თითქოსდა ფლობდა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიას, 2021 წლის 20 იანვარს, დღის საათებში, ხ-ს სოფელ კ-ში, გაზქურის, მაცივრის, მაგიდისა და 12 სკამის შეძენის ცრუ შეთავაზებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ე. მ-ს კუთვნილ – 400 ლარს, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

3.2 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ, რომელიც თითქოსდა ფლობდა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიას, 2021 წლის 20 იანვარს, დღის საათებში, ხ-ს სოფელ მ-ში, „სამსუნგ-ის“ ფირმის მობილური ტელეფონის, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის შეძენის ცრუ შეთავაზებით, მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ი. ზ-ს კუთვნილ – 550 ლარს, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

3.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ, რომელიც თითქოსდა ფლობდა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიას, 2021 წლის 20 იანვარს, დღის საათებში, ხ-ს სოფელ მ-ში, სამზარეულოს ავეჯის შეძენის შემთხვევაში, საჩუქრად ტელევიზორის გადაცემის ცრუ დაპირებით, მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა მ. გ-ს კუთვნილ – 300 ლარს, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

3.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ, რომელიც თითქოსდა ფლობდა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიას, 2021 წლის 24 იანვარს, დღის საათებში, სოფელ ც-ში, ცრუდ შეთავაზებული საძინებელი ავეჯისა და „Samsung Galaxy A10-ს“ მობილური ტელეფონის შეძენის შემთხვევაში, საჩუქრად „პლანშეტისა“ და სამზარეულოს ავეჯის გადაცემის ცრუ დაპირებით, არაერთგზის, მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა რ. ჩ-ს კუთვნილ – 1000 ლარს, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

3.5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნასამართლევმა დ. ჩ-მ, რომელიც თითქოსდა ფლობდა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიას, 2021 წლის 26 იანვარს, დღის საათებში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ტექნიკის შეძენის ცრუ ... მყოფ ფ. ბ-ს პირად ანგარიშზე გადაარიცხინა და მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა – 1000 ლარს, რამაც დაზარალებულს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

4. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 18 ივლი-

სის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რომან ბოლქვაძემ, რომელიც ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანასა და დ. ჩ-ს მიმართ სასჯელის გამკაცრებას.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ნოემბრის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 18 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რომან ბოლქვაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მხარების მიერ სადავოდ არ გამხდარა და სასამართლოსაც წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობის – დაზარალებულების: რ. ჩ-ს, ი. ზ-ს, მ. გ-ს, ფ. პ-სა და ე. მ-ს, მოწმეების – ნ. ჩ-ს, რ. ქ-სა და ა. გ-ს გამოვითხვის ოქმების, ინფორმაციის გამოთხვის, პირის ამოცნობის, დოკუმენტების დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერტინტების, ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმების, გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნის, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენისა და საქმეში არსებული სხვა სამხილების – გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის მიერ დანაშაულების აღიარების მხედველობაში მიღებით, გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ დ. ჩ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის მსჯავრად შერაცხული ქმედებები – თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის (5 ეპიზოდი).

3. კასატორის – ბრალდების მხარის მიერ სადავოდ გამხდარ სასჯელთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალის-

წინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ და დამამდიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსანინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსანინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენისათვის დაედო მსჯავრი დ. ჩ-ს ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვესიდან ცხრა წლამდე.

5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლომ სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის შერჩევის დროს სრულყოფილად უნდა შეაფასოს როგორც მსჯავრდებულის პიროვნება (მათ შორის: დამნაშავის წარსული ცხოვრება, დანაშაულის ჩადენის შემდგომი ყოფაქცევა), ისე – მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები (მათ შორის: ქმედებაში გამოვლენილ მართლსანინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი თანაბრად პასუხობდეს საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დაგენილ ყველა მიზანს, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციასა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, ისე – სამართლიანობის აღდგენას.

6. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში მსჯავრდებულის პი?ოვნულ მახასიათებლებთან ერთობლივად, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დ. ჩ-ს ქმედებებში გამოვლენილ მართლსანინააღმდეგო ნებზე, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომაზე, კერძოდ, ერთი მხრივ, ყურადსალებია, რომ თბილის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგა-

მოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დ. ჩ. საქმის არსებითი განხილვის გარეშე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით, სასჯელად განსაზღვრული ჰქონდა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, იმავე – 3 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 9 ივნისის განჩინებით დ. ჩ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე გაუნახევრდა ზემოაღნიშნული სასჯელი და განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ასევე ჩაეთვალა პირობითად, იმავე – 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით, ხოლო ჯარიმის ნაწილში, განაჩენი დარჩა უცვლელად, რისი მხედველობაში მიღებითაც, პირობით მსჯავრდებულმა დ. ჩ-მ ახალი განზრახი დანაშაულები ჩაიდინა სწორედ გამოსაცდელი ვადის პერიოდში – 2021 წლის 20 იანვარს (სამი ეპიზოდი), 2021 წლის 24 იანვარს და 2021 წლის 26 იანვარს ხოლო, მეორე მხრივ, გასათვალისწინებულია, რომ დ. ჩ-ს ქმედებაში გამოკვეთილია დანაშაულთა სიმრავლე, ხოლო ცალკე აღებულ ყველა ეპიზოდში – ორ-ორი მაკვალიფიცირებელი გარემოება: რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და არაერთგზის, შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დ. ჩ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს იდეალური ერთობლიობით, მაკვალიფიცირებელ გარემოებათა კუმულაცია ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ჩადენილი ქმედებების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მათ საშიშროებას მნიშვნელოვნად ზრდის.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ შეაფასა როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემასტუდებელი (აღიარა ჩადენილი დანაშაულები; უდავოდ გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას) და დამამძიმებელი (პი-

რობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ახალი დანაშაულების ჩადენა; დანაშაულთა და დანაშაულთა მაკვალიფიცირებელ ნიშანთა სიმრავლე) გარემოებების გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ჩ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ეპიზოდებისათვის უნდა მიესაჯოს – 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობისას, საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რაც, თანაბრად პასუხობს საქართველოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილ ყველა მიზანს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

8. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით პირობით მსჯავრდებულმა დ. ჩ-მ ახალი განზრახი დანაშაულები ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის განსაზღვრის საფუძველია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დ. ჩ-ს მიმართ განსაზღვრული პირობითი მსჯავრი უკვე გაუქმებულია, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას ხელმეორედ გააუქმოს პირობითი მსჯავრი და განაჩენთა ერთობლიობით დანიშნოს საბოლოო სასჯელი.

9. ამდენად, ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურომან ბოლეჭვაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება სასჯელის დამძიმების კუთხით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რომან ბოლქვაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

3.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ე. მ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ი. ზ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ მ. გ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ რ. ჩ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ფ. ბ-ს ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (დაზარალებულ ფ. ბ-ს ეპიზოდი) შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქას სხვა დანარჩენი სასჯელები და დ. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალის განაჩენის მიღების დღიდან – 2023 წლის 13 ივნისიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 29 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## განაჩენით დანიშნული სასჯელის გამპაცრება

### განაჩენი საქართველოს სახელის

№201აპ-23

19 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),  
მ. გაბინაშვილი,  
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენით განიხილა ქვემო ქართლის საოლქო პროკუ-  
რატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის – ზეიად ფხა-  
კაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის გა-  
ნაჩენზე.

#### **აღნერილობით – სამოტივაციო ნაწილი:**

##### **1. ნარდგენილი ბრალდების არსი:**

1.1. ო. ჯ-ი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით (დიდი ოდე-  
ნობით გადასახადისთვის განზრახ თავის არიდება) გათვალისწი-  
ნებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2021 წლის 2 ივნისს გამოიცა აუდიტის დეპარტამენტის №1...  
ბრძანება შპს „ო-ს“ (ს/ნ 4...) სრული კამერალური საგადასახადო  
შემონბების შესახებ. შესამონბებელი პერიოდი – 2021 წლის 29 იან-  
ვრიდან 2021 წლის 1 მაისი. შპს „ო.“ დარეგისტრირდა 2021 წლის 29  
იანვარს. საქმიანობის სფერო – მავი და ფერადი ლითონების ჩაბა-  
რება და რეალიზაცია. საწარმოს დირექტორი და დამფუძნებელია  
ო. ჯ-ი. აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის 28 ივნისის საგადასა-  
ხადო შემონბების აქტით 2021 წლის 12 ივნისის №0... საგადასახა-  
დო მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ო-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის  
სასარგებლოდ დაერიცხა სულ 167705 ლარი, მათ შორის ძირითადი  
– 109148 ლარი და ჯარიმა – 54835 ლარი. აღნიშნულ საგადასახადო  
მოთხოვნას გადამხდელი 2021 წლის 13 ივნისს გაეცნო RS.GE-ზე,  
რაც გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტა-  
მენტში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭო-  
ში, თუმცა შპს „ო-ს“ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საქართველოს  
ფინანსთა სამინისტროს დავების საბჭოს გადაწყვეტილებას გაეც-

ნო ელექტრონულად 2022 წლის 12 მაისს. საწარმოს მოთხოვნა სა-სამართლოში არ გაუსაჩივრებია და მასთან არც საგადასახადო შე-თანხმება გაფორმებულა.

### **2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:**

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენით ო. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-სის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენი თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის საპროკუ-რორო სამმართველოს პროკურორმა ქეთევვან სონიქმ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ო. ჯ-ისთვის უფრო მეცნი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის გან-საზღვრა.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრარი არ დაკმაყოფილდა და რუსთავის სა-ქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. 2023 წლის 15 თებერვალს ქვემო ქართლის საოლქო პროკუ-როს საპროკურორო სამმართველოს უფროსმა ზვიად ფხაკა-ძემ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასა-მართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სის-ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის განა-ჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისთვის უფრო მეც-რი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

3.3. 2023 წლის 24 თებერვალს შსჯავრდებულ ო. ჯ-ის ინტერე-სების დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ.მა წარმოადგინა შესაგებელი და ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **4. კასატორის არგუმენტები:**

4.1. კასატორის პოზიციით, ო. ჯ-ისთვის დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზ-ნების მიღწევას, ვინაიდან მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენს 109000 ლარზე მეტს, რაც ბევრად აღემატება ო. ჯ-ისთვის სასჯე-ლის სახით განსაზღვრულ ჯარიმას – 10000 ლარს. გარდა ამისა,

მიუყენებული ზიანი დღეის მდგომარეობით ანაზღაურებული არ არის.

### **5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:**

5.1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქ-  
მის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძ-  
ვლიანობა და მიაჩინა, რომ კასატორის მოთხოვნა სასჯელის დამ-  
ძიმებასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ,  
შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელი სა-  
მართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილები-  
სა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. სას-  
ჯელის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა. თა-  
ვისუფლების აღკვეთა, როგორც ადამიანის თავისუფლების შეზ-  
ღუდვის უმკაცრესი ფორმა, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ  
უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმ-  
ძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონ-  
კრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქ-  
ტორების გათვალისწინებით.

5.3. „დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, ერთი  
მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გრძივ-  
რულ პროცესიაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებე-  
ლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება  
მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალის-  
წინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015  
წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქარ-  
თველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენ-  
ტის წინააღმდეგ“, II-38).

5.4. „მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება საკმარისი და  
თვითკმარი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენების-  
თვის, რადგან ასეთი მიდგომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწი-  
ფოს ხელში საზოგადოების „დაშინების იარაღად“, იძულების ღო-  
ნისძიების გამოყენების მუქარის შიშველ ობიექტად, რაც გამორიც-  
ხულია და დაუშვებელი სამართლებრივ სახელმწიფოში“ (საქართვე-  
ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის  
№1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბე-  
ქა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52).

5.5. სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა,  
მისი გარდაუვალობა განაპირობებს. მთავარია, არა დამნაშავის  
მეცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარ-  
ჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს დამნაშა-  
ვის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსე-

ბული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების ადგვატური.

5.6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიჭრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა, არასაპატიმრო ალტერნატივები.

5.7. საკასაციო სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებს (მსჯავრდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, უფავოდ მიიჩნია მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო საქმეზე სწრაფი მართლმასაჯულების განხორციელებას, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და მკურნალობას გადის თურქეთის რესაუბლივაში, გარდა ამისა, მან დაიწყო მიყენებული ზიანის ანაზღაურება და საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა 10000 ლარის სახელმწიფო ხაზინაში გადახდის დამადასტურებული ქვითარი). ყოველი ზემოაღნიშნულისა და მსჯავრდებულის პიროვნებას გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია ო. ჯ-ისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენასთან ერთად ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალზაციაა. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე და მიჩნია, რომ ო. ჯ-სთვის განსაზღვრული სასჯელი – ჯარიმა 10000 ლარი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს და ო. ჯ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-

ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩა-  
დენისთვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯა-  
რიმა – 30000 ლარის ოდენობით, რაც საქართველოს სისხლის სა-  
მართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია, შე-  
ესაბამება საჯმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანა-  
შაულის ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას) და სრულად  
უზურნველყოფს სასჯელის მიზნებს.

5.8. რაც შეეხება კასატორის პოზიციას ზიანის აუნაზღაურებ-  
ლობის შესახებ აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასა-  
მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არაერთხელ გან-  
მარტა, რომ ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურება არის პასუხის-  
მგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება და ამ ნამახალისებელი  
ნორმის შეუსაბამო ქმედება პასუხისმგებლობის დამამძიმებლად  
ვერ მიიჩნევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის  
სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის №1019აპ-09  
განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ოქტომბრის №611აპ-10 გან-  
ჩინება). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 1 ივ-  
ლისის №223აპ-21 გადაწყვეტილებაში მითითებულია: „რაც შეეხე-  
ბა ზიანის ანაზღაურებას, პალატა აღნიშნავს, რომ დაუშვებელია  
მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებლად მიეთითოს  
ისეთ გარემოებაზე, რომლის შესრულებას ან დაკმაყოფილებას კა-  
ნონი მას არ ავალდებულებს. დაზარალებულს უფლება აქვს, ზია-  
ნის ანაზღაურება მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების  
წესით“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2022 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში  
კი განმარტებულია, რომ: „ზიანის ანაზღაურება და დაზარალებულ-  
თან შერიგება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ  
გარემოებებს და სასჯელზე გავლენას ახდენს შემსუბუქების  
თვალსაზრისით, ხოლო სანინააღმდეგო მოცემულობა არ შეიძლე-  
ბა შეფასდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. ამას-  
თან, ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით საქართველოს უზე-  
ნაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახ-  
მად, ზიანის აუნაზღაურებლობა არ შეიძლება შეფასდეს პასუხის-  
მგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და შესაბამისად, ვერ იქ-  
ნება გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის დროს როგორც და-  
მამძიმებელი გარემოება“ . საკასაციო სასამართლო სრულად იზია-  
რებს ზემოაღნიშნულ განმარტებებს და მიაჩნია, რომ ზიანის აუ-  
ნაზღაურებლობის ფაქტი არ შეიძლება მოაზრებული იქნეს რო-  
გორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, შესაბამი-  
სად, მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის პიროვნული მახა-

სიათებლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ო. ჯ-ს სრულად ანაზღაურებული არ აქვს მიყენებული ზიანი საფუძვლად ვერ დაედება მისთვის ყველაზე მკაცრი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

5.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის – ზვიად ფხავაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ო. ჯ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – ჯარიმა 30 000 ლარი.

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**პრალის აღიარება მხრივოდ სასამართლო გამოქიცის  
პროცესის შემდეგ გამოქიცის გამოქიცის გამოქიცის  
თანამდებობად საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის  
მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებისათვის**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№444ა-23

30 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაიიაშვილი (თავმჯდომარე),  
შ. თაფუმაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალა-  
დევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის  
საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023  
წლის 23 მარტის განაჩენზე.

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით ჯ. დ-ს ბრა-  
ლად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემ-  
დგომში – საქართველოს სსკ-ის) 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი-  
თა და საქართველოს სსკ-ის 111, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“  
ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ჯ. დ-ს მიერ ჩა-  
დენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2022 წლის 19 ოქტომბერს, დაახლოებით 18:30 საათზე, ქ.  
თ-ში, ჯ. დ-მა მამის – ს. დ-ს მიმართ ფიზიკურად იძალადა, კერ-  
ძოდ, ხელით მიაყენა დაზიანებები სახისა და თავის არეში. ჯ. დ-ს  
მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად ს. დ-მა განიცადა  
ფიზიკური ტეკვილი;

2.2. 2022 წლის 19 ოქტომბერს, დაახლოებით 18:30 საათზე, ქ.  
თ-ში, ჯ. დ. მამას – ს. დ-ს, ჩაქუჩის გამოყენებით, დაემუქრა სი-  
ცოცხლის მოსპობით, კერძოდ, უთხრა, რომ მოკლავდა. ჯ. დ-ს მი-  
ერ ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის მუქარა ს. დ-მა აღიქვა რეა-  
ლურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის გა-  
ნაჩენით:

3.1. ჯ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-

ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩა-დენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 ნლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. ჯ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 ნლით და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მყაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მყაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, ჯ. დ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 ნლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 ნლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დანესეპულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი, ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი;

3.4. საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-10 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გაუქმდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 აპრილის №... გადაწყვეტილებით შეცვლილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 2486 საათის ხანგრძლივობით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ჯ. დ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 ნლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 1 ნლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დანესეპულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 1 წელი, ჩაეთვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 1 წელი;

3.5. ჯ. დ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2022 წლის 20 ოქტომბრიდან.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. პროკურორმა ანა კაპანაძემ მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის დამტიმების კუთხით და მსჯავრდებულ ჯ. დ-სათვის უფრო მყაცრი სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის

განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის გლდანი-ნაძალა-დევის რაიონული პროკურორის მოადგილე დავით ხვედელიძემ და მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის დამძიმების კუთხით და მსჯავრდებულ ჯ. დ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩინა, რომ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის განაჩენში ცვლილებს შეტანას, ჯ. დ-სათვის განსაზღვრული სასჯელის დამძიმებას, მისთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრას, ვინაიდან ვერ დგინდება ჯ. დ-ს თანამშრომლობა გამოძიებასთან.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულ ჯ. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაბაულების ჩადენა დადასტურებულია მსჯავრდებულის აღიარებით, დაზარალებულისა და მოწმეთა გამოკითხვის ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით, ინფორმაციის გამოთხვის ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, ამოღების ოქმით, პაციენტის სამედიცინო ბარათით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც მხარეებიც არ ხდიან სადაცვოდ.

4. რაც შეეხება ჯ. დ-სათვის განსაზღვრულ სასჯელს, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაბაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით,

იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ ....ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

5. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკაიცებულებით დასტურდება და მხარეებიც არ ხდიან სადაცოდ, რომ ჯ. დ-მა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა განზრას მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის პირობებში (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენით ჯ. დ-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით შეეცვალა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით და გათავისუფლდა 2022 წლის 8 აპრილი). შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის ყველაზე მკაცრი სახის სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის მე-17-ე და 58-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით (დანაშაულის რეციდივის მხედველობაში მიღებით).

6. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ჯ. დ-სათვის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებას, სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ კანონმდებლო საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობად მიიჩნევს კუმულაციურად შემდეგი გარემოებების არსებობას (რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება): ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ დანაშაულის აღიარებას (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), დანაშაულის ჩადენაში თანამონანილების დასახელებასა და გამოძიებას-თან თანამშრომლობას (მაგალითისთვის: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №305აპ-21; 2022 წლის 10 ოქტომბრის განჩინება N №669აპ-22; 2022წლის 31 იანვრის განჩინება №№888აპ-21;).

6.1. მოცემულ შემთხვევაში ჯ. დ-ს გამოძიების ეტაპზე (ბრალ-

დებულის გამოკითხვის 2022 წლის 20 ოქტომბრის ოქმის თანახმად, იგი არ აღიარებს ბრალს და იყენებს დუმილის უფლებას) და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, გარდა დასკვნითი სხდომისა (სასამართლო სხდომის 2022 წლის 22 დეკემბრის ოქმის თანახმად, ბრალდებული არ ცნობს თავს დამნაშავედ) არ აღიარებდა ჩადგინდ დანაშაულს. ჯ. დ-მა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის მხოლოდ დასკვნით ეტაპზე აღიარა დანაშაულის ჩადენა (სასამართლო სხდომის 2023 წლის 23 იანვრის ოქმი. ბრალის აღიარება მხოლოდ სასამართლო განხილვის დასკვნით ეტაპზე კი ვერ იქნება მიჩნეული გამოძიებასთან თანამშრომლობად საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებისათვის თვითკრა სამართლებრივ საფუძველს (იხ. პუნქტი 6). შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.

7. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, ჯ. დ-ს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ გარემოებს (დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ), ჩადენილი ქმედების სიმძიმეს (ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაულები), ქმედებაში გამოვლენილ მართლსანინააღმდეგო წებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს (ძალადობრივი დანაშაული), ხერხს (ჩაქუჩის გამოყენებით) და მართლსანინააღმდეგო შედეგს, მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ ჯ. დ-მა განზრახი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის (საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით) პირობებში ჩაიდინა ბრალად წარდგენილი ქმედებები – 2022 წლის 19 ოქტომბერს იძალადა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მამას – ს. დ-ს.

8. სასამართლო ითვალისწინებს ჯ. დ-ს წინა ნასამართლობას, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია), რომლის თანახმად, „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ ....ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწ-

ყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება დანიშნული სასჯელის სახეს (თავისუფლების აღკვეთა) და ზომას (2 წელი), მაგრამ, უსაფუძვლობის გამო, არ ეთანხმება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებას. შესაბამისად, ვინაიდან საქმის მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ არ სებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წინაპირობა (სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დასტურდება ჯ. დ-ს მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობა), ჯ. დ-სათვის გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით – უნდა განისაზღვროს სრულად სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **დ ა პ დ გ ი ნ ა:**

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ჯ. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. ჯ. დ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, ჯ. დ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-10 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გაუქმდეს სპეციალური პენიტენციური

სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის 7 აპრილის №... გადაწყვეტილებით შეცვლილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 2486 საათი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ჯ. დ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. ჯ. დ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათველა დაეწყოს დაკავებიდან – 2022 წლის 20 ოქტომბრიდან.

8. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის  
დანახესის გამოყენება საქართველოს სსკ-ის 3811-ე  
მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის  
წევრის მიმართ ჩადენის გამოგამოიცვალ  
მსჯავრდებულის გლობარეობის გაუმართლებელ  
დამპირას**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№150აპ-23

8 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ხ-ა ჩ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 დეკემბრის განაჩენზე.

**აღნერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

1.1. გ. შ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის

სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 11<sup>1</sup>, 381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. 2022 წლის 28 თებერვალს, საქართველოს შსს-ის ქ. თ-ს მიერ გ. შ-ს მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი №..., რომლითაც გ. შ-ს, ქ. ა-ს მიმართ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, აეკრძალა ქ. ა-სთან, მის სახლთან, სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოვება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა. გ. შ-ს აგრეთვე აეკრძალა ქ. ა-სთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის – ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. 2022 წლის 28 თებერვალს, დილით, მას შემდეგ, რაც გ. შ-ს გააცნეს მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერი და განემარტა ორდერით განსაზღვრული ვალდებულებები, იგი მივიდა ქ. ა-ს საცხოვრებელ სახლში, მდებარე: ქ. ბ. კ-ის ქუჩა №...ში, რითიც დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

## 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით:

2.1. გ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

2.2. გ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათველა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2022 წლის 28 თებერვლიდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ბ. ჩ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრი არ დაემაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ბ. ჩ-ემ. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქ-  
მის მასალები, შეამონმა დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთ-  
ხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ  
უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს  
უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სა-  
სამართლოს გადაწყვეტილებას გ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,  
381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაუ-  
ლის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქ-  
მეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და და-  
მაჯერებელი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარ-  
ტით უტყუარად დასტურდება გ. შ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შე-  
რაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

3. 2022 წლის 28 თებერვალს, 01:40 საათზე, ქ. ა-ს მოთხოვნით,  
ფისიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე, გ. შ-ს მიმართ გამოიცა შემა-  
კავებელი ორდერი №.... ორდერის პირობების თანახმად, გ. შ-ს 30  
დღით აეკრძალა მსხვერპლთან, მის საცხოვრებელ სახლთან, სამ-  
სახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყო-  
ფება. გ. შ-ს აგრეთვე აეკრძალა ქ. ა-სთან ნებისმიერი სახის კომუ-  
ნიკაცია, მათ შორის – ტელეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა  
ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. შემაკავებელ ორდერზე  
დაფიქსირებულია გ. შ-ს, ქ. ა-სა და გამომძიებელ დ. ს-ს ხელმოწე-  
რები.

4. საქმეში არსებული დანაშაულის შეტყობინების რეგისტრა-  
ციის ბარათის თანახმად, 2022 წლის 28 თებერვალს, 06:20 საათზე,  
შეტყობინების ინიციატორმა – ქ. ა-მ განაცხადა, რომ „მისი არაო-  
ფიციალური მეუღლე მეორედ მიუგარდა სახლში, კარი შეანგრია,  
ნაართვა ტელეფონი და წასვლას აპირებდა. ვარაუდობს, რომ ახ-  
ლომახლოსაა.“

5. ბრალდებულის დაკავების ოქმის თანახმად, გ. შ. დააკავეს  
2022 წლის 28 თებერვალს, 07:55 საათზე, ქ., ბ. კ-ის ქუჩა №-ში მდე-  
ბარე საცხოვრებელ ბინაში.

6. გამომძიებელ დ. ს-ს ჩვენებით დასტურდება, რომ გ. შ-ს სა-  
ტელეფონო საუბრისას დეტალურად განუმარტა მის მიმართ 2022  
წლის 28 თებერვალს, 01:40 საათზე გამოცემული შემაკავებელი ორ-  
დერით გათვალისწინებული აკრძალვები, გასაჩივრების წესი და ვა-  
და, აგრეთვე ორდერის დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი  
სისტემისამართლებრივი პასუხისმგებლობა. გამომძიებლის გან-  
მარტებით, ვინაიდან იყო ლამის დრო, გ. შ. ორდერის გადასაცემად  
დაიბარა მეორე დღეს, თუმცა, სატელეფონო საუბრის დასრულე-

ბიდან დაახლოებით 10 წუთში ბრალდებული თავად გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც გამომძიებელმა კიდევ ერთხელ აუხსნა ორდერის პირობები (მათ შორის, რომ არ ჰქონდა საცხოვრებელ სახლში – ბ. კ-ის ქ. №-ში მდებარე ბინაში მისვლის უფლება) და გადასცა ორდერის ასლი. შემაკავებელი ორდერის გაცნობისა და გადაცემის ფაქტი გ. შ-მ დაადასტურა ხელმოწერით. მოწმის განმარტებით, ამის შემდეგ, რამდენიმე საათში კვლავ მიიღეს შეტყობინება გ. შ-ს მსხვერპლის საცხოვრებელ ბინაში მისვლის შესახებ, რითაც მან დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებები. გამომძიებლის განმარტებით, გ. შ. დააკავა დაზარალებულ ქ. ა-ს საცხოვრებელ ბინაში.

7. დაზარალებულ ქ. ა-ს ჩვენებით, 2015 წლიდან არარეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფება გ. შ-სთან. ცხოვრობენ ქ., ბ. კ-ის ქუჩა №..ში მდებარე საცხოვრებელ სახლში და ენევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. 2022 წლის 28 თებერვალს, გ. შ. იქცეოდა აგრესიულად, გახდა არაადეკვატური, მეუღლეს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის გამოც, დაზარალებულის მოთხოვნით, ბრალდებულის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, რომლის თანახმად, გ. შ-ს აეკრძალა ქ. ა-სთან და მის საცხოვრებელ სახლთან მიახლოვება. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულისათვის ცნობილი იყო აკრძალვის თაობაზე, შემაკავებელი ორდერის გამოცემიდან რამდენიმე საათში გ. შ. დაბრუნდა მათ საცხოვრებელ სახლში, წიხლით შეანგრია კარი და შევიდა. დაზარალებულმა მეუღლეს შეასხენა, რომ შემაკავებელი ორდერით აკრძალული ჰქონდა მასთან მიახლოება, თუმცა ბრალდებული სთხოვდა, მიეცა დილამდე დარჩენის უფლება. მეუღლებს შორის კონფლიქტურ სიტუაციას ესწრებოდა დაზარალებულის შვილი, რომელიც იყო ძალიან შეშინებული და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, ქ. ა-მ კვლავ დარეკა 112-ში. დაზარალებულის განმარტებით, ადგილზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს გ. შ.

8. გ. შ-ს განმარტებით, 2022 წლის 28 თებერვალს, დაახლოებით 02:00 საათზე, დაურეკა გამომძიებელმა, განუმარტა, რომ მის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი და მეორე დღეს დაიბარა პოლიციის განყოფილებაში ორდერის გადასაცემად. სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე წუთში თავად მივიდა გამომძიებელთან, რომელმაც კვლავ აუხსნა, რომ მის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი და უთხრა: „გაძლევ შემაკავებელ ორდერს და არ გაეკარო სახლს“. ბრალდებულის განმარტებით, გამომძიებელმა მხოლოდ სიტყვიერად აცნობა აკრძალვის თაობაზე და ორდერის ასლი არ გადაუცია. შემაკავებელ ორდერზე დაფიქ-სირებული ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. გ. შ-ს ჩვენებით, მის შე-

კითხვაზე, ჰქონდა თუ არა სახლში მისვლის უფლება, გამომძიებელმა უპასუხა, რომ თუ არავინ დარეკავდა პოლიციაში, შეეძლო სახლში მისვლა.

9. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით (2022 წლის 28 თებერვლის №-ის შემაავებელი ორდერითა და ორდერის ოქმით, დანაშაულის შეტყობინების რეგისტრაციის ბარათით, ბრალდებულის დაკავების ოქმით, გამომძიებელ დ. ს-სა და დაზარალებულ ქ. ა-ს ჩვენებებით) უტყუარად, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება გ. შ-ს მიერ შემაავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

10. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის შესახებ, რომ გ. შ. არ იყო ინფორმირებული შემაავებელი ორდერით გათვალისწინებული აკრძალვების შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ თავად მსჯავრდებულმაც დაადასტურა გამომძიებლის ჩვენება, რომლის თანახმად, გ. შ-ს შემაავებელი ორდერით განსაზღვრული აკრძალვების შესახებ განემარტა როგორც სატელეფონო საუბრისას, ისე პოლიციის განყოფილებაში. გარდა ამისა, შემაავებელ ორდერზე დაფიქსირებულია გ. შ-ს ხელმოწერა, რომლითაც დასტურდება მის მიერ ორდერის ჩაპარება. მსჯავრდებულის არგუმენტი – თითქოს, ხელმოწერა მას არ ეკუთვნის, საფუძველს მოკლებულია და არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. თავად მსჯავრდებულიც განმარტავს, რომ სატელეფონო საუბრის დასრულების შემდეგ, სწორედ ორდერის ჩასაბარებლად, საკუთარი სურვილით, დათქმულ ვადაზე ადრე გამოცხადდა გამომძიებელთან. ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩინა მსჯავრდებულის სათანადო წესით ინფორმირება შემაავებელი ორდერით გათვალისწინებული აკრძალვებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

11. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ, თუმცა, ნაწილობრივ არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას სასჯელის დასბუთებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით გ. შ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით – დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ

ჩადენის მხედველობაში მიღებით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა მუხლის სანქციით დადგენილი მაქსიმალური სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით. სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა აღნიშნული მსჯელობა და არ შეუცვლია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის დასაბუთება.

13. საკარაცხო სასამართლო ითვალისწინებს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ენინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ზომის განსაზღვრისას საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022წლის 7 ივლისის განაცენი საქმეზე № 14აპ-22). კერძოდ, სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

14. საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანხმად, „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით“;

15. საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახის წევრად, მათ შორის, მიიჩნევა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი;

16. საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამდიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვა-და სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისთვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას“; ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული წესი მხედველობაში არ მიიღება, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე;

17. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღ-კვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესა-ხებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თა-ნახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქ-ტზე ოპერატორული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მი-ერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შემაკავე-ბელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მი-ერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

18. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქარ-თველოს სსკ-ის 381<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩა-დენის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლზე მითი-თება თავისთავად არ განაპირობებს საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენების აუცილებლობას, რადგან საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლი განსაზღვრავს ოჯახური დანაშაულის ცნებასა და პასუხისმგებლობის (კვალიფიკაციის) საკითხს, ხოლო ოჯახის წევ-რის მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის დანიშ-ვნის წესს ადგენს საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილები.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შემაკავებელი ორდერის გამოცემა უკავშირდებოდა გ. შ-ს მიერ მე-უღლის მიმართ სიტყვიერ შეურაცხებოფას. შესაბამისად, გ. შ-ს მი-მართ მსჯავრად შერაცხული ქმედების – საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>, 381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაუ-ლის შემადგენლობას გვაძლევს ოჯახის წევრის მიმართ სიტყვიე-რი შეურაცხებოფის ფაქტზე გამოცემული შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებ-ლობა. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ოჯახის წევრის მიმართ ქმედების (შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვ-ნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა) ჩადენამ დააფუძ-ნა საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვა-ლისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამატებით ობი-ექტს წარმოადგენს ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობა, ფი-ზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა. შესაბამისად, საქარ-

თველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის გამოყენება – საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო – გამოიწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმართლებელ დამძიმებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისტემის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივლისის № 14აპ-22 განაჩენი, II-15). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო მსჯავრდებულისათვის სასჯელის საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებით დანიშნულის შესახებ.

21. იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გავლენას ვერ მოახდენს მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ზომაზე, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 დეკემბრის განაჩენით გ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (დაზარალებულ ქ. ა-ს მიმართ) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2020 წლის 19 მაისიდან, ხოლო პენიტენციური დაწესებულებიდან გათვალისუფლდა 2021 წლის 18 მაისს. შესაბამისად, მსჯავრად შერაცხული დანაშაულის ჩადენის დროს – 2022 წლის 28 თებერვალს, – იგი იყო განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა), რაც საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად ნარმოადგენს დანაშაულის რეციდივს და განაპირობებს სასჯელის დანიშნულას საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად. კერძოდ, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშნულისა მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

22. ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით, ხოლო რეციდივის წესით დასანიშნი სასჯელი (მინიმუმ – 1 წელი და 6 თვე) აჭარბებს საქართველოს სსკ-ის 381<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას, გ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით სასჯელად თავისუფლების აღ-

კვეთა უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 381<sup>ე</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადით, მოცემულ შემთვევაში – 1 წლით. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნის შესაბამისად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად განსაზღვრეს დანიშნული სასჯელის ზომა – თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა.

23. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 1 აგვისტოს სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, გ. შ. ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში, რაც, მართალია, საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშნუნის დროს გასათვალისწინებელი გარემოებაა, თუმცა, ვინაიდან გ. შ-ს სასჯელი დანიშნული აქვს, რეციდივის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულად დადგენილი წესით, – სასამართლო კანონისმიერად მოკლებულია დანიშნული სასჯელის ვადის შემცირების შესაძლებლობას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ხ-ა ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უკვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. ამინისტია, შეცვალება, ნასამართლობა

### ამინისტია

#### განერიცება საქართველოს სახელით

№291-23

23 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
შ. თაღუმაძე,  
ლ. ფაფუაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ თ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის  
საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის  
2023 წლის 18 აპრილის განჩინებაზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 14 თებერვლის განა-  
ჩენით თ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის რედაქცია) 91-ე მუხ-  
ლის მე-3 ნაწილით – 7 წლით, საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 177-ე მუხ-  
ლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 6 წლით, 179-ე მუხლის მე-2  
ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 15 წლით, ხოლო 109-ე მუხ-  
ლის „ა“, „ვ“, „თ“ პუნქტებით – უვადო თავისუფლების აღკვეთა.  
სასჯელთა შთანთქმით თ. ბ.ს საბოლოოდ განესაზღვრა – უვადო  
თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2001 წლის 8 მარ-  
ტიდან.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის 2002 წლის 11 ივლისის განჩინებით საქართვე-  
ლოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასა-  
მართლო კოლეგიის 2002 წლის 14 თებერვლის განაჩენი დარჩა უც-  
ვლელად.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის  
განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქარ-  
თველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულ თ. ბ.ს ¼-ით შეუმცირ-  
და დანიშნული სასჯელები და განესაზღვრა: საქართველოს სის-  
ხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის რედაქცია) 91-ე მუხლის

მე-3 ნაწილით – 5 წლითა და 3 თვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 4 წლითა და 6 თვით, ხოლო 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 14 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალტის 2013 წლის 5 აპრილის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულ თ. ბ.ს ¼-ით შეუმცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა – უვადო თავისუფლების აღკვეთა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 1 აგვისტოს განკარგულებით თ. ბ. შეწყალებულ იქნა და საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან უნდა გათავისუფლდეს – 2026 წლის 8 მარტს.

6. 2023 წლის 6 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა თ. ბ-მ და ითხოვა მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის კავრცელება.

7. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი არ გავრცელდა.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. ბ-მ, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე პრეზიდენტის შეწყალების აქტით დადგენილი მოსახდელი სასჯელის ვადის – ¼-ით შემცირება, რაც შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის №8<sup>1</sup>-23 გადაწყვეტილებით დადგენილ პრაქტიკას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ითვალისწინებს, რომ

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესავალში აღნიშნულია, რომ ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, საქართველოს პარლამენტი ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით აცხადებს ამნისტიას.

3. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს ვენეციის კომისიის 2013 წლის დასკვნას, რომელიც ეხება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონს, სადაც აღნიშნულია, რომ სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან ამნისტიის, შეწყალებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელება კანონიერად მიიჩნევა ევროპის ქვეყნების კანონმდებლობაში და პირდაპირ აღნიშნულია ზოგიერთ საერთაშორისო – სამართლებრივ დოკუმენტში. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში წევრ სახელმწიფოთა მიმართ (2010) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ განსაზღვრულია, რომ ამნისტიის, შეწყალების ან მსგავსი ღონისძიებების გარდა, აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებებმა არ უნდა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალას უკარგავს სასამართლო გადაწყვეტილებებს. ნინამდებარე რეკომენდაციის განმარტებითი ბარათის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა შესაძლებელია მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის მიერ ან ახლად გამოვლენილი გარემოებების დროს საქმის ხელახლა განხილვის პროცესში. სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი ჩარჩოს მიღმა, აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, დაუშვებელია. თუმცა, ეს დანაწესი არ ართმევს კანონმდებელს უფლებამოსილებას – შეცვალოს არსებული კანონმდებლობა ან მიიღოს ახალი ნორმატიული აქტები, რომლებიც შემდევ სასამართლომ უნდა გამოიყენოს. აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებმა არ უნდა გააუქმოს სასამართლო გადაწყვეტილებები კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეებზე, თუმცა, არსებობს გარკვეული გამონაკლისი შემთხვევები, მაგალითად, ამნისტიისა და შეწყალების აქტები, კომპენსაციის გადახდა პასუხისმგებლობის აღიარების გარეშე ან სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელება. ასეთი გამონაკლისი შემთხვევები ყველა დემოკრატიულ სა-

ზოგადოებაში არსებობს და მისი გამართლება მაღალ ჰუმანურ პრინციპებში გამოიხატება.

4. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 5 აპრილის განჩინებით „ამნისტის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულ თ. ბ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა – უვადო თავისუფლების აღკვეთა.

5. როგორც წარმოდგენილი საქმის მასალებით დგინდება, საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 1 აგვისტოს განკარგულებით თ. ბ. შეწყალებულ იქნა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან – 2026 წლის 8 მარტიდან.

6. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის №8<sup>1</sup>-23 და 2023 წლის 20 მარტის №14<sup>1</sup>-23 განჩინებები), რომ ამჟამად, თ. ბ-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუმცა იმ დღიდან, როდესაც პრეზიდენტმა მსჯავრდებულის შეწყალების თაობაზე განკარგულება მიიღო, მისი სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების თარიღი გახდა განჭვრეტადი. უვადო სასჯელმა, რომელიც თავისი არსით დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთის განუსაზღვრელი დროით მოხდასთან, მოცემულ შემთხვევაში, 2016 წლის 1 აგვისტოდან პროგნოზირებული სახე მიიღო და პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე თ. ბ-ს სამართლებრივი მდგომარეობა ფაქტობრივად შეიცვალა, გახდა განსხვავებული იმ ვითარებისაგან, როდესაც მისთვის ცნობილი არ იყო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღი. მსგავს სამართლებრივ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის ფაქტობრივ გარემოებსაც შეესაბამება განსახილველი სისხლის სამართლის საქმე.

7. იმის მხედველობაში მიღებით, რომ თ. ბ-ს სასჯელის – უვადო თავისუფლების აღკვეთის – ვადის დასასრულს წარმოადგენს 2026 წლის 8 მარტი, ხოლო 2016 წლის 1 აგვისტოდან (ე.ი დროიდან, როდესაც განჭვრეტადი გახდა სასჯელის ფაქტობრივად მოხდის თარიღი) 2026 წლის 8 მარტამდე მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელი შეადგენს – 9 წელს, 7 თვესა და 7 დღეს, საკასაციო სასამართლოს, ამნისტიის ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, მიზანშენონილად მიაჩნია „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის

კანონის მე-16 მუხლის დანაწესის გავრცელება მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ თ. ბ-ს 1/4-ით უნდა შეუმცირდეს საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 1 აგვისტოს განკარგულებით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თარიღი – 2026 წლის 8 მარტი და მსჯავრდებული თ. ბ. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან უნდა გათავისუფლდეს – 2023 წლის 13 ოქტომბერს.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მთანია, რომ მსჯავრდებულ თ. ბ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ თ. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 აპრილის განჩინება გაუქმდეს;
3. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად მსჯავრდებულ თ. ბ.ს 1/4-ით შეუმცირდეს საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 1 აგვისტოს განკარგულებით სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თარიღი – 2026 წლის 8 მარტი და მსჯავრდებული თ. ბ. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლდეს – 2023 წლის 13 ოქტომბერს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პერპო ნაწილი

### დანაშაული ჯანმრთელობის ნინეაღმდეგ

#### იძულება ოჯახის წევრის მიმართ

##### განაჩენი საქართველოს სახელით

№25აპ-23

16 მაისი, 2023 წ., 25აპ-23 ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

6. სანდოძე (თავმჯდომარე),
- მ. გაბინაშვილი,
- შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალა-დევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენზე.

##### აღნერილობითი – სამოტივაციო ნაწილი:

###### 1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. გ. ს. ცნობილ იქნა ბრალდებულად დაქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>,150-ე მუხლის პირველი ნაწილით (იძულება ოჯახის წევრის მიმართ, ესე იგი, ოჯახის ერთი წევრის მიერ, ოჯახის სხვა წევრისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფსიქიური იძულება, არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანინააღმდეგო ზემოქმედება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 21 ივნისს, დაახლოებით 01:00 საათზე, ქ-ს მიმდებარედ გ. ს-მა ქმედების თავისუფლება უკანონოდ შეუზღუდა ოჯახის წევრს – ლ. მ-ას, კერძოდ, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, რომ თუ მასთან არ ჩავიდოდა და არ გაესაუბრებოდა მოკლავდა. აღნიშნული მუქარა ლ. მ-ამ აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

###### 2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით გ. ს. ცნო-

ბილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 ნლით თავისუფლების აღკვეთა.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ს-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მ. ტ-ემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და გ. ს-ს მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენით დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 11 ოქტომბრის განაჩენში შევიდა ცელილება, კერძოდ გ. ს-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენლი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

გ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 160 საათით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დროის გათვალისწინებით, გ. ს-ს შეფარდებული სასჯელი ჩაეთვალა მოხდილად.

გ. ს. დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ს-მა ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა ოჯახის წევრის მიმართ, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 21 ივნისს, დაახლოებით 01:00 საათზე, ქ.-ის მიმდებარედ გ. ს. სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ოჯახის წევრს – ლ. მ-ას. აღნიშნული მუქარა ამ უკანასკნელმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

3.2. 2022 წლის 19 დეკემბერს თბილისის გლდანი-ნაძალადევის

რაიონული პროკურორის მოადგილემ – დავით ხვედელიძემ საკა-საციონ საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოთხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-მართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა: გ. ს-ს საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსის 11<sup>1</sup>, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობა და მისთვის სამართლი-ანი სასჯელის განსაზღვრა.

#### 4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის პოზიციით, სამართლიანი სასამართლოს უფლე-ბის ჯეროვანი რეალიზება ავტომატურად გულისხმობს საქმის გან-მხილველი სასამართლოს უფლებამოსილებას, გასცდეს აპელან-ტის საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს, მაშინ როდესაც საუბარია მსჯავრდებულის ფუნდამენტური უფლების რეალიზებაზე. თუმ-ცა, როდესაც სასამართლო ქმედების კვალიფიკაციის შეცვლას ახ-დენს სამართლებრივად მძიმე მუხლზე გადასვლით ეს არ შეესაბა-მება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებას. კასატორი ასევე უთითებს, რომ იძულებისგან სისხლისმართლებრივი დაცვის ობიექტია ადამია-ნითვის ფუნდამენტურად მინიჭებული თავისუფლება, კანონის ფარგლებში იმოქმედოს შეხედულებისამებრ. იძულების მიზანია სხვა პირს ჩადენინოს რაიმე ქმედება ან საკუთარ თავზე განაც-დევინოს მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. მი-აღნია თუ არა მიზანს დამნაშავემ, ამას კვალიფიკაციისთვის მნიშ-ვნელობა არ აქვს. იძულების, განსაკუთრებით ფსიქიკური იძულე-ბის ხერხად შესაძლებელია გამოყენებული იყოს მუქარა, თუმცა იძულებისგან განსხვავებით მუქარას აქვს უფრო ვიწრო შინაარსი და მხოლოდ სიცოცხლის მოსპობას, ჯანმრთელობის დაზიანებასა და ქონების განადგურებას მიემართება. იძულებასა და მუქარას შორის განსხვავების ორიენტირია ქმედების განმახორციელებელი პირის მიზანი. როცა სახეზეა კონკრეტული პირობის სამომავლო მოთხოვნის ფონზე განხორციელებული მუქარა, ადგილი აქვს იძუ-ლებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხ-ლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისას პირისთვის პრიორიტეტულია მუქარის შინაარსი და ამ მუქარის შედეგად ში-შის განცდა. მოცემულ შემთხვევაში ლ. მ-ას გამოკითხვის ოქმით ირკვევა, რომ გ.ს. მივიდა დაზიარალებულის სახლთან და მოსთხო-ვა ჩასულიყო მასთან და გასაუბრებოდა, თუ არ ჩავიდოდა მოკ-ლავდა. შესაბამისად, გ. ს-ს მოთხოვნის მიზანი იყო დაზიარალებუ-ლის ჩასვლა და მასთან გასაუბრება და არა სიცოცხლის მოსპობის მუქარა და ამ მუქარით დაზიარალებულში შიშის გამოწვევა. შესაბა-

მისად, სახეზეა იძულება და არა მუქარა. მითუფრო, იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე გ. ს-მა დაზარალებულს მოსთხოვა ანალოგიური, რაც ლ. მ-ამ შეასრულა. მსჯავრდებულის განმეორებით მისვლა მოიცავდა იმავე მიზანს – გასაუბრებოდა ყოფილ მეუღლეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გ. ს-ს მიმართ დანიშნული სასჯელი არასამართლიანია და არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილ ქმედებას. ოჯახში ძალადობა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ფორმაა და ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი, ამასთან, არის სპეციფიკური დანაშაული. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ გ. ს-მა ყოფილ მეუღლეს ორჯერ მიაკითხა საცხოვრებელ სახლთან. ქმედების ინტენსივობა კი მიუთითებს პასუხისმგებლობის დამამიმდებელ გარემოებებზე. ამასთან, გ. ს. დანაშაულის ჩადენის დროს იყო ალკოჰოლით მთვრალი. გარდა ამისა, გ. ს. ოჯახში ძალადობისთვის გასამართლებულია 2018 წელს, თუმცა დანიშნულმა სასჯელმა ვერ მოახდინა მისი რესოციალიზაცია.

### **5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:**

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გ.ს-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ და მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ გ. ს-მა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

5.3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით ადასაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთ-

ვეპირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან სა-ოჯახო მეურნეობას.

5.4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული „დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული თავისუფლება, კანონის ფარგლებში იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ. ობიექტური მხრივ, იძულება გამოიხატება მოქმედებაში ადამიანის თავისუფლების უკანონო შეზღუდვაში, კერძოდ, პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება ... ფსიქიკური იძულება იგივე მუქარაა. მუქარა შეიძლება იყოს ნებისმიერი შინაარსის ... ამდენად, აქ მუქარა უფრო ფართოდაა გაგებული, ვიდრე სსკ 151-ე მუხლში ... სსკ 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირს აიძულებენ შეასრულოს რაიმე ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), ანდა აიძულებენ საკუთარ თავზე გამოსცადოს მისი ნების საწინააღმდეგო ზემოქმედება, იმის მიუხედავად, შეასრულა თუ არა მან დამნაშავისთვის სასურველი ქმედება ... მიაღწია თუ არა მიზანს დამნაშავემ, ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს ... აქვე ერთმანეთისაგან უნდა გაამიჯნოს იძულება და მუქარა. ძირითადი განსხვავებანი შემდეგშია: 1. იძულება შეიძლება განხორციელდეს მუქარის გამოყენებით, მაგრამ მუქარა იძულებისთვის არაა ერთადერთი ხერხი (იგი შეიძლება განხორციელდეს ძალადობითაც). 2. იძულების დროს მუქარა არის ერთ-ერთი ხერხი და საშუალება იმისათვის, რომ დაზარალებულს შეასრულებინონ რაიმე ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), ანდა საკუთარ თავზე გამოაცდებინონ თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება. ხოლო მუქარის დროს დამმუქრებელს არა აქვს ასეთი მიზანი. მისი ერთ-ერთი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ პირის დაშინება. ამიტომ იგი როგორც წესი, არანაირ ქმედებას არ მოითხოვს მსხვერპლისგან, ან შეიძლება ითხოვდეს ისეთ ქმედებას, რისი შეასრულების ვალდებულებაც მას აკისრია (მაგ. ვალის დაბრუნება). (იხ: სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2019, თავი VI, იძულება (სსკ 150-ე მუხლი). ავტორი: ნონა თოლუა, გვ. 351-355, მუქარა (სსკ 151-ე მუხლი), ავტორი: ნონა თოლუა, გვ. 359-363).

5.5. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უურადღებას ამახვილებს უდავო მტკიცებულებებზე, კერძოდ, დაზარალებულ ლ. მ-ას გამოკითხვის ოქმით დადგენილია, რომ მისი ყოფილი მეუღლე – გ. ს. ხშირად მოხმარს აკლოპოლურ სასმელს, რის შემ-

დეგაც ხდება აგრესიული და უკონტროლო. 2022 წლის 21 ივნისს, დაახლოებით 01:00 საათზე, გ. ს. მივიდა კორპუსის მიმდებარედ, აგინძდა და ეძახდა, რომ ჩასულიყო მასთან. იგი მიხვდა, რომ გ-ი ისევ ნასვამი და აგრესიული იყო, რისიც შეეშინდა, რადგან მასთან მარტო რომ ჩასულიყო გ-ი რამეს დაუშავებდა, შეიძლება მოეკლა კიდეც. ამიტომ ჰასუნი არ გასცა, რაზეც გ. ს. კიდევ უფრო გაღიზიანდა და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, კერძოდ, უთხრა, რომ თუ არ ჩავიდოდა და არ გაესაუბრებოდა, მაშინ ავიდოდა სახლში და მოკლავდა, რაც მან აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რადგან გ-ი იმდენად გაღიზიანებული იყო, რომ შესაძლოა მართლა ასულიყო მათთან სახლში, შეემტვრია რკინის კარი და მოეკლა იგი. გ. ს. 2-3 წუთის განმავლობაში იდგა მათი საცხოვრებელი კორპუსის წინ და აყენებდა სიტყვერ შეურაცხყოფას. გარდა ამისა, გ.-მა 2-3-ჯერ ხმამალლა დაუყვირა, რომ თუ არ ჩავიდოდა მასთან ეზოში, ავიდოდა სახლში და მოკლავდა. მომხდარზე გაიღვიძეს სახლში მყოფმა ზ. მ-ამ და ო. მ-მა, თუმცა არცერთი მათგანი სახლიდან არ გასულა. ამის შემდეგ გ. ს-მა შეწყვიტა ლანდღვა-გინება და მუქარა და წავიდა. იგი დარწმუნებულია, რომ გ. ს. არ დაწყნარდება და კვლავ დაბრუნდება, შესაძლოა რამე დაუშავოს, მოკლას ან ჯანმრთელობა დაუზიანოს. დაზარალებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამყარებულია მოწმე ზ. მ-ას გამოკითხვის ოქმით, რომლითაც დგინდება, რომ 2022 წლის 21 ივნისს, დამით, გ.ს. მივიდა მათ საცხოვრებელ კორპუს-თან, იგინებოდა და ყვიროდა „ლ. ჩამოდი, თორემ ამოვალ და მოგკლავ!“ ამ სიტყვებზე ლ. ანერვიულდა და ამბობდა „მართლა ამოვა, მომკლავს და თქვენც რამეს დაგიშავებთო“. გ.ს-მ რამდენჯერმე დაიყვირა, რომ თუ ლ. არ ჩავიდოდა და არ დაელაპარაკებოდა, ავიდოდა სახლში და მოკლავდა. ანალოგიური დასტურდება მოწმე ო. მ-ის გამოკითხვის ოქმით, რომლითაც ირკვევა, რომ გ.ს. ხშირად მოიხმარს ალკოჰოლს, ნასვამი კი ხდება აგრესიული და უკონტროლო. 2022 წლის 21 ივნისს, დაახლოებით 01:00 საათზე, გ. ს. მეორედ მივიდა მათი კორპუსის მიმდებარედ და დაიწყო გინება, ასევე, ეძახდა ლ. მ-ას, რომ ჩასულიყო მასთან. ამ დროს სახლში მის გარდა იმყოფებოდნენ ლ. მ-ა და ზ. მ-ა. ისინი მიხვდნენ, რომ გ. ს. იყო ისევ ნასვამი, ამიტომ ხმა არ გასცეს, რაზეც ეს უკანასკნელი უფრო გაღიზიანდა და ლ. მ-ას დაუძახა, რომ თუ არ ჩავიდოდა და არ გაესაუბრებოდა, მაშინ ავიდოდა სახლში და მოკლავდა. ამის შემდეგ ო. მ-ი გამოვიდა ოთახიდან და შეხედა დედას – ლ. მ-ას, რომელიც იყო გაფითრებული და საგარაუდოდ შემისაგნ კანკალებდა. შესაბამისად, აღნიშნულ მოწმეთა გამოკითხვის ოქმებით უტყუარად დადგინდა, რომ გ. ს. დაზარალებულისგან მოითხოვდა თავისი ნება-

სურვილის საწინააღმდეგოდ ჩასულიყო და გასაუბრებოდა კორპუსის მიმდებარედ მყოფ გ. ს-ს, ამასთან, ემუქრებოდა, რომ თუ მის მოთხოვნას არ შეასრულებდა და არ ჩავიდოდა მასთან სასაუბროდ, მაშინ თვითონ ავიდოდა დაზარალებულთან სახლში და მოკლავდა. აღნიშნული კი ადასტურებს, რომ გ. ს-მა ჩაიდინა იძულება.

5.6. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეულ, ურთიერთშეჯერებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება გ. ს-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რის-თვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

## 6. სასჯელის დასაბუთება

6.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასჯელი სამართლანობს აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა. თავისუფლების აღკვეთა, როგორც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრესი ფორმა, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

6.2. „დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6.3. „მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება საკმარისი და თვითკმარი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენების-თვის, რადგან ასეთი მიღებომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწიფოს ხელში საზოგადოების „დაშინების იარაღად“, იძულების ღონისძიების გამოყენების მუქარის შიშველ ობიექტად, რაც გამორიცხულია და დაუშვებელი სამართლებრივ სახელმწიფოში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52).

**6.4.** სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს. მთავარია, არა დამნაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს დამნაშავის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების ადეკვატური.

**6.5.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალიზება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა, არასაპატიმრო ალტერნატივები.

**6.6.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ამავე მუხლის მე-3-4 ნაწილების შესაბამისად, ამ მუხლის პირველა ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის 55-ე მუხლით ან 63-ე

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არ-სებობისას სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესი. მოცემულ შემთხვევაში გ. ს-ს ბრალი ედება ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა, რაც წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებას, რის გამოც მას სასჯელი უნდა განესაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი წესით.

6.7. საკასაციო სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, პირის ინდივიდუალურ მახასიათებლებს (გ. ს-მა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, მტკიცებულებები მიიჩნია უდავოდ, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არის 62 წლის, ამასთან, მან დანაშაული ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ), სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე და 53<sup>1</sup>-ე მუხლების მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, გ. ს-ს განუსაზღვრავს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთას. მოცემულ შემთხვევაში გ. ს-სთვის განსაზღვრული სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია და სრულად შეესაბამება საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს (ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და მსჯავრდებულის პიროვნებას).

6.8. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალის პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ გ. ს-ს ბრალი ედება განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში და აღიარებს დანაშაულს. ამასთან, დანაშაულის ჩადენის დროს – 2022 წლის 21 ივნისს, მას წინა განაჩენით ნასამართლობა ჰქონდა გაქარყლებული და ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატას მიაჩნია, რომ არსებობს გ. ს-ს მიმართ დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის საფუძველი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სასჯელის მოხდის ფორმას, რომელსაც თან სდევს გამოსაცდელი ვადა და რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული. მას ნამდვილად გააჩნია მსჯავ-

რდებულზე ინდივიდუალური ზემოქმედებისა და კერძო პრევენციის ეფექტი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოსაცდელ ვადაში განმეორებითი განზრახი დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და სასჯელის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით დანიშვნის საფუძველს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დაგით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 24 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ს. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ჩატვალოს პირობით და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს – 2 წელი;

4. გ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩატვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 22 ივნისიდან 2022 წლის 24 ნოემბრის ჩატვლით;

5. პირობითი მსჯავრის აღსრულებისას, მსჯავრდებულ გ. ს-ს ყოფა-ქცევაზე კონტროლი და დახმარება დაევალოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სისხლის სამართლის პროცესი**  
**ზოგადი ნაწილი**  
**მტკიცებულება**

**ნივთიერი მფარიცებულების საპროცესო კონფიდენციალიტეტი**

**განაჩენი  
საქართველოს სახელის**

№172აპ-23

20 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატაშ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პრო-  
კურატურის პროკურორ მარიამ ქორიძის საკასაციო საჩივარი ქუ-  
თაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 8 დეკემბრის განა-  
ჩენზე.

**აღნერილობითი ნაწილი:**

**1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით დ. ფ-ს ბრა-  
ლად ეფებოდა:**

1.1. თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების  
მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
(შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“  
და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით;

1.2. განზრახ მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მი-  
ერ ცივი იარაღის ტარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქარ-  
თველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

1.3. ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა  
და შენახვა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-  
ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

**2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით დ. ფ-ს მიერ  
ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:**

2.1. 2014 წლის 1 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს  
განაჩენით თაღლითობისთვის გასამართლებული დ. ფ. 2019 წლის

18 მაისს, წ-ში, სოციალური ქსელის საშუალებით, დაუკავშირდა მ. ფ-ს, მისი ნაცნობის ა-ს მონაცემებით და შეცდომაში შეყვანის გზით, მოტყუებით გადაარიცხვინა თანხა – 260 ლარი ონლაინ ტოტალიზატორ „ა-ს“ მომხმარებელ „ქ-ის“ ანგარიშის ნომერზე – ..., რაც მის მიერ იქნა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული და ანგარიშზე მიმდევლი „I-ის“ ბარათის გამოყენებით თანხა გაიტანა წ-ში, დაბა ჯ-ში მდებარე „... ბანკის“ ბანკომატიდან.

2.2. 2014 წლის 1 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გასამართლებული დ. ფ. 2020 წლის 27 მაისს, დღის საათებში გადაადგილდებოდა წ-ში, დაბა ჯ-ში ...-ს ქუჩაზე, რა დროსაც იგი თან ატარებდა ქარხნული წესით დამზადებულ დანას, რომელიც მიეკუთვნება მჩხვლეტავ-მტრელ ცივ იარაღთა კატეგორიას.

2.3. წ-ში დ. ფ. მ უკანონოდ შეიძინა 7,68 გრამი ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანა, რასაც 2019 წლის 29 ნოემბრამდე, წ-ის რაიონის სოფელ ჩ-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ინახვდა უკანონოდ.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 8 ივნისის განაჩენით დ. ფ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალ-დებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.1. დ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1.1. საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების ადგევთა 2 წლით;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ჯარიმა 2000 ლარი;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ დ. ფ-ს განესაზღვრა – თავისუფლების ადგევთა 2 წლით და ჯარიმა 2000 ლარი.

3.2. დ. ფ-ს სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ ქორიძემ, რომელმაც მოითხოვა დ. ფ. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 8 დეკემბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 8

ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წე-  
სით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკუ-  
რორმა მარიამ ქორიძემ, რომელიც ითხოვს დ. ფ-ს საქართველოს  
სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-  
პუნქტებით დამნაშავედ ცნობას და მისთვის შესაბამისი სასჯე-  
ლის განსაზღვრას.

7. საქართველოს უზენაეს სასამართლოში ქუთაისის სააპელა-  
ციო სასამართლოდან გადმოგზავნილი დაკავების 2023 წლის 3 მარ-  
ტის ოქმის თანახმად, დ. ფ. დააკავეს 2023 წლის 3 მარტის 02:55  
საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ნარ-  
მოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ზუგდიდის  
რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ქორიძის საკასაციო  
საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, იმავდროულად, გასაჩივრე-  
ბულ განაჩენში, ნივთმტკიცების ნაწილში, უნდა შევიდეს ცვლი-  
ლება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესა-  
ხებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>1</sup> მუხლსა და საქართველოს სის-  
ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართვე-  
ლოს სსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამარ-  
თლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს  
დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v.  
Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ და-  
საბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხა-  
რების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დატაღური პასუ-  
ხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, §31, ECtHR, 11/11/2011)  
და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არ-  
ღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., Gorou v.  
Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

3. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-  
ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი გა-  
ნიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ  
შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა  
პროკურორმა, რომელიც ითხოვს დ. ფ-ს მსჯავრდებას პირის ბრალ-  
დების შესახებ დადგენილებით ზარდგენილი კვალიფიკით, კერ-  
ძოდ: საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და სა-  
ქართველოს სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებას-  
თან ერთად, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“

და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. ამდენად, იმ პირობებში, რო-  
დესაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაცვის მხა-  
რეს არ გაუსაჩივრებია, დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემო-  
ება, რომ დ. ფ-მ ჩაიდანა საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2  
ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით  
გათვალისწინებული დანაშაულები და დავის საგანია მხოლოდ იმ  
საკითხის გარევევა ჩაიდანა თუ არა მან თაღლითობა.

4. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მოთხოვ-  
ნებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებუ-  
ლი ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულე-  
ბები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად  
შეაფასა და გასაჩივრებულ განაჩენში მიუთითა იმ ფაქტობრივ გა-  
რემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებმაც დ. ფ-ს საქართვე-  
ლოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“  
ქვეპუნქტებით გამართლება განაპირობა. იმავდროულად, საკასა-  
ციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარემ ზუგ-  
დიდის რაობულ სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის  
მოთხოვნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მი-  
მართა იმავე (იდენტურ) არგუმენტზე დაყრდნობით, რომლებიც  
საკასაციო საჩივარშია ჩამოყალიბებული. გასაჩივრებულ განაჩენ-  
ში კი დეტალური მსჯელობაა წარმოდგენილი, მათ შორის, ბრალ-  
დების მხარის ყველა არგუმენტზე, შესაბამისად, სასამართლოს მი-  
ზანშენონილად არ მიაჩნია გასაჩივრებულ განაჩენში მითითებუ-  
ლი იმ არგუმენტების გამეორება, რასაც საკასაციო სასამართლოც  
ეთანხმება.

5. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი ხასია-  
თის მტკიცებულება (არა თუ მტკიცებულებათა ერთობლიობა), რო-  
მელიც დაადასტურებდა, რომ 2019 წლის 18 მაისს სოციალური ქა-  
ლის საშუალებით დ. ფ. დაუკავშირდა მ. ფ-ს, მისი ნაცნობის ა-ს  
მონაცემებით და მოტყუებით გადაარიცხვინა 260 ლარი ონლაინ  
ტოტალიზატორ „ა-ს“ „მომსახურებელ „ქ-ის“ ანგარიშის ნომერზე – ...  
და თანხა გაიტანა მასზე (ანგარიშზე) მიბმული ბარათის – „I-ის“  
გამოყენებით წ-ში, დაბა ჯ-ში მდებარე „... ბანკის“ ბანკომატიდან.

6. იმ პირობებში, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება განხორ-  
ციელდა 2019 წლის მაისში, ხოლო „I-ის“ ბარათი დ. ფ-ს სახლიდან  
ამოღებული იქნა მოგვიანებით 2019 წლის ნოემბერში, ასევე იმის  
გათვალისწინებით, რომ ბარათის მესაკუთრის გ. ქ-ას განმარტე-  
ბით, მისი ბარათით სარგებლობდა არაერთი (ბევრი) პირი და მათ-  
თვის (ყველასთვის) ცნობილი იყო პაროლი, რასაც ასევე ადასტუ-  
რებს დ. ფ-ც (განმარტა, რომ არაერთხელ უსარგებლია აღნიშნული

ბარათით), მხოლოდ ის გარემოება, რომ მომხდარი დანაშაულიდან ნახევარი წლის შემდეგ დ. ფ-ს სახლში აღმოჩნდა სადაცო ბარათი, a priori არ მიუთითებს მის მიერ ბრალად წარდგენილი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მართალია დ. ფ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრევის შედეგად ამოღებული იქნა ბარათი, თუმცა უტყუარად იმის დადგენა, რომ აღნიშნული დანაშაული დ. ფ-მ განახორციელა, შეუძლებელია.

7. სასამართლო კულავაც აღნიშნავს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43). საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსებოდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

8. ამდენად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ დ. ფ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, ვინაიდან აღნიშნულზე არ მიუთითებს საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება.

9. რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენით ნივთიერი მტკიცებულების – დანის განადგურების საკითხს, საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე ნივთმტკიცებად ცნობილ დანასთან მიმართებით, კერძოდ:

9.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 8 ივნისის განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მითითებულია, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, დ. ფ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას დანაშაულის საგანი – დანა, თუმცა იმავე განაჩენში განმარტებულია საქართველოს

სსსკ-ის 81-ე მუხლი და ნივთმტკიცებად ცნობილი დანის ბედი გა-დაწყვეტილია განსხვავებულად, კერძოდ მითითებულია, რომ უნ-და განადგურდეს, იგივეს იმეორებს განაჩენის სარეზოლუციო ნა-ნილო.

9.1. გასაჩივრებულ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 8 დეკემბრის განაჩენში (რომლითაც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 8 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად) მითითებული დანის განადგურების შესახებ აღნიშნულია მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში, თუმცა საკანონმდებლო დანაწესის გან-მარტების გარეშე.

10. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ერთი მხრივ საქარ-თველოს სსსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომელიც ადგენს დანა-შაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზ-ნული ნივთის საპროცესო კონფისკაციას და იმავდროულად – სა-ქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, „თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებუ-ლება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირე-ბულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია“.

10.1. საკასაციო სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ საქარ-თველოს სსსკ-ის 81-ე მუხლი არ ითვალისწინებს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განაჩენში ნივთმტკიცების სა-კითხის გადაწყვეტილას და ადგენს დანაშაულის იარაღის ან საგნის (რომელსაც აქვს რაიმე ღირებულება) საპროცესო კონფისკაციის ვალდებულებას და არა შესაძლებლობას (მაგალითისთვის იხ. სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 9 მარტის განაჩე-ნი N№731აპ-21). შესაბამისად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დანა წარმოადგენს დანაშაულის საგანს და საქმეში წარმოდგენი-ლი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ მას არ გააჩნია რაიმე ღირებულება – არ არსებობს მისი განადგურების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევა-ში უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი დანის საპროცესო კონფისკაცია.

11. გარდა აღნიშნულისა საკასაციო სასამართლო ითვალისწი-ნებს, რომ: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 8 დე-კემბრის განაჩენით უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სა-სამართლოს 2022 წლის 8 ივნისის განაჩენი, რომლის თანახმად, დ. ფ. ცნობილ იქნა დამნაშავედ, მათ შორის – ნარკოტიკული საშუა-ლება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა და შენახვისათვის, დანაშაუ-ლი, გათვალისწინებული საქართველოს სსსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – ჯარიმა 2000 ლარი;

11.1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, პირი, რომელმაც, მათ შორის – ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273<sup>1</sup>-ე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების - მცენარე კანაფის ან მარიხუანის - გასაღების მიზანი) მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არის ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობის, ხოლო „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს ან ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს 10 წლით უნდა ჩამოერთვას – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობის, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

11.2. შესაბამისად, დ. ფ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 10 წლით უნდა ჩამორთმეოდა საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობის უფლებები, ხოლო 5 წლით – სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

11.3. განსახილველ შემთხვევაში არც პირველი და არც სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დ. ფ-ს საქართველოს სსკის 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეფარდებულ სასჯელთან ერთად, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა მიუხედავად, არ ჩამოერთვა მითითებული უფლებები.

11.4. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ კასატორს არ მოუთხოვია ზემოაღნიშნული უფლებების ჩამორთმევა და საჩივარი მიემართება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებაში გამართლებული დ. ფ-ს დამნაშველ ცნობისაკენ, შესაბამისად, საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 308-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლო მოკლებულია საკუთარი ინიციატივით მსჯავრდებულის მიმართ გამოყენოს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა და მიიღოს მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ქორიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 8 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
3. საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოხდეს ნივთიერი მტკიცებულების – დანის – საპროცესო კონფისკაცია;
4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პერპო ნაწილი

### 1. კასაცია

#### საკასაციო განაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუძვება და მის  
ცაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის  
180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „პ“ ქვეპუნქტით

განაჩენი  
საქართველოს სახელით

№37აპ-23

16 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),  
შ. თალუმაძე,  
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსამენის გარეშე განიხილა ქვემო ქართლის საოლქო  
პროკურორულის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთე-  
ვან სონიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამარ-  
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემ-  
ბრის განაჩენზე.

#### აღნერილობითი ნაწილი:

- ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ს. თ-ს ბრალი  
დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების  
მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში მოტყუებით, რამაც მნიშვნე-  
ლოვანი ზიანი გამოიწვია; მის მიერ ბრალად წარდგენილი ქმედება  
გამოიხატა შემდეგში:
- ს. თ-მა განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზ-  
ნით, მოტყუებით დაუფლებოდა წ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-  
ი მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, 10000 კვ.მ სა-  
სოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. განზრახვის  
განხორციელების მიზნით, 2010 წლის 10 მარტს, ს. თ-მა, მიმართა  
საკუთრების უფლების აღიარების წ-ს მუნიციპალიტეტის საკრე-  
ბულოს მუდმივმოქმედ კომისიას, სადაც განცხადებასთან ერთად  
წარადგინა ყალბი ინფორმაციის შემცველი ცნობები, რომელთა თა-  
ნახმად, თითქოს, მასზე 2004 წლიდან გამოყოფილი იყო ზემოაღ-  
ნიშნული მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებდა საქონლის საძოვ-

რად და მოითხოვა მასზე საკუთრების უფლების აღიარება.

2010 წლის 18 ივნისს, კომისიამ განიხილა ს. თ-ის განცხადება და კომისიის თავმჯდომარის ნ. ჩ-ს მიერ გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა № რომელიც ს. თ-მა საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების მიზნით 2013 წლის 2 აპრილს ნარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნ-ს სარეგისტრაციო სამსახურში.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ 2007 წლის 11 ივლისის კახონის მეორე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებული მიწა არის – ამ კანონის ამოქმედებამდე ფიზიკური პირის მიერ თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულა საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან არა-საცხოვრებელი დანიშნულების შენობა (აშენებული), ასევე დაინტერესებული ფიზიკური პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე, თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი (შენობით ან მის გარეშე), რომლის ფართობიც ნაკლებია საკუთრებაში ან მართლზომიერ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, ს. თ-ის საკუთრების უფლების აღიარება განხორციელდა კანონის უგულებელყოფით, ვინაიდან მასზე არ იყო განთავსებული საცხოვრებელი სახლი (აშენებული ან დანგრეული) ან შენობა (აშენებული) და ის არც ს. თ-ის მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარეობდა.

2013 წლის 8 აპრილს, ნ. ჩ-ამ წერილობით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნ-ს სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ს. თ-ისათვის არ დაერეგისტრირებინათ მიწის ნაკვეთი, ვინაიდან № საკუთრების მოწმობა გაიცა შეცდომით და იყო გაუქმებული, რის საფუძველზეც საჯარო რეესტრში შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება.

ს. თ-ისათვის ცნობილი იყო საკუთრების მოწმობის № უკანონდების, მისი გაუქმებისა და ამ საფუძვლით მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, მიწის ნაკვეთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მან 2014 წლის 1 დეკემბერს განცხადებით კვლავ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნ-ს სარეგისტრაციო სამსახურს, სადაც კვლავ წარადგინა იურიდიული ძალის არმქონება საკუთრების უფლების მოწმობა № და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

2014 წლის 5 დეკემბერს ს. თ-მა საკუთრებაში დაირეგისტრირა

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი, რითაც მოტყუებით დაეუფლა წ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ი მდებარე, სახელმწიფოს საკუთ-რებაში არსებულ, 5400 ლარად ღირებულ 10000 კვ.მ სასოფლო-სა-მეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს.კ ...), რამაც მნიშვნე-ლოვანი ზიანი გამოიწვია.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა კოლეგიის 2021 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით:

ს. თ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართვე-ლოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგე-ნილ ბრალდებაში;

გამართლებულ ს. თ-ს განემარტა საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების თაობაზე.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის განაჩენით:

ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ და-მაყოფილდა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – პროკურორმა ქეთევან სონიძემ მოითხოვა ს. თ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და სა-მართლიანი სასჯელის განსაზღვრა.

4.1. საკასაციო საჩივრის მიხედვით, სასამართლომ უგულებელ-ყო 2004 წელს გაცემულ ცნობაში დაფიქსირებული ჩანაწერი, რომ მიწის ნაკვეთი ს. თ-ს ჰქონდა გამოყოფილი. მან გვერდი აუარა ტერ-მინს – „გამოყოფილი“ და იმავდროულად გაიზიარა დაინტერესე-ბული პირების – ა. მ-ა და ს. თ-ის ჩვენებები, რომ თითქოს, ხსენე-ბული ტერმინი გულისმობდა სარგებლობას. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი მართლაც იყო გამოყოფილი ს. თ-ზე, მაშინ მოცემუ-ლის დასადასტურებლად უნდა არსებულიყო ოფიციალური დოკუ-მენტი. ფაქტი, რომ ს. თ-ს არასოდეს გამოპყოფია სადაც მიწის ნაკვეთი, ცნობილი იყო მისთვის; ისევე, როგორც ნათელი იყო, რომ ლეგალიზების კომისიაში წარდგენილი 2004 წელს გაცემული ცნო-ბა ყალბ ინფორმაციას შეიცავდა. სახელმწიფო საკუთრებაში არ-სებული მიწის ნაკვეთის გამოყოფა სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოქცეულიყო, მიწა უნდა გადაცემულიყო ან იჯარით, ან საკუთრე-ბის უფლებით, რასაც არეგულირებდა იმ დროისათვის მოქმედი კა-ნონმდებლობა, მათ შორის – „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ სა-ქართველოს კანონი და ა.შ. საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენ-ტოს გადაწყვეტილებაში, რომლითაც შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, მითითებულია წ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან

არსებული სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წერილი (თუმცა, გადაწყვეტილებაში წერილის შინაარსი მოცემული არ არის). სასამართლოს განმარტება, რომ ს. თ-მა ქართულად წერა-კითხვა არ იცის, ენინააღმდეგება სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს, ვინაიდან თავად ბრალ-დებულს აქვს გარკვეული განცხადებები შედგენილი ქართულ ენაზე (რომლითაც საჯარო რეესტრს მიმართა).

5. დაცვის მხარემ, ს. თ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – თ. ს-მ და მ. ღ-მ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე წარმოადგინეს შესაგებელი, რომლითაც მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის ძალაში დატოვება. ადვოკატები უთითებენ, რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში საკუთრების გაუქმების შესახებ აღიარების კომისიის გადაწყვეტილება არ არსებობს და საკუთრების მოწმობა ამჟამადაც კანონიერია. ს. თ-ის № საკუთრების მოწმობა ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობილი არ არის. ს. თ-ის სისხლის სამართლის საქმე არ აქმაყოფილებს საპროცესო კანონმდებლობის იმ სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც საჭიროა უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის.

### სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ს. თ-ი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

2. საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებული აქვს, რომ თაღლითობის თავისებურება გამოხატულია მისი ჩადენის ხერხში; „ქონებრივი სარგებლის მიღება (ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მოპოვება) უნდა განხორციელდეს მოტყუებით. შესაბამისად, არ არის საკმარისი მხოლოდ მატერიალური სარგებლის მიღება, აუცილებელია დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და დანაშაულის სპეციალური ხერხით – დაზარალებულის მოტყუებით/ნდობის ბოროტად ვამოყენებით – ჩადენა. მოტყუება, გულისხმობს ჭეშმარიტების განზრას დამახინჯებას ან გარკვეულ გარემოებათა განზრას დაფარვას ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით (მაგალითად, წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემების შეტყობინება ან იურიდიუ-

ლი მნიშვნელობის ფაქტების დაფარვა, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის) ... „ქმედების სსკ-ის 180-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია რეალობის დამახინჯებულად მიწოდების მტკაცება“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს №698აპ-19 გადაწყვეტილება).

3. განსახილველ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია ძირითადად დაეფუძნა სწორედ იმ არგუმენტს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზით ს. თ-ის ქმედებაში არ იკვეთებოდა თაღლითობის შემადგენლობისათვის აუცილებელი ნიშანი – მოტყუება და, აქედან გამომდინარე, ს. თ-ის ბრალეულობის მტკიცება სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული. სააპელაციო სასამართლოს ხსენებულ მოტივაციას, საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები უტყუარად მიუჰითებს ბრალდებულის ქმედებაში თაღლითობის შემადგენლობის ყველა სავალდებულო ნიშნის ერთობლივად არსებობაზე.

4. ს. თ-ის მიერ 2010 წლის 10 მარტს საკუთრების უფლების აღიარების წ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიასთან წარდგენილ ცნობებთან მიმართებით, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაიკითხენ მოწმეები – ვ. გ-ი და ა. მ-ი, კერძოდ:

2004 წლის 23 მარტის ცნობის თანახმად დგინდება, რომ 2004 წელს ს. თ-ზე ნამდვილად იყო გამოყოფილი 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, პირადი გამოყენებისათვის, საქონლის საძოვრად, ზაფხულის პერიოდში. ცნობას ხელს აწერს: ს. თ-ი, როგორც სოფელ წ-ს საკრებულოს თავმჯდომარე და დეპუტატი ვ. გ-ი.

მოწმე ვ. გ-მა დაადასტურა, რომ იყო სოფელ წ-ს დეპუტატი, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ გაიხსნა ს. თ-ზე გამოყოფილი იყო თუ არა მიწის ნაკვეთი და ცნობას მოაწერა თუ არა ხელი. შესაბამისად, ამ ჩვენებას საკასაციო სასამართლო მიწის გამოყოფის მტკიცების დამადასტურებლად ვერ გამოიყენებს.

რაც შეეხება ა. მ-ს (გამგებლის რწმუნებული), იგი ხელს აწერს, 2010 წლის 10 თებერვლის ცნობას, რომლის თანახმადაც, ს. თ-ი 2004 წლიდან იყენებს 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთს სახელწოდებით „ყალა“.

მოწმე ა. მ-მა დაადასტურა მის მიერ გაცემული ზემოაღნიშული ცნობის სისწორე და განმარტა, რომ 2010 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით, მუშაობდა წ-ს მუნიციპალიტეტში გამგებლის წარმომადგენლად. მის ფუნქციებში შედიოდა გამგებლის განკარგულებების შესრულება და მიწების საკითხების შესწავლა. ს. თ-ი რომ ნამდვილად სარგებლობდა მითითებული მიწის ნაკვეთით, იცის იქი-

დან, რომ მისი თანასოფლელია და ყოველ ზაფხულს საძოვრად იყენებდა. მისი განმარტებით, მიწა არ იყო შემოლობილი და დანგრეული ბეტონის ნარჩენები ეყარა. დაცვის მხარის კითხვაზე მოწმემ დაადასტურა, რომ ცნობა კანონიერად გასცა, ვინაიდან ს. თ-ი ნამდვილად სარგებლობდა ამ მიწის ნაკვეთებით.

5. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში შეაფასა ა. მ. ჩვენებასა და მის მიერ გამოძიების ეტაპზე, გამოკითხვის დროს მიწოდებულ ინფორმაციას შორის შესაძლო წინააღმდეგობის არსებობის ფაქტი, კერძოდ, მოწმეს გამოძიების სტადიაზე დაესვა შეკითხვა: „აღნიშნული ერთი ჰექტარი მიწით ს. თ-ის გარდა, სარგებლიობდა თუ არა სხვა პირი?“ რაზედაც მან უპასუხა, რომ ეს მიწა იყო ღია ტერიტორია, საძოვარი, ერთი დიდი მიწოდორი და მთელი სოფელი იყენებდა ამ მიწას საძოვრად (მათ შორის მიუთითებს ს. თ-ზე). სასამართლოში კი ამავე მოწმემ განაცხადა, რომ მხოლოდ ს. თ-ი იყენებდა მოცემულ მიწას საძოვრად. ხსენებული საკითხი სააპელაციო სასამართლომ შეაფასა ისე, რომ მოწმის ჩვენებაში წინააღმდეგობრივი არაფერი იყო. ამ მითითებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, ფაქტობრივად შეუძლებელია, მოწმის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია აბსოლუტურად იდენტური იყოს სასამართლო სხდომაზე მიწოდებულ ჩვენებასთან, მაგრამ მოცემულ ვითარებაში უნდა შეფასდეს, რამდენად მსგავსად უთითებდა მოწმე იმგვარი სახის ფაქტებზე, რომლებიც უშუალოდ გავლენას ახდენს ქმედების კვალიფიციაზე. განსახილველ საქმეში ასეთი სახის გარემოებას მათ შორის წარმოადგენს – თუ ვინ იყენებდა ხსენებულ მიწას, ვინაიდან ბრალდების შესახებ დადგენილების ფაბულაში მითითებულია, რომ: „2010 წლის 10 მარტს, ს. თ-მა მიმართა საკუთრების უფლების აღიარების წ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიას, სადაც განცხადებასთან ერთად წარადგინა ყალბი ინფორმაციის შემცველა ცნობები, რომელთა თანახმად, თითქოს, მასზე 2004 წლიდან გამოყოფილი იყო ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი, რომელსაც იყენებდა საქონლის საძოვრად და მოითხოვა მასზე საკუთრების უფლების აღიარება.“

6. ამდენად, ა. მ-მა გამოძიების სტადიაზე მიუთითა, რომ სადაც მიწას იყენებდა მთელი სოფელი (მათ შორის ს-ი), ხოლო სასამართლოში დაასახელა მხოლოდ ს. თ-ი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული ორი გარემოება ენინააღმდეგება ერთმანეთს. ამასთან, გარდა იმისა, რომ სასამართლომ ამგვარი სახის ფაქტებზე უნდა შეაფასოს წინააღმდეგობის არსებობა/არარსებობის ფაქტი, მან აგრეთვე, უნდა გააანალიზოს, რით იყო განპირობებული წარმოდგენილი სხვაობა და არის თუ არა მოწმის განმარტება ამ

ნაწილში დასაბუთებული და დამაჯერებელი, რათა საბოლოოდ და-ასკვნას, თუ რამდენად არის შესაძლებელი, დაეყრდნოს მოცემულ მტკიცებულებაში მითითებულ ფაქტებს – პირის გამართლების ან გამტყუნების კონტექსტში. მოცემულ შემთხვევაში, პროკურორ-მა მოწმეს არაერთხელ სთხოვა, აეხსნა, თუ რამ განაპირობა ხსე-ნებული ფაქტების წინააღმდეგობრივი ფორმით გადმოცემა, რა-ზედაც ა. მ-მა უპასუხა, რომ: „კონკრეტულად არ მახსოვს, შეიძ-ლება ვიგულისხმე გვერდზე და სხვა მინის ნაკვეთები და არა კონ-კრეტულად, ეს“. საკასაციო სასამართლოსათვის აღნიშნული გან-მარტება ჯეროვნად და საქმირისად ვერ ხსნის განსახილველ სის-ხლის სამართლის საქმეში მნიშვნელოვანი სახის ფაქტებს შორის წინააღმდეგობის მიზეზებს. ამასთან, მოცემულ სამართლებრივ ვი-თარებაში, იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ სოფლის მოსახლეობა ს. თ-ისათვის მინის საკუთრებაში გადაცე-მასთან მიმართებათ ჩიოდა, მეტად ამყარებს ბრალდების მხარის მითითებას, რომ სადაცო მინის ნაკვეთი უშუალოდ ს. თ-ზე რეალუ-რად გამოყოფილი არ ყოფილა (ბრალდების შესახებ დადგენილე-ბის თანახმად, საკუთრების აღიარების კომისიაში წარდგენილი ცნობები სწორედ იმის მტკიცებას ეფუძნებოდა, რომ უშუალოდ ს. თ-ი იყენებდა საქონლის საძოვრად სადაცო მინას), კერძოდ:

7. მოწმე კ. ს-ს განმარტებით (წ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტო-რიაზე მინის ნაკვეთების საკუთრების უფლების აღიარების კომისიი-აში, 2011 წლიდან 2015 წლის ჩათვლით მუშაობდა), მას ახსოვს ს. თ-ის მინის გამოყოფის შემდეგ მოსახლეობის საჩივრების არსებობის ფაქტი. უშუალოდ საჩივარი მატერიალურად მას არ უნახავს, მაგრამ გაუქმების გადაწყვეტილება კომისიამ ამ საჩივრების საფუძველზე მიიღო. მომჩინენთა ვინაობა არ იცის, ვერ დაიმახსოვრებდა.

8. საკასაციო სასამართლო აფასებს, მოწმე ჯ. ჩ-ს ჩვენებასაც; მან მიუთითა, რომ ამჟამად მუშაობს წ-ს მუნიციპალიტეტში ქონე-ბის მართვის სამსახურის უფროსად. რამდენადაც ახსოვს, 2007-2014 წლებში მუშაობდა აღიარების კომისიაში, იყო თავმჯდომარის მო-ადგილე; თავმჯდომარე იმ პერიოდში იყო ნ. ჩ. (თუმცა თ-ს ეძახიან). ს. თ-ის საკუთრების მოწმობის გაცემის დროს საკითხის განხილვაში არ მონაწილეობდა, თუმცა მისთვის ცნობილია, რომ მოსახლეობა ჩიოდა ამ საკითხზე (კერძოდ, რომ მინის ნაკვეთი მუნიციპალიტე-ტის საკუთრება იყო). მინის ნაკვეთის აღიარება თავიდანვე მოხდა არასწორად და ამიტომ კომისიამ ხელახლა იმსჯელა ამ საკითხზე და კენჭისყრის შედეგად გააუქმა საკუთრების მოწმობა.

9. მოსახლეობის ჩივილთან მიმართებით საუბრობს მოწმე ნ. ჩ. (მას 2007 წლიდან 2014 წლის მაისამდე ეკავა საკუთრების უფლების აღიარების წ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი

კომისიის თავმჯდომარის პოზიცია), კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ 2010 წელს კომისიას განცხადებით მიმართა ს. თ-მა და მოითხოვა წ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ი მდებარე 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. ს. თ-მა კომისიაში წარადგინა პასპორტის ასლი და რამდენადაც ახსოვს, 2-3 ცნობა. შეისწავლეს მასალები, საიდანაც დასტურდებოდა, რომ ამ მიწის ნაკვეთს ს. თ-ი იყენებდა 2004 წლიდან. ის რწმუნებულსა და ს-ს გაესაუბრა ზეპირად. კომისიამ იმსჯელა. შესაძლოა, მასალები არ იყო საკმარისი, მაგრამ, რადგან 2007 წლამდე სარგებლობდა ამ მიწის ნაკვეთით, საკითხი გადაწყვდა დადებითად და გაიცა 2010 წლის 18 ივნისით დათარიღებული მოწმობა, რომლის მიხედვით, ს. თ-ს საკუთრებაში გადაეცა 10000 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2011 წლის ზაფხულიდან სოფლის მცხოვრებლებმა მიმართეს, რომ ხსენებულ მიწის ნაკვეთს სოფელ ნ-ს მოსახლეობა საძოვრად იყენებდა და პრეტენზია ჰქონდათ მის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო, კომისიამ თავიდან შეისწავლა ს. თ-ზე საკუთრების მოწმობის გაცემის საკითხი და დაადგინა, რომ საკუთრების მოწმობა არასწორად ჰქონდათ გაცემული, მიწის ნაკვეთი იყო საძოვარი და ს. თ-ი ამ მიწით არასდროს სარგებლობდა. წარმოდგენილმა ცნობებმა შეცდომაში შეიყვანა. როგორც დადგინდა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი წ-ს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 2009 წელს, როგორც საძოვარი. მან კომისიის წევრებს მოახსენა საქმის ვითარება, კვლავ იმსჯელეს და საოქმო გადაწყვეტილებით გაუქმდა ს. თ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა.

10. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით დაიკითხა ს. კ-ე; მოწმემ განაცხადა, რომ მოცემულ საქმეზე 2018 წლის 25 ივლისს დაიწყო გამოძიება, რომელსაც საფუძვლად დაედო საჩივარი ს. თ-ის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორი არ გამოკითხულა, იმ მოტივით, რომ განცხადებაში არ იყო დაკონკრეტებული გარკვეული სახის გარემოებები, თუმცა მის შინაარსში იკვეთებოდა კონკრეტული ფაქტების შესწავლის საჭიროება.

11. ამდენად, მოსახლეობის საჩივარს ფაქტობრივად წარმოადგენდა ის, რომ მიწის ნაკვეთს იმავე სოფლის მოსახლეობა იყენებდა და საძოვრად და მუნიციპალიტეტის საკუთრება იყო, კერძოდ, მოწმე 6. ჩ-ა მიუთითა, რომ როგორც დადგინდა, აღნიშნული მიწა წ-ს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 2009 წელს, როგორც საძოვარი. ამდენად, განსახილველ სამართლებრივ მოცემულობაში მოსახლეობის პრეტენზიას ჰქონდა ლოგიკური საფუძველი, რაც თავისთავად ეჭვებს არ აჩენს მათი პროტესტის რეალურ ხასიათთან მიმართებით.

12. ამასთან, 2018 წლის 24 სექტემბრის მიწის ნაკვეთის დათვა-ლიერების ოქმითა და თანდართული ფოტოსურათებით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს წ-ს რაიონის სოფელ ნ-ი. ს. თ-მა მიუთითა გაშლილ მინდორზე დაფარული ბალახით და აღნიშნა, რომ 1 ჰექტარი ფართობი არის მისი; ასევე მიუთითა, რომ მიწის ნაკვე-თის ზუსტი საზღვრები და კორდინატები არ იცის. მიწის ნაკვეთი შეულობავია, დაუმუშავებელი/მასზე არ არის რაიმე დათესილი, ს. თ-ის განმარტებით, საძოვარია. მიწის ნაკვეთზე დგას დანგრეული შენობა, რომელიც წარმოადგენს სამი ბეტონის ლია კედელს, სახუ-რავის გარეშე. მის პირდაპირ ბალახით დაფარული ბეტონის აუზია. ს. თ-ის განმარტებით, (ადვოკატი – მ. ღ. ესტრებოდა დათვალიერებას), ეს შენობა იყო კომუნისტების დროს აშენებული ქვის სამ-ტეხლო (მისი აშენებული არ არის). მოწმე ნ. მ-ემ აღნიშნა, რომ დათ-ვალიერება ჩაატარა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მას-ში მითითებული იყო მიწის ნაკვეთის კორდინატები, საკადასტრო კოდი. მას თან ახლდნენ გეოდეზისტები.

13. ამდენად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქციებს იმ გარემოებას, რომ ს. თ-მა ზუსტ საზღვრებსა და კორდინატებ-ზე მიწის ნაკვეთის დათვალიერების ფარგლებში ვერ მიუთითა. სა-კასაციო შესაგებელში მოცემულ საკითხთან მიმართებით, ადვო-კატები აღნიშნავნ, რომ 1 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საზღვრების ზეპირად მითითება, თითის ჩვენებით ნებისმიერი პირისათვის ძა-ლიან ძნელია. საკასაციო პალატა დაცვის მხარის მოცემულ არგუ-მენტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ პირის მიერ კონკრეტულ ტერიტორიასთან მიმართებით მტკიცება, რომ მისი საკუთრება/ მფლობელობაშია, ამავე ტერიტორიის საზღვრების ცოდნის გარე-შე, – აჩენს გარკვეული სახის ეჭვებს მოცემული ტერიტორიის ამა-ვე პირის საკუთრებაში/მფლობელობაში ყოფნასთან მიმართებით, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუ აღნიშნული პირი ხსენებულ ტე-რიტორიას კონკრეტული მიზნით, მაგალითად, საძოვრად იყენებს (პირველი ინსტანციის სასამართლოში ს. თ-ი უთითებდა, რომ ამ მიწას იგა ფლობდა და სარგებლობდა).

14. ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული გარემოების ერთობლივი ანალიზი ვერ ადასტურებს ს. თ-ის მიერ საკუთრების უფლების აღი-არების კომისიისათვის წარდგენილ ცნობათა რეალურ ხასიათს, ვი-ნაიდან:

– მოწმე ვ. გ-მა ვერ გაიხსენა, ს. თ-ზე გამოყოფილი იყო თუ არა მიწის ნაკვეთი და მოაწერა თუ არა ცნობას ხელი;

– სხვა პირი, რომელიც დაადასტურებდა ს. თ-ის მიერ სადაც მიწის გამოყოფის/გამოყენების ფაქტს (გარდა თავად ს. თ-ისა) – არის მხოლოდ ა. მ-ი, რომლის ჩვენებაც, როგორც აღინიშნა, მნიშ-

ვწელოვანი სახის ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით ეწინა-აღმდეგება – გამოძიების სტადიაზე მიცემულ გამოკითხვის ოქმში მითითებულ ინფორმაციას, კერძოდ, როგორც აღინიშნა, ა.მ-მა გა-მოძიების სტადიაზე მიუთითა, რომ სადაც მინას იყენებდა მთე-ლი სოფელი (მათ შორის – ს-ი), ხოლო სასამართლოში მიუთითა მხო-ლოდ ს. თ-ზე;

– ზემოაღნიშნული წინააღმდეგობრივი განმარტების პარალე-ლურად, საკასაციო სასამართლო ყურადღების მიღმა არ ტოვებს მოწმეთა იმ ჩვენებებს, რომლებიც მიუთითებენ იმავე სოფლის მო-სახლეობის პროტესტზე – სადაც მინის ს. თ-ის მიმართ გადაცე-მასთან მიმართებით. მოწმე ნ. ჩ-ა განაცხადა, რომ სოფლის მცხოვ-რებლებმა მიმართეს, რომ ხსენებულ მინის ნაკვეთს სოფელ ნ-ს მოსახლეობა საძოვრად იყენებდა და პრეტენზია ჰქონდათ მის სა-კუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით და, როგორც დადგინ-და, აღნიშნული მინის ნაკვეთი ნ-ს მუნიციპალიტეტის საკუთრე-ბაში დარეგისტრირდა 2009 წელს, როგორც საძოვარი.

– 2018 წლის 24 სექტემბრის მინის ნაკვეთის დათვალიერების ოქმის მიხედვით, ს. თ-მა ნაკვეთის ზუსტ საზღვრებსა და კოორ-დინატებზე ვერ მიუთითა.

– ამასთან, სხვა რაიმე უტყუარი სახის დოკუმენტი ს. თ-ის მიერ ამ მინის ფლობასთან მიმართებით, საქმეში წარმოდგენილი არ ყო-ფილა.

15. რაც შეეხება კომისიის თავმჯდომარის მიერ №794 საკუთ-რების უფლების მოწმობის გაცემის შემდგომ განვითარებულ მოვ-ლენებს, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში აფასებს მოწმეების – ნ. ჩ-ს, კ. ს-ს, ო. ხ-ს, ზ. ჩ-ს ჩვენებებს და საქმეში წარმოდგენილ წერილობითი სახის მტკიცებულებებს.

16. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმე ნ. ჩ-ს განცხა-დებით, მან საჯარო რეესტრის ნ-ს სამსახურს წერილობით ოფიცი-ალურად აცნობა, რომ საკუთრების მოწმობა იყო გაუქმებული და მის საფუძველზე ს. თ-ისათვის მინის ნაკვეთი არ დაერეგისტრი-რებინათ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ერთდროულად იყო, რო-გორც საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე, ასევე – სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქ-ტურის კომისიის თავმჯდომარე და საჯარო რეესტრში გაგზავნილ 2013 წლის 8 აპრილის წერილზე სწორედ ამიტომა მისი სახელის გასწორივ ამ თანამდებობით მითითებული. საჯარო რეესტრმა აღ-ნიშნული წერილის საფუძველზე შეწყვიტა წარმოება და ს. თ-ის სახელზე მინის ნაკვეთი არ დაარეგისტრირა. როდესაც ამ საქმით პროცეურატურა დაინტერესდა, მაშინ შეიტყო, რომ მინის ნაკვეთი ს. თ-მა მაინც დაირეგისტრირა. მოწმის განმარტებით, როგორც სა-

კუთრების მოწმობის გაცემის, ასევე გაუქმების საკითხზე შედგა კომისიის სხდომის ოქმები, სადაც ასახული იყო გადაწყვეტილებები. 6.ჩ-ა განაცხადა, რომ საკუთრების გაუქმების შესახებ კომისიის სხდომის ოქმი ს. თ-ისათვის არ გაუგზავნიათ და არც სხდომაზე მოუწვევიათ, თუმცა მან არაერთხელ აცნობა მას პირადად და აუხსნა გაუქმების მიზეზი. რამდენადაც იცის, რეესტრშიც აუხსნეს მას. მოწმემ დაადასტურა, რომ როდესაც გადაწყვეტილება მიიღეს, ამ დროისათვის მიწა მუნიციპალიტეტის სახელზე იყო რეგისტრირებული.

დაცვის მხარის შეკითხვებზე მოწმემ განმარტა, რომ, მისი აზრით, 2004 წლის 23 მარტის ცნობა სწორადაა გაცემული, ვინაიდან იმ დროისათვის სოფელ ნ-ს საკრებულოში სხვა არავინ მუშაობდა და ს. თ-ის გარდა, ხელსაც ვერავინ მოაწერდა. მოწმემ შეკითხვაზე, – „ს. თ-ს კომისია ხომ არ მოუტყუებია“, – განაცხადა, რომ: „მან წარმოადგინა საბუთები, რომელიც არ შექსაბამებოდა 2010 წელს არსებულ ვითარებას; ამ დროს მიწა მუნიციპალიტეტზე იყო რეგისტრირებული, ს. თ-ი აღნიშნულ მიწას ფლობდა 2004 წელს“ – „რაიმე დოკუმენტი, რომ ს. თ-ი არ სარგებლობდა ამ მიწის ნაკვეთით 2004 წლიდან, არ არსებობს“. მოწმემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გაუქმების საკითხი როდესაც დადგა, ს. თ-ი სხდომაზე არ დაუბარებიათ, თუმცა პირად საუბარში უთხრა. მანვე მიუთითა, რომ ზეპირი შეტყყობინება საკმარისი არ იყო. მოწმემ არ იცის, ს. თ-ისათვის ცნობილი იყო თუ არა, მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრირების შესახებ. კომისიის გადაწყვეტილება არც ს. თ-ისათვის და არც რეესტრში არ გაუგზავნიათ.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. ჩ-ს ჩვენების სანდობის შეფასება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოწმე უთითებს ისეთი სახის ფაქტობრივ გარემოებაზე, როგორიც არის ს. თ-ისათვის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მოცემული ფაქტი, საკასაციო სასამართლოს თავის მხრივ, აძლევს შესაძლებლობას, გააანალიზოს იმ ინფორმაციის შინაარსი, რომელსაც ს. თ-ი ფლობდა საჯარო რეესტრისათვის დოკუმენტების ნარდგენის მომენტში. საკასაციო პალატა უთითებს, რომ ნ. ჩ-ს ჩვენებაში გაცხადებული ფაქტობრივი გარემოებები წარმოდგენილი საქმის სხვა მასალებთან თანხვდენილია, კერძოდ:

მოწმე კ. ს-ს განმარტებით (იგი ნ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2011 წლიდან 2015 წლის ჩათვლით მუშაობდა), 6. ჩ-ა მასთან საუბრისას განაცხადა, რომ მან საჯარო რეესტრს საკუთრების უფლების გაუქმების თაობაზე მისწერა. წერილობითი მტკიცებულების თანახმად, 6. ჩ-ა 2013 წლის 8 აპრილს საჯარო რეესტრის

ეროვნული სააგენტოს წ-ს სარეგისტრაციო სამსახურის უფროსს – ო. ხ-ს მიმართა და მოითხოვა, ს. თ-ისათვის არ დაერეგისტრირებინათ მინის ნაკვეთი, ვინაიდან საკუთრების მოწმობა № გაიცა შეცდომით და იყო გაუქმებული (ანალოგიურად მიმართული აქვს, კი-დევ ორჯერ: 2011 წლის 8 ივნისსა და 2012 წლის 1 მაისს). 2013 წლის 8 აპრილის წერილის საფუძველზე წ-ს საჯარო რეესტრმა 2013 წლის 8 აპრილს შეაჩერა, ხოლო იმავე წლის 1 ივლისს შეწყვიტა სარეგისტრაციო ნარმოება. ამდენად, ამ ნაწილში ნარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტები შეესაბამება მოწმე ნ. ჩ-ს ჩვენებას.

ამასთან, მოწმე ნ. ჩ-ა განაცხადა, რომ საკუთრების გაუქმების შესახებ ს. თ-ს არაერთხელ აცნობა პირადად და აუხსნა გაუქმების მიზეზი. რამდენადაც იცის, რეესტრშიც აუხსნეს მას.

ო. ხ-ს ჩვენებით (2014 წლამდე მუშაობდა წ-ს საჯარო რეესტრის უფროსის თანამდებობაზე) აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია, კერძოდ: მოწმემ განმარტა, რომ 2013 წლის 2 აპრილს, წ-ს საჯარო რეესტრს მიმართა ს. თ-მა და მოითხოვა 1 ჰექტარი მინის ნაკვეთის რეგისტრაცია. ს. თ-მა ნარუდგინა აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა, მინის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი და პირადობის მოწმობა. საბუთების ჩაბარების შემდეგ საჯარო რეესტრში შევიდა ნ. ჩ-ს წერილი, რომელიც ატყობინებდა, რომ ს. თ-ის სახელზე გაცემული საკუთრების მოწმობა შეცდომით იყო გაცემული, გაუქმდა და არ დაერეგისტრირებინათ მინის ნაკვეთი მის სახელზე. მან აღნიშნული წერილის საფუძველზე შეაჩერა სარეგისტრაციო ნარმოება და გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოქვეყნდა საჯარო რეესტრის საიტზე. როდესაც გავიდა რეგისტრაციისათვის დადგენილი 4 – დღიანი ვადა, ს. თ-მა პირადად მიაკითხა საჯარო რეესტრში ამონანერის ასაღებად. მან განუმარტა ს. თ-ს, რომ ნარმოება იყო შეჩერებული, რადგან ნ. ჩ-ს წერილის მიხედვით მასზე გაცემული საკუთრების მოწმობა იყო გაუქმებული. ს. თ-ს მიეცა 30-დღიანი ვადა, შეჩერების აღმოფხვრის რაიმე საბუთის წარსადგენად. ს. თ-ი ამ პერიოდში სისტემატურად დადიოდა საჯარო რეესტრში და მოითხოვდა მის სახელზე მინის რეგისტრაციას. იგი უხსნიდა ს. თ-ს, რომ ნ. ჩ-ს წერილის მიხედვით, საკუთრების მოწმობა იყო გაუქმებული და მინის რეგისტრაციას ვერ შეძლებდა, თუ რაიმე დამატებით საბუთს არ წარმოადგენდა. ს. თ-მა დადგენილ, 30-დღიან ვადაში დამატებითი საბუთი არ წარადგინა, რის გამოც კანონით დადგენილი წესით მიიღო სარეგისტრაციო ნარმოების შეწყვეტის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილება. აღნიშნული სარეგისტრაციო ნარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილების ასლი ხელზე გადასცა საჯარო რეესტრში მისულ ს. თ-ს, რა დროსაც კიდევ ერთხელ განუმარტა,

რომ საკუთრების მოწმობა იყო გაუქმებული და ამის გამო შეწყდა სარეგისტრაციო ნარმოება და მინის ნაკვეთს ვერ დაურეგისტრირებდა. გარკვეული დროის შემდეგ, შეიტყო, რომ ს. თ-ს მინა თავის სახელზე მაინც დაურეგისტრირებია, თუმცა, როგორ – უცნობია.

18. საკასაციო სასამართლო აფასებს მოწმე ზ. ჩ-ს პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩეკენებასაც, რომლის თანახმადაც, იგი 2014 წელს მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცენტრალიზებული სამსახურის რეგისტრატორის პოზიციაზე. სარეგისტრაციო ნარმოების შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ოფიციალურად და საჯაროდ თავს დება და იტვირთება საჯარო რეესტრის ვებგვერდზე შესაბამისი უძრავი ქონების სარეგისტრაციო განაცხადზე; შესაბამისად, ითვლება, რომ მოქალაქეს ინფორმაცია შეატყობინეს და სხვა რაიმე ცალკე წერილი მასთან არ იგზავნება. როდესაც ერთხელ უძრავ ქონებაზე ხდება სარეგისტრაციო ნარმოების შეწყვეტა და შემდეგ იმავე ქონებაზე იმავე პირს ან/და სხვა პირს შეაქვს ახალი განაცხადი, ახალი სარეგისტრაციო ნარმოება იწყება. ახალ განაცხადს ენიჭება ახალი ნომერი. რეგისტრატორს, რომელიც ახალ სარეგისტრაციო ნარმოებას ახორციელებს, ძველი შეწყვეტილი სარეგისტრაციო ნარმოება არ გამოუჩნდება, თუ დაინტერესებული პირის პირადი ნომრით არ გადაამოწმა შიდა ვებგვერდზე და არ მოქებნა აქამდე რა ქონებაზე ჰქონდა განცხადება შეტანილი. მოწმემ დაადასტურა, რომ 2014 წელს ს. თ-ის სახელზე მინის ნაკვეთის რეგისტრაცია მან განახორციელა (ს. თ-ის მიერ საჯარო რეესტრში ნარდგენილი 2018 წლის .. ივნისის №საკუთრების მოწმობისა და მინის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე). რეგისტრაციისას მას პროგრამულად არ გამოუჩდებოდა, რომ აღნიშნულ მინის ნაკვეთზე ნარმოება მანამდე იყო შეწყვეტილი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნულს ს. თ-ის პირადი ნომრით გადაამოწმებდა. როგორც ახსოვს, განაცხადი გადაამოწმა, თუმცა ძველ ნარმოებაზე არ იყო პროგრამულად ატვირთული წ-ს საკრებულოს კომისიის 2013 წლის .. პარილის № წერილი და მისთვის უცნობი დარჩა, თუ რატომ იყო ეს მოწმობა გაუქმებული. აღნიშნული წერილი მან ნახა 2019 წელს გამომძიებელთან. წერილი ელექტრონულად აიტვირთა 2016 წელს, ხოლო დოკუმენტი ინახება არქივში; შესაბამისად, იგი მისთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა და არც ნარმოების შეწყვეტის მიზეზი იყო მისთვის ცნობილი. რეგისტრაციის დროს უარის თქმის საფუძველი არ არსებობდა. დაცვის მხარის შეკითხვაზე მოწმემ განმარტა, რომ 2014 წელს ნარმოების შეჩერებაზე, შეწყვეტაზე დაინტერესებულ პირთან არც მესიჯი და არც ელექტრონული ფოსტა არ იგზავნებოდა და არც იძარებდნენ. გადან-

ყვეტილება იტვირთებოდა რეესტრის ვებგვერდზე და ეს ითვლებოდა, რომ მოქალაქე გადაწყვეტილებას გაეცნო. მისთვის უცხობია, ს. თ-ი გაეცნო თუ არა რეგისტრაციის შეჩერებაზე ან შეწყვეტაზე გადაწყვეტილებას, რადგან ეს ვებგვერდზე არ ჩანს. დოკუმენტების წარდგენის სისწორეზე პასუხისმგებელია მოქალაქე. მარეგისატრირებელი ორგანო და მისი თანამშრომელი პასუხს არ აგებენ წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ნამდვილობაზე. თუ ს. თ-მა იცოდა, რომ საკუთრების უფლების მოწმობა იყო გაუქმებული და მაინც მეორედ შეიტანა საჯარო რეესტრში იგივე მოწმობა დასარეგისტრირებლად, მაშინ გამოდის, რომ მან მოატყუა საჯარო რეესტრი ამ ინფორმაციის წარდგენით.

19. ამდენად, ის გარემოება, რომ ს. თ-მა იცოდა საკუთრების უფლების გაუქმების, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების/შეწყვეტის მიზეზები დადასტურებულია ორი პირდაპირი სახის მოწმის ჩვენებით, რომელთა უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ნ. ჩ. და ო. ბ. წარმოადგენენ პირებს, რომლებიც საკუთარი თანამდებობრივი სტატუსიდან გამომდინარე, უშუალოდ იყვნენ საკუთრების უფლების გაუქმების, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა თუ შეწყვეტის პროცესის მონაწილენი. მათ ჩვენებაში გაცხადებული ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება საქმეში წარმოდგენილ სხვა მასალებს და რაიმე სახის საფუძვლიანი არგუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც საკასაციო პალატა მიიჩნევდა, რომ მათ მიერ ს. თ-ისათვის ინფორმაციის უშუალოდ მინოდების ფაქტი არ შეესაბამება რეალობას, დაცვის მხარეს არ დაუსახელებია. სააპელაციო პალატამ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა: „ეს ჩვენებები ვერ გამოდგება იმის დასადასტურებლად, რომ ს. თ-მა იცოდა საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებითაც და თვით მოწმე ო. ბ-ს ჩვენებიდან დგინდება, რომ ს. თ-თან კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ სომხურ და რუსულ ენებზე.“ საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია, თუ რას ემყარება მოწმეთა ჩვენებების ნაწილში ენასთან დაკავშირებული არგუმენტი, ვინაიდან არც ო. ბ-ს და არც ნ. ჩ-ს არ განუცხადებიათ, რომ კომუნიკაციის დროს მათი საუბარი ს. თ-ს ვერ ესმოდა, მითუმეტეს, რომ თავად ნ. ჩ-ც სასამართლო სხდომაზე სწორედ რუსული ენის თარჯიმნის თანხლებით არის დაკითხული და ფაქტი, რომ იგი საჭიროების შემთხვევაში ს. თ-ს შესაბამის ენაზე ვერ აუხსნიდა კონკრეტულ გარემოებას, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. ამასთან, მოწმე ო. ბ-მა ცალსახად მიუთითა: „ჩვენ რუსულად ვლაპარაკობდით.“

20. დამატებით აღსანიშნავია, მოწმე ზ. ჩ-ს ჩვენება, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილება იტვირთებოდა რეესტრის ვებგვერ-

დზე და ეს ითვლებოდა, რომ მოქალაქე გადაწყვეტილებას გაეცნო; ხოლო ო. ხ-მა განმარტა, რომ მან ნ. ჩ-ს წერილის საფუძველზე შეაჩერა სარეგისტრაციო წარმოება და გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოქვეყნდა საჯარო რეესტრის საიტზე. ამდენად, ერთი მხრივ, ორი პირდაპირი მოწმე უშუალოდ მიუთითებს ს. თ-ის მიერ კონკრეტული ინფორმაციის ცოდნის (მისთვის მიწოდების) თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად გამოქვეყნდა საჯარო რეესტრის საიტზე (რომლის გაცნობისგან ს. თ-ი შეზღუდული არ ყოფილა).

21. ზემოაღნიშნულ არგუმენტებთან ერთად, საკასაციო სასამართლო დამატებით აფასებს იმ გარემოებას, რომ როდესაც პირს საჯარო რეესტრში შეაქვს კონკრეტული დოკუმენტები, კონკრეტული მიზნით და გარკვეული ხნის შემდეგ, ანალოგიური საფუძვლით, კვლავ მიმართავს იმავე ორგანოს, ლოგიკურია, მისთვის ცნობილია სარეგისტრაციო წარმოების როგორც მინიმუმ დაუსრულებლობის ფაქტის თაობაზე. სხვა შემთხვევაში, გაურკევევლია, ს. თ-მა რატომ შეიტანა ხელახალა კონკრეტული დოკუმენტები იმავე მოთხოვნით საჯარო რეესტრში; ხოლო გონივრულად მოაზროვნე ადამიანი საჯარო რეესტრისთვის ანალოგიური მიზნით კვლავ მიმართვამდე ბუნებრივია, დაინტერესდება შესაბამისი მიზეზით, კერძოდ, თუ რატომ უწევს ხელახლა ძალისხმევის გაწევა და შესაბამისი პროცედურების გავლა იმისათვის, რომ ქონება საკუთარ სახელზე დაირეგისტრიოს. მოცემული მსჯელობის ნაწილში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოწმე ო. ხ-ს ჩვენებასაც, რომელმაც პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვის დროს მიუთითა: „როდესაც შეჩერდა რეგისტრაცია, ს. თ-ი შემოვიდა ეგრევე, პირველ სართულზე იყო ჩვენი კაბინეტი, მკითხა, რატო შეაჩერეთ? ავდექი და მივეცი საბუთი – შეჩერების შესახებ და ვაჩვენე ჩ-ს საბუთიც, რის საფუძველზეც შეჩერდა.“ ამასთან, მოწმემ მიუთითა, რომ მან აუხსნა ს. თ-ს, რომ მას ჰქონდა 30 სამუშაო დღე იმ დოკუმენტის მისატანად, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა რეგისტრაციის პროცესის გაგრძელება.

22. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ პირობებში ს. თ-ის უარყოფა – საკუთრების მოწმობის გაუქმების, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, შეწყვეტის ფაქტის ცოდნის თაობაზე, ვერ გადაწონის პირდაპირი სახის მტკიცებულებებს, რომლის საეჭვოდ მიჩნევის დასაბუთებული არგუმენტი პალატას არ გააჩნია.

23. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ფაქტი (კონკრეტულ ინფორმაციას ნამდვილად ფლობდა თუ არა პირი) რეალურ ხასიათს მხოლოდ წერილობითი ფორმით შეტყობინების საფუძველზე

არ იძენს (ქმედების თაღლითობად დაკვალიფიცირების მიზნების-თვის). გარკვეული იურიდიული ქმედების თაობაზე ინფორმაცია, პირს შესაძლოა, მიენოდოს ზეპირი ფორმითაც, მაგრამ ამ შემთხვევაში, აუცილებელია მოცემული ფაქტი უტყუარად დასტურდებოდეს. სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში, მივიღებთ იმგვარ მოცემულობას, რომ თუ პირს ზეპირისტყვიერად ნამდვილად აქეს მიწოდებული ჭეშმარიტი ინფორმაცია და საქმეში არ არსებობს მისი წერილობითი ფორმით გადაცემის დოკუმენტიც, ამ ინფორმაციის შემდგომში დამალვა პირისათვის/ორგანიზაციის – მოცემული ვერასდროს მიიჩნევა (რადგან არ იარსებებს მისთვის მოცემული ინფორმაციის ცოდნის თაობაზე წერილობითი დოკუმენტი).

24. ამდენად, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში სააპელაციო სასამართლოს უტყუარად უნდა დაეფგინა – იცოდა თუ არა ს. თ-მა იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც აღწერილია ბრალდების შესახებ დადგენილებაში და, ამის მიუხედავად, დამალა თუ არა განზრას ჭეშმარიტება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, წერილობითი და ზეპირი სახის მტკიცებულებები სხვადასხვა საკანონმდებლო კრიტერიუმით არ ფასდება, ვინაიდან, საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელია რელევანტური, დასაშვები და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა. სწორედ ამ სამ კრიტერიუმზე დაყრდნობით წყვეტს სასამართლო, გაიზიაროს თუ არა საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულება.

25. საკასაციო სასამართლო ერთმნიშვნელოვნად უთითებს, რომ მოცემულ საქმეში თაღლითობა გამოიხატა საკუთრების უფლების აღიარების კომისიისათვის დოკუმენტების წარდგენის დღიდან ყველა იმ აქტიურ ქმედებათა ჯამით, რომელთა გარეშეც ს. თ-ი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევდა და ვერ დაირგებისტრირებდა საკუთრებაში სადაცო – 1 ჰექტარ მინის წაკვეთს. საკასაციო პალატა სსენებულ ქმედებებს ერთობლივად აფასებს და აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად, ვერ დასტურდება ს. თ-ის მიერ საკუთრების აღიარების კომისიისთან წარდგენილ ცნობებში მითითებული ინფორმაციის რეალურობის ფაქტი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ს. თ-მა საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა მაშინ, როდესაც მისთვის ცნობილი იყო საკუთრების უფლების მოწმობის გაუქმებისა და მის საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, რაზეც საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე იმსჯელა. ს. თ-მა უფლებამოსილ ორგანოს მნიშვნელოვანი სახის გარემოებები დაუმალა/ჭეშმარიტი ინფორმაცია, რომელსაც იგი ნამდვილად ფლობდა, განზრას არ მიაწოდა, მოცემული კი საბოლოო ჯამში სხვა

არაფერია თუ არა – მოტყუება, რომლის არსებობაც ქმედების თაღ-ლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ნიშანს წარმოდგენს.

26. ამასთან, საკასაციონ პალატა არ აფასებს საკუთრების უფ-ლების აღიარების წ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივ-მოქმედ კომისიის ან/და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქმედებებს, ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენს განსახილველი ბრალდების საგანს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ორგა-ნის უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაარღვევს დაკისრებულ მოვალეობას, მოცემული ავტომატურად არ გამორიცხავს მოქალაქის შესაბამისი ფორმით პასუხისმგებლო-ბას და მითუმეტეს არ ათავისუფლებს მას ამავე ორგანოსათვის მისთვის ნამდვილად ცნობილი, რეალური ინფორმაციის მიწოდე-ბის ვალდებულებისგან.

27. დაცვის მხარე დამატებით წარმოდგენილ პოზიციაში საკუ-თარ მოსაზრებას (გამამართლებელი განაჩენის ძალაში დატოვე-ბის ნაწილში) ამყარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს №159აპ-22 გადაწყვეტილებით, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ვინაიდან №159აპ-22 საქმეში, როდესაც საკასაციო პა-ლატამ შეაფასა 6. ღ-ს მხრიდან სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფ-ლების ფაქტი, ყურადღება გამამახვილა ისეთი სახის გარემოებებ-ზე, რომლებიც განსხვავებულია განსახილველი სისხლის სამარ-თლის საქმის ფაქტობრივი გარემოებებისგან (მაგალითად, ხსენე-ბულ განაჩენში საკასაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარე-მოებებზე: „რწმუნებაც რომ არ ჰქონოდა 6. ღ-ს, ის, როგორც მემ-კვიდრე, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ოჯახის-მშობლების მი-ერ თვითნებურად დაკავებული მინის ნაკვეთზე საკუთრების უფ-ლების აღიარება. მითუმეტეს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 6. ღ-სა და მის დას, მ. ხ-ს შორის რაომე სახის ქონებრივი დავა არ მიმდინარეობდა და არც მიმდინარეობს... ასევე უდავოა, რომ ქ. მ. და მისი მეუღლე თვითნებურად ფლობდნენ და სარგებლობდნენ სახელმწიფოს კუთვნილი, გ-ს რ-ის სოფ. შ-ი მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავ 3 182 მ<sup>2</sup> მიწის ფართობს. ყოვე-ლივე აღნიშნული კი გამორიცხავს თაღლითობის, სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების განზრახვას“). ამავე გადაწყვეტილებაში საკასაციონ პალატამ განიხილა საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით პირის ბრალეულობის საკითხი, რომლის დეტალებსაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლო აღარ მიმოხილავს, რადგან განსახილ-ველ სისხლის სამართლის საქმეში ფასდება მხოლოდ თაღლითო-ბის დისპოზიცია.

28. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ს. თ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-

პუნქტით წარდგენილი ბრალდება გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით დადასტურებულია, რის გამოც მის მიმართ გამოტანილი გამამართლებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი ბრალად შერაცხულ ქმედებაში.

საკასაციო სასამართლოს მიერ ს. თ-ისათვის შერჩეული სასჯელის სახე და ზომა:

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 53-ე ქუსლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშვნული სასჯელი პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ მიზნებს.

30. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკან-სტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზეც, რომლის მიხედვითაც, „აუცილებელია, სასჯელი ადეკვატურად შეესატყვისებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს. იმ პირობებში, როდესაც სასჯელის სიმკაცრე აშკარად აქარბებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ეჭვქვეშ დგება დაწესებული სასჯელისა და მისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული დამოკიდებულება. აშკარად მკაცრი და არაგონივრული სასჯელი ზედმეტად შორდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

32. საკასაციო სასამართლო სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის შერჩევამდე მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ს. თ-ის მიერ მიყენებული ზიანის ოდენობა არ არის მეტისმეტად მაღალი (სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შეადგენს 5400 ლარს); ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოვალეობათა დარღვევის ზომას, მოცულობას, ს. თ-ის ასაკს (არის 63 წლის) და ამ გარემოებებზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ სასჯელის სახედ – ჯარიმა და მისი ოდენობა – 3 000 ლარი, სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრულ სასჯელის მიზნების მიღწევას.

33. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ დამატებით წარმოდგენილ პოზიციაში მითითებულ გარემოებას, რომ ს. თ-ისათვის წარ-

დგენილი ბრალდება ამნისტირებულია, განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მას სასჯელის სახედ და ზომად დაეწიშნა ჯარიმა, რომლისგანაც გათავისუფლების საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს.

34. აგრეთვე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის განჩინებით ს. თ-ის სახელზე რეგისტრირებული წ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ი მდებარე, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ ...) დადებული ყადალა უნდა გაუქმდეს და აღნიშნული ქონება ს. თ-ს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას; კერძოდ:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის განჩინებით ყადალა დაედო ს. თ-ის (პ/ნ: ...) სახელზე რეგისტრირებული წ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ი მდებარე, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს.კ ...); განჩინების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, ვინაიდან შესაძლოა – მოცემული ნაკვეთი მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით, იმისათვის რომ არ მოხდეს ქონების გასხვისება, გაყიდვა ან/და ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ ხსენებულ მინაზე ყადალის დადება აუცილებლად მიიჩნია.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. ამასთან, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომელიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული.

მოცემულ შემთხვევაში თაღლითობა (საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლი) განეკუთვნება განზრახი კატეგორიის დანაშაულს და ამასთანვე, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დამტკიცდა, რომ პრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ მიწის ნაკვეთს თ-ი მოტყუებით დაეუფლა. ამდენად, რომ არა ს. თ-ის აქტიური ქმედე-

ბები – მათ შორის საჯარო რეესტრში № საკუთრების მოწმობის კვლავ წარდგენა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნა – 2014 წლის 5 დეკემბერს სადაც მიწის ნაკვეთს მსჯავრდებული ვერ დაირეგისტრირებდა. მოცემული ფაქტებით (კალსახად გამოკვეთილია, რომ ქონება ს. თ-მა დანაშაულის გზით მოიპოვა).

35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო ს. თ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; ამასთან, ჩადენილი დანაშაულისათვის ს. თ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3 000 ლარით, ხოლო ზემოაღნიშნული ქონება საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთევან სონიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 25 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი გაუქმდეს:

3. ს. თ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 3 000 ლარი (სამი ათასი);

4. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ს. თ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო – გაუქმებულია; გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 მარტის განჩინებით ს. თ-ის (პ/ნ: ...) საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (მდებარე: წ-ს რაიონში, სოფელი წ-ი, საკადასტრო კოდი: ...) ბრალდებულ ს. თ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს თანხის (10 000 ლარის ფარგლებში) სანაცვლოდ დადებული ყადალა;

5. ასევე გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 12 მარტის განჩინებით ს. თ-ის სახელზე რეგისტრირებული წ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ნ-ი მდებარე, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს.კ ...) დადებული ყადაღა და აღნიშნული ქონება ს. თ-ს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას;
6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განაჩენი ცვლილების შეტანა და ქმედების  
გადაკვალიციცირება საქართველოს სისხლის  
სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის  
„დ“ ქვეპუნქტიდან (დამნაშავისათვის ნინასნარი  
შეცორებით უმოვლეო მდგომარეობაში გამოვიკირდება და ამართობის მიმართ,) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის  
11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილზე**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№1330აპ-22

4 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),  
მ. გაბინაშვილი,  
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პრო-კურატურის პროკურორ მაია ჯაბუას, ასევე მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – თ. ჯ-სა და კ. ტ-ს საკასა-ციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-მართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღნერილობით-სამოტივაციო ნაწილი:**

**1. ნარდგენილი ბრალდების არსი:**

1.1. შ-ე ბ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქეპუნ-ქტითა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური ცემა, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა

გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ჩადენილი გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, რამაც დაზარალებულის ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, ჩადენილი გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის ივნისამდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში ბ. შ. საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, რაც განპირობებული იყო ქალის ქცევასთან დაკავშირებული ბ. შ-ის სტერეოტიპული შეხედულებებიდან და გულისხმობდა ცოლის ქცევების მიზანშეწონილობის საკითხის ქმრის მიერ განსაზღვრის აუცილებლობას, წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფ მეუღლეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს – დ. ბ-ს აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, სცემდა სისტემატურად, რის გამოც დ. ბ-მ განიცადა ფსიქიკური ტანჯვა.

1.3. 2015 წლიდან 2020 წლის ივნისამდე ზ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ კ-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში ბ. შ. საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, რაც განპირობებული იყო ქალის ქცევასთან დაკავშირებული ბ. შ-ს სტერეოტიპული შეხედულებებიდან და გულისხმობდა ცოლის ქცევების მიზანშეწონილობის საკითხის ქმრის მიერ განსაზღვრის აუცილებლობას, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მეუღლეს, წინასწარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს – დ. ბ-ს სისტემატურად ამცირებდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, აგინებდა და მოიხსენიებდა უმვერი სიტყვებით, რის გამოც დ. ბ-მ განიცადა ტანჯვა.

## 2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1 აგვისტოს განაჩენით ბ. შ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილზე;

ბ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით – 2 ნლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 1 ნლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საპოლონდ დანაშაულთა ერთობლიობით, ბ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 ნლით თავისუფლების აღკვეთა;

2.2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1 აგვისტოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – თ. ჯ-მ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ბ. შ-სთვის მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა.

2.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1 აგვისტოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მაია ჯაბუამ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ბ. შ-ს წარდგენილ ბრალდებაში სრულად დამზადებულ ცნობა და მისთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

### **3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:**

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 1 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელი.

3.2. 2022 წლის 9 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მაია ჯაბუამ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ბ. შ-ს წარდგენილ ბრალდებაში სრულად დამზადებულ ცნობა და მისთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

3.3. 2022 წლის 15 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქ-

ტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – თ. ჯ-მ და კ. ტ-მ, რომლებმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ბ. შ-სთვის უფრო მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა.

3.4. 2022 წლის 24 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ტ-მ და ითხოვა განაჩენის გასაჩივრების გაცდენილი ვადის საპატიოდ ჩათვლა და აღდგენა.

3.5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 28 ნოემბრის განჩინებით დაცვის მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მსჯავრდებულ ბ. შ-ის ინტერესების დამცველ ადვოკატებს – თ. ჯ-სა და კ. ტ-ს აღუდგათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა.

#### **4. კასატორთა არგუმენტები:**

4.1. კასატორის, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მაია ჯაბუას პოზიციით, სასამართლოს განმარტება, რომ დ. ბ. თავისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ იმყოფებოდა უმნეო მდგომარეობაში არის არასწორი, რადგან დაზარალებულს აქვს ფიზიკური ნაკლი და სპეციალური სასმენი აპარტის გარეშე საერთოდ არ ესმის, მას აპარატის გარეშე არ შეუძლია სწორად აღიქვას მოვლენები, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას იცხოვროს ცხოვრების ნორმალური წესით. ასეთი კატეგორიის ადამიანები მიეკუთვნებიან მოწყვლად კატეგორიას და სწორედ მათი ფიზიკური ნაკლიდან გამომდინარე უადვილდებათ მათზე ძალადობა, რადგან მათ არ შესწევთ უნარი მოძალადისგან დაიცვან თავი. კასატორი ასევე უთითებს, რომ დაზარალებული დ. ბ. სწორედ მისი ფიზიკური ნაკლიდან გამომდინარე იმყოფებოდა უმნეო მდგომარეობაში.

4.2. კასატორების, მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – თ. ჯ-ს და კ. ტ-ს პოზიციით, ბ. შ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი არის მკაცრი. სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მან სრულად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ჰყავს ორი მცირენლოვანი შეიტანი, რომლებიც ძალიან ენატრება, თვითონაც არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და ჰყავს მოხუცი მშობლები.

#### **5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:**

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივ-

რის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის, ზუგდი-დის რაიონული პროკურატურის პროკურორ მაია ჯაბუას პოზიცი-ას, რომ დაზარალებული დ. ბ. მისი ფიზიკური ნაკლიდან გამომდი-ნარე იმყოფებოდა უმწერ მდგომარეობაში და ეთანხმება გასაჩივ-რებული განაჩენის მოტივაციას. მოცემულ შემთხვევაში, გასათ-ვალისწინებულია, რომ უმწერ მდგომარეობა შეიძლება გამოიხატოს როგორც ფიზიკურ ისე ფსიქიკურ უმწეობაში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წ-ის რაიონული განყოფილების მიერ გა-ცემული ცნობით დადგენილია, რომ დ. ბ. ბავშვობიდან არის ზომი-ერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქო-ნე პირი. ამასთან, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდე-ბა, რომ დ. ბ-ს დაქვეითებული აქვს სმენა და სარგებლობს სპეცია-ლური სასმენი აპარატით. შესაბამისად, იგი თავისი შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ იმყოფება უმწერ მდგომარეობაში, რაც გულისხმობს იმას, რომ პირს არ აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუ-ნიოს მოძალადეს ან შეიმეცნოს რა ხდება მის თავს. ექსპერტ მ. ბ-ს ჩვენებით დადგინდა, რომ ბ. შ-ს ქმედებით დ. ბ-მ განიცადა ფსი-ქოლოგიური ტანჯვა. ამასთან, დ. ბ-ს არ გააჩნდა ფსიქიკური პრობ-ლებები და მეხსიერება არ ჰქონდა დაქვეითებული, მას ჰქონდა მხოლოდ სმენის პრობლემა, შფოთვის დონე და დეპრესიის ხარის-ხი იყო ანეული, გუნება-განწყობილების ფონი კი დაბალი. ეს მდგო-მარეობა გამოწვეული იყო მეუღლის მხრიდან სისტემატური ცემი-თა და შეურაცხეოფით, ქმედება იყო დროში გახანგრძლივებული და არ უკავშირდებოდა ბავშვობის ტრავმას. მოცემულ შემთხვე-ვაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ბ-ს მოვლენების სწირად აღქმის უნარი შეზღუდული არ აქვს, შესაბამისად, ამ ნა-წილში ბ. შ-ს ქმედება სწორად არის გადაკვალიფიცირებული სა-ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლ ნაწილზე. თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითე-ბულ კვალიფიკაციასთან ერთად არსებობს დამტებით სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლზე მითითების საფუძველი, კერ-ძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხ-ლის თანახმად, „ოჯახური დანაშაული ნიმნავს ოჯახის ერთი წევ-რის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133<sup>1</sup>-ე, 133<sup>2</sup>-ე, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144<sup>3</sup>-ე, 149-ე-151<sup>1</sup>-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255<sup>1</sup>-ე, 381<sup>1</sup>-ე და 381<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯა-ხური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებ-ლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სის-

ხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლში მოცემულია იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც მიიჩნევა ოჯახურ დანაშაულად, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნით კი განისაზღვრება პირთა წრე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ითვლება ოჯახის წევრად. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ პ. შ-მ ჩაიდინა მეუღლის სისტემატური ცემა, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, წარმოადგენს ოჯახურ დანაშაულს. ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად კი ოჯახის წევრად მიიჩნევა მეუღლე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. შ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

5.3. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას საფუძვლების გამეორების გარეშე (Hirvisaari v. Finland, no.49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001). ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (Gorou v. Greece (No. 2) no.12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

## 6. სასჯელის დასაბუთება

6.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების, პ. შ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – თ. ჯ-სა და კ. ტ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას დანიშნული სასჯელის შემსუბუქებასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებათა გამო:

6.2. სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, სასამართლო კი შებოჭილია ვალდებულებით: მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტიანი და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი.

6.3. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თა-

ნახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს, დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაფრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.4. „დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალურ გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6.5. საკასაციო სასამართლოს ასევე მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ ბ. შ-სთვის სასჯელის განსაზღვრისას იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საქმის მასალებში წარმოდგენილი პასუხისმგებლობის შემამსუბურებელი და დამამდიმებელი გარემოებებით, გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ხება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები და მას განუსაზღვრა ისეთი სასჯელი, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას და არ არსებობს მისი შემსუბუქების საფუძველი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაცვის მხარეს სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე ამომზურავი პასუხები გაეცა, რაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს, ხოლო რაიმე სხვა გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი გახდებოდა, კასატორები საჩივარში არ უთითებენ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მაია ჯაბ-ბუას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მსჯავრდებულ ბ. შ-ს ინტერესების დამცველი აღვოკატების – თ. ჯ-სა და კ. ტ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
4. ბ. შ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-სის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გადაკვა-ლიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილზე;
5. ბ. შ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სა-მართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილითა და საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის-თვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს;
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>, 126-ე მუხ-ლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღ-კვეთა;
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მყაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ დანაშაულთა ერთობ-ლიობით, ბ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;
9. ბ. შ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2022 წლის 1 აგვისტოდან.
10. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
11. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მი-ექცევა გამოტანისთანავე;
12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განაჩენის ცვლილების შეფარა და  
სისხლისსამართლებრივი დეპინის შეცვეტა  
საქართველოს სსკ-ის 180-ე გუბრების მე-3 ნაწილის „ბ“  
ქვეპუნქტით თარღის განვითარების მინისტრის**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№ 1075აპ-22

20 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:  
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),  
შ. თაფუმაძე,  
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. მ. ლ-ს ინ-  
ტერესების დამცველი ადვოკატების – ლ. ხ-სა და გ. ჭ-ს საკავაციო  
საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-  
თლის საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განაჩენზე.

**აღნიშვნის მიზანი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით მ. მ. ლ. (ძებნი-  
ლი), – დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-  
ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-  
ლი დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზ-  
ღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით. „ამნისტიის შესა-  
ხებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხ-  
ლის თანახმად, მ. მ. ლ-ს ¼-ით შეუმცირდა სასჯელი და განესაზ-  
ღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლითა და 9 (ცხრა) თვით.

გაუქმდა მ. მ. ლ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიე-  
ბა – პატიმრობა.

მსჯავრდებულ მ. მ. ლ-ს სასჯელის მოხდის ათვლა უნდა დაეწ-  
ყოს განაჩენის აღსრულების გამო მისი დაპატიმრებიდან ან სათა-  
ნადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 მარ-  
ტის განაჩენით დადებული ყადაღა ... საკუთრებაში არსებულ უძ-  
რავ ქონებაზე – .... მდებარე მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით  
...., დაზუსტებული ფართობი 859 მ<sup>2</sup> და მასზე განთავსებულ შენო-  
ბა-ნაგებობებზე .... საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე,  
დაზუსტებული ფართობით 92 მ<sup>2</sup> და მასზე განთავსებულ შენობა-

ნაგებობებზე ... (წინა საკადასტრო კოდებით ... და ....).

ნივთმტკიცება – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის ადმინისტრაციული სამართლის .... საქმე 3 (სამ) ტომად, დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ. ლ-მ ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

მ. მ. ლ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

1941 წლიდან ი. კ. და მისი მეუღლე – ე. კ. ფლობდნენ ... მდებარე უძრავი ქონების ნაწილს.

1942 წელს ი. კ. გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომში და მის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაში ცხოვრება და მისი ფლობა გააგრძელეს ი. კ-ს მეუღლემ და მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა – 6. პ-მ.

1951 წლიდან ე. კ-ს ნებართვით, ზემოაღნიშნულ ფართის ნაწილში ცხოვრობდა 6. პ-ს დეიდა – მ. ფ. და მისი შვილი – 6. ფ. ამ უკანასკნელს .... წელს შეეძინა ქალიშვილი მ. მ. (ლ.), რომელმაც ასევე გააგრძელა ცხოვრება ხსენებულ მისამართზე, ვინაიდან 6. პ-სთან აკავშირებდა ნათესაური ურთიერთობა და სარგებლობდა მისი ნდობით.

2005 წელს მ. მ. ლ-მ განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, უკანონოდ დაუფლებოდა ი. კ-ს ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრის – 6. პ-ს სამკვიდრო ქონებას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. მ. ლ-მ, თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა 1987 წელს მისმა ოჯახმა უშუალოდ ი. კ-სგან შეიძინა ... მდებარე უძრავი ქონების ნაწილი – ი. კ-ს კუთვნილი წილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.. წლის ... აგვისტოს გადაწყვეტილებით, მ. მ. ლ-სა და 6-ს მამას – ი. კ-ს შორის აღიარებულ იქნა სამართალურთიერთობა, რის საფუძველზეც მ. მ. ლ-ს მიენიჭა საკუთრების უფლება აღნიშნულ უძრავ ქონებაზე – მინის ნაკვეთისა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, მ. მ. ლ-მ უკანონოდ მოიპოვა ქონებრივი უფლება.

ვიდრე ი. კ-ის ერთადერთი მემკვიდრე – ნ. პ. აიღებდა სამკვიდრო მოწმობას მამის დანატოვარ ქონებაზე, მ. მ. ლ-მ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.. წლის ... აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2009 წლის 6 აპრილს საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტოს გადაწყვეტილებით გახდა ი. კ-ს კუთვნილი – ... მდებარე უძრავი ქონების ნაწილის მესაკუთრე.

აღნიშნული ქმედებით მ. მ. ლ. მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, უკანონოდ დაეუფლა ნ. პ-ს სამკიდრო ქონებას, რომელიც ოთხ დღეში – 2009 წლის 10 აპრილს, ნასყიდობის ხელშეკრულებით 90 000 (ოთხმოცდაათი ათას) ლარად გაასხვისა ლ. ს-ზე, რის შედეგადაც დაზარალებულს მიადგა დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. აპელანტმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ასევე – თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვადასხვა საოქმო განჩინებების გაუქმება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 1 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ მ. მ.ლ-ს ინტერესების დამკველმა ადვოკატებმა – ლ. ხ-მ და გ. ჭ-მ. კასატორები საკასაციო საჩივრით მოითხოვენ: გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას; მ. მ. ლ-ს მიმართ სისხლისასამართლებრივი დევნის შეწყვეტას კანონით გათვალისწინებული სისხლისასამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადის გასვლის გამო; უკანონოდ იქნეს ცნობილი: ბრალდების მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და დამატებითი მტკიცებულებების დართვის შესახებ თბილისის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, დაცვის მხარის მტკიცებულებების სისხლის სამართლის საქმეზე დართვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და მოსამართლე ლილი მსხილაძის აცილების შესახებ დაცვის მხარის შეუამდგომლობის არ დაკმაყოფილების შესახებ თბილისის საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, შემდეგი ძირითადი საფუძვლებით: გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან იგი არ ემყარება სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლივის და გონივრულ ექვს მილმა სტანდარტით ვერ ადასტურებს მ. მ. ლ-ს ბრალეულობას; სასამართლომ მტკიცებულებები აშეარად მიკერძოებულად, დამახინჯებულად და

კონტექსტიდან ამოგლეჯილად შეაფასა, ხოლო დაცვის მხარეს არ მისცა საკუთარი მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა; დაზარალებულისა და ბრალდების მხარის სხვა მოწმეთა ჩვენებები არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან მათი ჩვენებები არ-სებითად ურთიერთსაწინააღმდეგოა, ამასთან, დაზარალებული და-ინტერესებული პირია; დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკი-ცებულებებით არ დასტურდება ი. კ-ს მეორე მსოფლიო ომში გარ-დაცვალების ფაქტი, არამედ, დგინდება, რომ იგი 1980-იან წლებში ცოცხალი იყო, რაც სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია; საქ-მეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ სა-დავო უძრავი ქონება წარმოადგენდა ნ. პ-ს საკუთრებას და მის სამკვიდრო ქონებას; სწორედ ნ. პ. მოქმედებდა თაღლითურად, და არა მსჯავრდებული. ნ. პ. ცდილობდა მ-ების ოჯახისათვის კუთ-ვნილი უძრავი ქონების წართმევას; დაუსაბუთებელია სასამარ-თლოს მსჯელობა დიდი ოდენობით ზიანის ნაწილშიც, ვინაიდან საქ-მეში არ არის წარმოდგენილი სასაქონლო-ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგინდებოდა სადაც უძრავი ქონების ღირებულე-ბა; ამასთან, დაცვის მხარეს მიაჩინა, რომ სისხლისამართლებრი-ვი დევნის ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადის გასვლის გამო მ. მ. ლ უნდა გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლო-ბისაგან.

### **სამოტივაციო წანილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეა-მოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ სა-კასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გა-საჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
2. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის მო-საზრებას, რომ მსჯავრდებულ მ. მ. ლ-ს ბრალეულობა არ დასტურ-დება უტყუარ მტკიცებულებათ ერთობლიობით, ხოლო განაჩენი ემყარება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს, ვინაიდან სრულად იზი-არებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და და-მაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მისი ბრალეულობა, კერძოდ: და-ზარალებულმა ნ. პ-მ დამაჯერებლად, ლოგიკურად და დეტალუ-რად გადმოსცა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრი-ვი ქმედების დეტალები და განმარტა, რომ ... მდებარე სახლი ააშე-ნეს მისმა მშობლებმა – ი. კ-მ და ე. კ-მ, რომლებიც 1937 წელს რუ-სეთიდან ჩამოგიდნენ საქართველოში. ი. კ. 1941 წელს წავიდა ომ-ში, საიდანაც არ დაბრუნებულა, რის გამოცხადდა გარდაც-

ვლილად. 1946 წელს, მასთან და დედამისთან ჩამოვიდა დეიდამისი – მ. ფ. და დეიდამვილი ნ. ფ., რომლებიც მათთან, ცალკე ოთახში ცხოვრობდნენ. მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად სხვა სახლში გადასვლის შემდეგ, მ. ფ. და ნ. ფ. აგრძელებდნენ ცხოვრებას იმავე მისამართზე მდებარე სხვა ოთახში. ...ს ქუჩაზე მდებარე სახლში საცხოვრებლად დარჩა დედამისი ე. კ-ც, რომელსაც ხშირად აკითხავდა და ზრუნავდა მასზე. 1993 წელს, გარდაეცვალა დედა – ე. კ., რომელმაც ... მდებარე უძრავი ქონება, ანდერძით მას დაუტოვა, მაგრამ მ-ების ოჯახი მას სახლში არ უშვებდა, ეუბნებოდნენ, რომ სახლი მათ ეკუთხნოდა. ნ. პ-მ ცალსახად დაადასტურა ის ფაქტი, რომ უძრავი ქონება მას არავისთვის, მათ შორის – არც მ-ების ოჯახისთვის არ გადაუცია და არც მიუყიდია, ხოლო ამჟამინდელ მესაკუთრებს არასოდეს უცხოვრიათ ამ ბინაში. ამასთან, დაზარალებულმა განმარტა, რომ ითხოვს დედის დანატოვარი ქონების დაბრუნებას.

3. დაზარალებულის ჩვენების საეჭვოდ მიჩნევისა და არგაზიარების საფუძველი, ისევე როგორც პრალდების მხარის სხვა მოწმეთა ჩვენებების, საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ ნ. პ. ცრუობს და მას რაიმე პირადი ინტერესი გააჩნია მ. მ. ლ-ს მიმართ. გარდა ამისა, დაზარალებულის ჩვენების სარწმუნობა გამყარებულია და მას სრულად შეესაბამება მოწმეების: ლ. დ-ს, ა. ა-ს, ლ. ჯ-ს, გ. ა-ს, ლ. ა-ს, რ. ა-ს ჩვენებები, რომლებმაც ერთმანეთთან თანხვდებილად დაადასტურეს, რომ ... მდებარე სახლი ეკუთხნოდა ე. კ-ს, სადაც ის ცხოვრობდა შვილთან – ნ. პ-სთან ერთად. აღნიშნულ მისამართზე, ცალკე ოთახში ცხოვრობდნენ ე. კ-სთან რუსეთიდან საცხოვრებლად ჩამოსული და – მ. ფ. მის ორ შვილთან, ნ-სთან და მ-სთან ერთად. მოწმეებმა ასევე დაადასტურეს, რომ მას შემდეგ, რაც ნ. პ. საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან, ის ხშირად აკითხავდა და ზრუნავდა დედაზე – ე. კ-ზე.

4. დაზარალებულის ჩვენება ასევე გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი სხვა წერილობითი მტკიცებულებებითაც, მათ შორის: თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის 2009 წლის 12 თებერვლის ცნობა-დახასიათებით, რომლითაც დგინდება, რომ სადაცი მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, 1941 წელს აღირიცხა ი. კ-ს საკუთრებად; 1986 წლის 14 ნოემბერს სანოტარო წესით შედგენილი ანდერძით, რომლის მიხედვით, ე. კ-მ, მთელი დანაშთი ქონება, მათ შორის – .... მდებარე სახლი, უანდერძა თავის შეისახავდა – ნ. პ-ს; 2007 წლის 7 დეკემბერს გაცემული სამკაიდრო მოწმობით, რომლითაც დგინდება, რომ ნ. პ-მ 1993 წლის 6 დეკემბერს გარდაცვლილი დედის – ე. კ-ს სამკვიდრო ქონება მიიღო

მეტკიდრეობით; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებითა და გარდაცვალების მონმობით, რომელთა თანახმად, ი. კ., დაბადებული ....წელს, გამოცხადდა გარდაცვლილად, ხოლო გარდაცვალების თარიღად მიჩნეულია – ....; მს ინტერპოლის წერილით, რომლითაც დგინდება, რომ ი. კ. – დაბადებული ..., არ არის რეგისტრირებული მ-ს მონაცემთა ბაზებში. ასევე აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება მ. მ-სა და ი. კ-ს შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით დარჩა უცვლელად.

5. უსაფუძლოა კასატორების მითითება, რომ მსჯავრდებულმა მ. მ. ლ-მ სადავო უძრავი ქონება 1995 წელს, ხელწერილის საფუძველზე, 300 დოლარის სანაცვლოდ შეიძინა ნ. პ-სგან, ვინაიდან დაზარალებულმა ნ. პ-მ კატეგორიულად უარყო მ-ების ოჯახთან რაიმე სახის შეთანხმების არსებობა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისებასა და ხელწერილის ნამდვილობასთან მიმართებით. ქონების გასხვისებისა და ხელწერილის ნამდვილობის ფაქტი უტყუარად არ დასტურდება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებითაც.

6. ასევე უსაფუძლოა დაცვის მხარის კიდევ ერთი მოსაზრება, რომ თითქოსდა სადავო უძრავი ქონების თავდაპირველი მესაკუთრე – ი. კ. 1980-იან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მისი სიცოცხლის პერიოდში, ქ. მ-ში, ნ. მ-ს დას – ა. დ-ს 3000 რუბლად მიჰყიდა უძრავი ქონება, ვინაიდან ეს მოსაზრება სრულიად არადამაჯერებელია და ენინააღმდეგება საქმეში წარმოდგენილ უტყუარდა სარწმუნო მტკიცებულებებითაც.

7. ამასთან, სააპელაციო პალატამ ამომწურავად დაასაბუთა, თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არ გაიზიარა დაცვის მხარის მონმეთა ჩვენებები, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

8. დაცვის მხარის კიდევ ერთ პრეტენზიასთან მიმართებით, რომ არ დგინდება დიდი ოდენობით ზიანის არსებობა, საკასაციო პალატა აღნიშნავს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში დიდ ოდე-

ნობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარს ზე-ვით. საქმეზე წარმოდგენილი, მ. მ-სა და ლ. ს-ს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის 2009 წლის 10 აპრილის ხელშეკრულებით, ასევე მოწმეების – ვ. მ-სა და ლ. ს-ს ჩვენებებით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა ნ. პ-ს სამკვიდრო ქონება 90 000 ლარად გაასხვისა ლ. ს-ზე, რაც მნიშვნელოვნად აღმატება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოების (თაღლი-თობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) შერაცხვისათვის აუცილებელ ოდენობას, რის შესაბამისადაც დაცვის მხარის პრეტენზია ამ ნაწილშიც საფუძველს მოკლებულია.

9. კასატორები ასევე მოითხოვენ: ბრალდების მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და დამატებითი მტკიცებულებების დართვის შესახებ თბილისის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების, დაცვის მხარის მტკიცებულებების სისხლის სამართლის საქმეზე დართვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებისა და მოსამართლე ლილი მსხილაძის აცილების შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობის არ დაგმაყოფილების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, რასაც საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ არ არსებობს მითითებული გადაწყვეტილებების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რადგან ისინი სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

10. რაც შეეხება მ. მ. ლ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო დევნის შეწყვეტის შესახებ დაცვის მხარის მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო იზიარებს და მოცემულ ნაწილში არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მ. მ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადის დაცვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამ-სრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს.

12. საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად – პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად – ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღი-

დან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის. სსკ-ის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი – ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამატავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებივი უფლების მიღება მოტყუებით. მართლწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის ქონების მესაკუთრე ან მისი კანონიერი მფლობელი და იგი მას ეუფლება, ან ქონებრივ უფლებას იღებს უკანონოდ. აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს შედეგიან დელიქტს და დამთავრებულია სხვისი ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების მომენტიდან.

15. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო განმარტავს, რომ თაღლითობა მატერიალურ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება და იგი დამთავრებულად ითვლება სხვისი ნივთის (მოცემულ შემთხვევაში – მ. მ. ლ-ს მიერ სადაცო უძრავი ქონების) დაუფლების მომენტიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა ასკვნის, რომ მ. მ. ლ-მ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დაასრულა არა 2009 წლის 23 თებერვალს, არამედ – 2009 წლის 6 აპრილს, ანუ იმ დროს, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით მის სახელზე დარეგისტრირდა სხვისი ქონება, რითაც მსჯავრდებულს მისი განკარგვის შესაძლებლობა მიეცა.

16. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამგვარ დასკვნას და აღნიშნავს, რომ, მართალია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, სადაცო უძრავი ქონება მ. მ. ლ-ს სახელზე მართლაც 2009 წლის 6 აპრილს დარეგისტრირდა, მაგრამ ეს დრო წარმოადგენს დანაშაულის შედეგის დადგომის და არა – მისი ჩადენის დროს, კერძოდ:

17. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. მ. ლ-მ საჯარო რე-ესტრის ეროვნულ სააგენტოს სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრე-ბის უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა 2009 წლის 6 აპრილამდე გაცილებით ადრე, სახელდობრ – 2009 წლის 23 თებერვალს. სწორედ 2009 წლის 23 თებერვალი წარ-მოადგენს იმ დროს, როდესაც მ. მ. ლ. მოქმედებდა როგორც ამ-სრულებელი და მან ზუსტად ამ დროს გამოავლინა თავისი დანამა-ულებრივი ნება, რაც გამოიხატა საჯარო რეგისტრის ეროვნულ საა-გენტოში უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ განცხადების შე-ტანაში, ხოლო რაც შეეხება შედეგის დადგომის დროს (იმავე წლის 6 აპრილს), შედეგის დადგომა, ისევე როგორც მისი დადგომის დრო, მსჯავრდებულის ნებაზე უკვე აღარ იყო დამოკიდებული, ვინაი-დან უძრავი ქონების რეგისტრაციისა, თუ მასზე უარის თქმის შე-სახებ გადაწყვეტილება, მ. მ. ლ-ს განცხადების საფუძველზე უნ-და მიეღო საჯარო რეგისტრის ეროვნულ სააგენტოს. აღსანიშნავია, რომ მითითებულმა სააგენტომ 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტი-ლებით მ. მ. ლ-ს განცხადებაზე შეაჩერა კიდეც სარეგისტრაციო წარმოება ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გარკვევამ-დე, ვინაიდან ანალოგიური მოთხოვნით მიმართული ჰქონდა დაზა-რალებულ 6. პ-საც, ხოლო მოგვიანებით, მ. მ. ლ-ს 2009 წლის 30 მარტის ხელასალი მოთხოვნის საფუძველზე, სარეგისტრაციო წარ-მოების შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შედეგად, განაახ-ლა წარმოება.

18. საჯარო რეგისტრის ეროვნულმა სააგენტომ, 2009 წლის 6 აპ-რილს, მ. მ. ლ-ს განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების განახ-ლებისთანავე, იმავე დღეს, მის სახელზე დაარეგისტრირა სადავო უძრავი ქონება, რის შესაბამისადაც, სააპელაციო სასამართლო, მართალია, სწორად განმარტავს, რომ გამოკეთილია თაღლითო-ბის დასრულებული შემადგენლობა, მაგრამ ქონების რეგისტრა-ციის ფაქტი, არ განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენის დროს, რად-გან მითითებული მოცემულობა დანაშაულის ჩადენის დროზე გავ-ლენას ვერ ახდენს. იმ შემთხვევაში, თუკი დანაშაული ვერ დას-რულდებოდა მ. მ. ლ-სგან დამოკიდებული მიზეზების გამო (მაგა-ლითად, თუ საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო უარს იტყო-და სადავო უძრავი ქონების მის სახელზე რეგისტრაციაზე, რაც როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მსჯავრდებულის მოქმედებაზე უკვე აღარ იყო დამოკიდებული), ბუნებრივია, მ. მ. ლ-ს დანაშაუ-ლებრივი ქმედება ვერ დარჩებოდა დაუსჯელი და ასეთ ვითარება-ში, გამოკეთილი იქნებოდა თაღლითობის, ანუ სხვისი ნიერის მოტ-ყუებით დაუფლების მცდელობა.

19. ამდენად, საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის

იმპერატიული დანაშაულისიდან გამომდინარე, მოცემული დანაშაულის ჩადენის დროდ უნდა მივიჩნიოთ არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების, ესე იგი შედეგის დადგომის დრო (2009 წლის 6 აპრილი), არამედ – დანაშაულის ამსრულებლის, მ. მ. ლ-ს მოქმედების დრო (2009 წლის 23 თებერვალი).

20. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. მ. ლ. ბრალდებულის სახით სისხლისამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემულია 2019 წლის 5 აპრილს, ხოლო დანაშაული ჩაიდინა – 2009 წლის 23 თებერვალს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დანაშაული განეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გასულია მისი ბრალდებულის სახით სისხლისამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა – 10 წელი, მ. მ. ლ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისამართლებრივი დევნა და იგი უნდა გათავისუფლდეს შეფარდებული სასჯელისაგან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. მ. ლ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ლ. ხ-სა და გ. ჭ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მ. მ. ლ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებაში.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გაუქმებულია მ. მ. ლ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განაჩენი ყადაღის გაუქმებისა და ნივთმტკიცებათა ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განაჩენის ცვლილების შეტანა და ქმედების  
გადაკვალიფიცირება შეზღუდული შესაძლებლობის  
მქონე პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრას მსუბუქის  
დაზიანებიდან (სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“  
ქვეაუცემი, 2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია)  
სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილზე –  
ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№208აპ-23

1 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ის ინ-  
ტერესების დამცველის, ადვოკატ ს. თ-ის საკასაციო საჩივარი თბი-  
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატის 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

**აღნერილობითი ნაწილი:**

**1. ნარდგენილი ბრალდების არსი:**

1.1. გ. კ-ს ბრალად ედება გენდერული დისკრიმინაციის მოტი-  
ვით ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხან-  
მოკლე მოშლა გამოიწვია, ჩადენილი ნინასწარი შეცნობით შეზღუ-  
დული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ; ქურდობა, ესე იგი  
სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდე-  
გო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწ-  
ვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 3 მაისს, დაახლოებით 04:00 საათიდან 05:00 საათამ-  
დე პერიოდში, ქ. თ-ი, ნ. ყ-ს ქუჩის №...-ში მდებარე ბინა 9...-ში გ. კ-  
მ, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რაც გამოიხა-  
ტა ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებაში, მისი დაქ-  
ვემდებარებულ და დამცირებულ მდგომარეობაში ჩაყენების სურ-  
ვილში, „ვაიფას“ აპარატის, ე.წ. „როუტერის“ თავის არეში რამდენ-  
ჯერმე დარტყმით ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება  
მიაყენა ს. ვ-ს, რომელსაც წარსულში მიღებული ფიზიკური ტრავ-

მების გამო შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების უნარი, კერძოდ, მას ჩატარებული აქვს მარცხენა ფეხის ტერფის ამპუტაცია, რის გამოც არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება ყავარჯნების გარეშე. გ. კ-სათვის ძალადობის ჩადენის დროს ცნობილი იყო ს. ვ-ს შეზღუდული შესაძლებლობის ფაქტი. გ. კ-ს ქმედების შედეგად ს. ვ-ს აღნიშნებოდა კეფის მიღამოში ნახეთები/ნაკვეთი ჭრილობა, რომელიც მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანძოელე მოშლით.

2022 წლის 3 მაისს, დაახლოებით 04:00 საათიდან 05:00 საათამდე პერიოდში, ქ. თ-ი, ნ. ყ-ს ქუჩის №...-ში მდებარე ბინა 9...-ში გ. კ-ე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა ს. ვ-ს კუთვნილ „iPhone 8“ ფირმის მობილურ ტელეფონს, რამაც 400 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი გამოიწვია.

## 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 სექტემბრის განაჩენით:

2.1. გ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნარდების ბრალდებაში.

2.2. გ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 3 წელი.

2.3. გაუქმდა გ. კ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ლონისძიება – პატიმრობა და მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 4 მაისიდან იმავე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2.4. გ. კ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

## 3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენით:

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი დაკაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 30 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

3.2. გ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქა მეორე

და გ. კ-ს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 4 მაისიდან იმავე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით და სასჯელის მოხდის ვადის ათველა დაეწყო განაჩენის აღსრულების მიზნით დაავების მომენტიდან – 2023 წლის 1 თებერვლიდან.

4. კასატორმა – მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველ-მა, ადვოკატმა ს. თ-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საპეტაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: გ. კ-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდების გადაკვალიფიცირება სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სამართლიანი, კანონიერი სასჯელის შეფარდება, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ს. თ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულ გ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და მიაჩნია, რომ საპეტაციო სასამართლომ სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და დეტალურად დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება, რასაც საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება. დაზრალებულ ს. კ-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, ასევე მონწების – 6. ჯ-ის, 6. კ-სა და სხვათა ჩევენებებით, დათვალიერების ოქმით, ამოღების ოქმით, საქართველოს შეს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ 2022 წლის 3 მაისს, დაახლოებით 04:00 საათიდან 05:00 საათამდე პერიოდში, ქ. თ., 6. ყ-ს ქუჩის №...-ში მდებარე ბინა 9...-ში გ. კ. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ს. კ-ს კუთვნილ, 400 ლარად ღირებულ „iPhone 8“ ფირმის მობილურ

## ტელეფონს, კერძოდ:

2.1. გ. კ-ს მიერ ქურდობის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარული დაუფლების ჩადენის დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, მათ შორის, დაზარალებულ ს. ვ-ს პირდაპირი ჩვენება. მართალია, ს. ვ-ს პირადად არ დაუნახავს, თუ როგორ აიღო გ. კ-მ მობილური ტელეფონი (რაც ბუნებრივია, რამდენადაც ქურდობის დროს დამნაშავე მოქმედებს ფარულად, როგორც დაზარალებულისთვის, ასევე სხვა პირთავის შეუმჩნევლად), თუმცა დაზარალებულის მიერ გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ჩვენება შეიცავს როგორც გ. კ-ს მიერ მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის ფარული დაუფლების ფაქტის, ასევე მართლსანინააღმდეგო მიზნის დასადგენად საჭირო ინფორმაციას. დაზარალებულ ს. ვ-ს გამოკითხვის ოქმით ცალსახად დასტურდება, რომ 2022 წლის 3 მაისს გ. კ. ავტომანქანის გასაღების მოსაქებნად შევიდა მის საძინებელ ოთახში, სადაც დაახლოებით ორი წუთი იმყოფებოდა. ამის შემდეგ, ნ. ჯ-ნ ერთად, თავადაც შევიდა საძინებელში და შეამჩნია, რომ მისი მობილური ტელეფონი, რომელიც ამავე ოთახში დასატენად შეიტანა, ადგილზე აღარ იყო. იგი დააკვირდა გ. კ-ს ტანსაცმელს და შენიშნა, რომ ჯინსის შარვლის წინა ჯიბებებში ედო ტელეფონის მსგავსი საგნები. მიხვდა რომ ტელეფონი მან აიღო, თუმცა ძებნის მიუხედავად, ტელეფონი ვერ იპოვა და გ. კ-ს უთხრა, რომ დაუკითხავად აღებული მობილური ტელეფონი სასწრაფოდ დაებრუნებინა მისთვის. აღნიშულზე მსჯავრდებულმა აგრესიულად განუცხადა, რომ ტელეფონი მას არ აუღია და მანქანის გასაღების მოსაქებნად იყო მისული. გარდა ამისა, ს. ვ-ს განმარტებით, მართალია, გ. კ-ს მიერ მისი მობილური ტელეფონის აღების მოქმედი არ დაუნახავს, თუმცა დაზუსტებითა და დანამდვილებით იცის, რომ 2022 წლის 2 მაისს, ბინაში შესვლის, ასევე 2022 წლის 3 მაისს, სუფრის დასრულების დროს, ტელეფონი თან ჰქონდა და მისი საძინებელი ოთახიდან მხოლოდ მას შემდეგ დაიკარგა, რაც იქ გ. კ. შევიდა გასაღების მოსაქებნად. ამასთანავე, დაზარალებულმა დაადასტურა, რომ 2022 წლის 4 მაისს, დაახლოებით 19:00 საათისთვის, გ. კ-ს მეგობარმა ნ. კ-მ მიუტანა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი, რომელშიც გ. კ-ს მიერ 2022 წლის 4 მაისს 13:13 საათზე გაკეთებული იყო შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „მე გავამწარე და რომ ბევრ რამეს მიხვდები“, „გპოცნი, მიდი მიყვარხარ“.

2.2. მოწმე ნ. ჯ-მ თავის ჩვენებაში დაზარალებულ ს. ვ-ს მიერ მიცემული ჩვენებების ანალოგიურად აღწერა განვითარებული მოვლენები და გამოძიების ეტაპზე, გამოკითხვისას, დაადასტუ-

რა, რომ გ. კ., რომელსაც ს. ვ. მისი საძინებელი ოთახიდან მობილური ტელეფონის დაუკითხავად აღებას აბრალებდა და დაუყოვნებლივ დაბრუნებას სთხოვდა, უარყოფდა აღნიშნულ ფაქტს და აცხადებდა, რომ გასაღებისთვის დაბრუნდა და არა მობილური ტელეფონის მოსაპარად. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან მოცემულ საქმეზე არ დადგენილა რაიმე მოტივი, რაც მათი ჩვენებების გაუზიარებლობის საფუძველი იქნებოდა.

2.3. დაზარალებულის ჩვენება შესაბამისობაშია უდავოდ მიჩნეულ მტკიცებულებასთან – ს. ვ-ს მობილური ტელეფონის დათვალიერების ოქმთან, რომლის თანახმადაც, დაზარალებულის თანხმობითა და მონანილეობით დათვალიერდა მის მობილურ ტელეფონში არსებული გ. კ-ს მიერ განხორციელებული ვიდეოჩანაწერი. ამასთან, ჩანაწერში აღნიშნული ტექსტი გამორიცხავს დაცვის მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მობილური ტელეფონის წალების მიზანს მასში არსებული შეტყობინებების კონკრეტული პირის თვის ჩვენება წარმოადგენდა.

2.4. რაც შეეხება 2022 წლის 3 მაისის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, რა დროსაც მსჯავრდებული გ. კ. ჯერ დაზარალებულის დას – ფ. ვ-ს ე.წ „მესახურერში“ წერს და ესაუბრება მობილური ტელეფონის დაბრუნებაზე, რომელიც თითქოს ს. ვ-ს მის ავტომანქანაში დარჩა, ხოლო საქმეზე გამოძიების დაწყების შემდეგ, ნ. კ-ს მეშვეობით, თავად დაზარალებულს უბრუნებს მისივე საცხოვრებელი ბინიდან ფარულად დაუფლებულ მობილურ ტელეფონს, საკასაციო სასამართლოს აზრით, ემსახურება მხოლოდ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მცდელობას და არ გამორიცხავს გ. კ-ს მხრიდან ბრალად წარდგენილი დანაშაულის – ქურდობის შემადგენლობისათვის სავალდებულო კომპონენტის – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობას. აქვე აღსანიშნავია, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე, სხვა გარემოებებთან ერთად, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ს. ვ-ს ნინაშე, რომელმაც მოსთხოვა მობილური ტელეფონის დაბრუნება, გ. კ. კატეგორიულად უარყოფდა მისი საძინებელი ოთახიდან მობილური ტელეფონის აღებას და ამტკიცებდა, რომ მასთან მხოლოდ ავტომანქანის გასაღების მოსაძებნად იყო მისული. ამ პირობებში, სასამართლოსთვის სრულიად გაუგებარია, რა უშლიდა ხელს გ. კ-ს, თუნდაც იმ მომენტში მართლაც დაებრუნებინა მობილური ტელეფონი მესაკუთრისთვის.

2.5. საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული გამამატყუნებელი განაჩენის მსჯელობას და მიუთითებს, რომ მარ-

თლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს არ შეიძლება მივანიჭოთ ისეთი ვიწრო განმარტება, რომ იგი სახეზეა მაშინ, როდესაც პირი სხვის ქონებას ეუფლება მხოლოდ და მხოლოდ მის საკუთრებაში საბოლოოდ დარჩენის მიზნით. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა დადასტურებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა უკანონოდ მოისურვა სხვისა მატერიალური სიკეთის საკუთარი მიზნებისა და შეხედულებისამებრ გამოყენება და განკარგვა, მიუხედავად იმისა, პქონდა თუ არა მას სურვილი საბოლოოდ მის საკუთრებაში დარჩენილიყო აღნიშნული ქონება. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მობილური ტელეფონი მესაკუთრის – ს. ვ-ს მფლობელობიდან გავიდა მისგან ფარულად, რის შემდეგაც, გ. კ-ს წარმოეშვა მოპარული ნივთის, როგორც საკუთარის, ფლობისა და განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო დანაშაულის შემდგომი ქცევა არ გამორიცხავს წინარე ქმედების უკანონობას, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის და თავის მხრივ, ქურდობის შემადგენლობის არსებობას.

2.6. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. კ-ს ქმედებაში გამოკვეთილია მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების შემადგენლობისათვის სავალდებული ყველა წიმანი, როგორიცაა – სხვისი მოძრავი წივთის დაუფლება, ქმედების ფარული ფორმით ჩადენა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა, რისი მხედველობაში მიღებითაც, მისი მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – კანონიერია.

3. ადგომატი ასევე უკანონოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს გ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია, კერძოდ:

4. მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარე სადაც არ ხდის გ. კ-ს მიერ დაზარალებულ ს. ვ-სათვის ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანების მიყენების ფაქტს, რაც ასევე დადასტურებულია საქმეში არსებული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ს. ვ-ს გამოკითხვის ოქმითა და მონმე ნ. ჯ-ის ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღების ოქმით, ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით, შპს „ს.ხ-ის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის“ სტაციონარული პაცი-

ენტის სამედიცინო ბარათის №-ის ჩანაწერებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით.

5. ადვოკატ ს. თ-ის მოსაზრებით, სახეზე არ არის საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოება – ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, რის გამოც მსჯავრდებულ გ. კ-ს ქმედება უზდა დაკავალიფიცირდეს სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

6. საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება და დაცვის მხარის მიერ სადაცოდ გამხდარი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს:

7. საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლი ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებად მიიჩნევს მის ჩადენას წინასარი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ (120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

8. საქმის მასალების თანახმად, დაცვის მხარეს სადაცოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ გ. კ-ს შეცნობილი ჰქონდა დაზარალებულ ს. ვ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა, კერძოდ, ფეხის ტერფის ამბუტაცია, რის გამოც იგი გადაადგილდებოდა ყავარჯენებით. მიუხედავად ამისა, ადვოკატი ს. თ-ე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოების – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან დაზარალებულს კანონმდებლობის შესაბამისად სტატუსი არ აქვს მინიჭებული.

9. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ არის სამართლებრივი ტერმინი. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპერტაციისგან, ძალადობისგან, არასა-თანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა.

10. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი

ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამპირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

11. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ძირითადი ამოცანაა ადამიანის ქმედუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, შესაძლებლობის შეზღუდვის გამომწვევი მიზეზის, გადამოწმების ვადისა და დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის განსაზღვრა.

12. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 13 იანვრის №1/ნ ბრძანების მე-4 მუხლის თანახმად, პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენას საფუძვლად უდევს კლინიკურ-ფუნქციონალური, სოციალური, პროფესიულ-შრომითი და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსური შეფასება. დაავადებების, ტრავმების, ანატომიური და გონებრივი დეფექტების, ფუნქციური დარღვევების მიხედვით, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის დროს, ამ ინსტრუქციის მე-9 და მე-10 მუხლების შესაბამის პუნქტებში და ქვეპუნქტებში მითითებული დაავადებების, ტრავმების, ანატომიური და გონებრივი დეფექტებისა და ფუნქციური დარღვევების გათვალისწინებით, მონაწილეობას იღებენ ექიმი-სპეციალისტები თანადართული დანართის შესაბამისად (დანართი 11). ამავე ბრძანების მე-3<sup>1</sup> მუხლის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნა გამოაქვს შესაბამის სამედიცინო დაზისებულებას (შემდგომში – დაზისებულება) ამ ინსტრუქციის მე-32 მუხლის შესაბამისად, რომელსაც შერჩევის საფუძველზე 2 წლის ვადით გადაეცემა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლება.

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს: იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რეაქცია), პირს უნდა ჰქონდეს კანონით დადგენილი წესით მინიჭებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის. მოცემულ შემთხვევაში საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ დაზარალებულ ს. ვ-ს არ მიუმართავს სამინისტროსათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრად; შესაბამისად, ზემოჩამოთვლილ პროცედურებს ადგილი არ ჰქონია და საქმეზე უდავოდ ცნობილი მტკიცებულებე-

ბით დასტურდება, რომ მას არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი და არ არის წარმოდგენილი მისთვის მინიჭებული სტატუსის დამდგენი დოკუმენტი. შესაბამისად, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვროს ს. ვ-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, რის გამოც გ. კ-ს ქმედების დაკავალიფიცირება 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2022 წლის 6 ივნისამდე რედაქციით) არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან და მისი ქმედება უნდა დაკავალიფიცირდეს სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

14. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უდანაშაულობის პრეზუმეცია დაძლეულია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულებები აქარნებულებენ გონივრულ ეჭვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველგვარი ეჭვი, რაც ვლინდება დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშნის არსებობის მიმართ, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ადგენს, რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია გ. კ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რის გამოც მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

## 16. სასჯელის დასაბუთება:

16.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანია უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით და უნდა იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი.

16.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ხაյლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის სტატიაზე მოსამართლე თანაბრად აფა-

სებს როგორც პასუხისმგებლობის დამამდიმებელ, ისე შემამსუბურებელ გარემოებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ მიზნებს.

16.3. დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებას ყველა შესაბამისა დანაშაულისათვის და გათვალისწინებული უნდა იქნეს მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრის შემთხვევაში, დანიშნული სასჯელი, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ ზღვარს.

16.4. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს შინაპატიმრობას ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე, ხოლო სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ექვს თვემდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

16.5. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების სასამართლო განხილვისას, ეროვნულმა ხელისუფლებამ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიიღოს მხედველობაში მსხვერპლის უმწეო მდგომარეობა, მისი ფიზიკური და მორალური მოწყვლადობა და რაც შეიძლება სწრაფად შეაფასოს სიტუაცია ადეკვატურად (ტალპისი იტალიის წინააღმდეგ, Talpis v. Italy, განაცხადი N41237/14; 02/03/2017).

16.6. განსახილველი საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოების (მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულების საზოგადოებრივი საშიშროების, ხასიათის, სიმძიმის (ჩადენილია მძიმე კატეგორიის, განზრახი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც ქონებრივ ზიანს აყენებს მესაკუთრეს, ხელყოფს ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას), დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის (ანგარების მოტივით დაუფლებოდა დაზარალებულის კუთვნილ ნივთს; გენდერული შეტყინულებისა და მედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების ხარისხის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და დამ-

დგარი შედეგის (გ. კ-ე მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა ს. ვ-ს კუთვნილ მობილურ ტელეფონს, რითაც დაზარალებულს მიადგა 400 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი; („ვაიფაის“ აპარატის, ე.წ. „როუტერის“ რამდენჯერმე დარტყმა თავის არეში, კეფის მიდამოში ღია ჭრილობა, თავის ზედაპირული ტრავმა) მხედველობაში მიღებით, საკართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სასჯელის სახედ და ზომად უნდა შეეფარდოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2022 წლის 6 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, უფრო მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და გ. კ-ს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არის სამართლიანი, მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების პროპორციული, რომლითაც შესაძლებელი იქნება კანონით განსაზღვრული სასჯელის მიზნების მიღწევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადგომატ ს. თ-ის საკასაციო საჩივარი დაკამაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2022 წლის 6 ივნისამდე რედაქცია) გადაკვალითიცირდეს სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე (2022 წლის 6 ივნისამდე რედაქცია);

4. გ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2022 წლის 6 ივნისამდე რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

– საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2022 წლის 6 ივნისამდე რედაქცია) – 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. გ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მიზნით დაკავების მომენტიდან – 2023 წლის 1 ოქტომბერვლიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 4 მაისიდან იმავე წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი;

7. ნივთიერი მტკიცებულებები:

– კომპიუტერული დისკები შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

– გატეხილი სარკე, ჭიქის ნატეხები, ანაწმენდები, ნერწყვის და სისხლის ნიმუშები განადგურდეს;

– ე.ნ. „როუტერი“ და სამი ცალი ანტენა, ტელევიზორის პულტი, გ. კ-ს მობილური ტელეფონი, ს. ვ-ს მობილური ტელეფონი, ს. ვ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს/მფლობელებს;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განაჩენის უცვლელად დატოვება (სსკ-ის 116-ე მუხლი)

### განაჩენი საქართველოს სახელით

№1230აპ-22

3 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),  
შ. თალუმაძე,  
მ. გაბინაშვილი

მონაწილეობით ზეპირი მოსმენით განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის – ირაკლი კოძახიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

#### აღნერილობითი ნაწილი:

##### 1. ნარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ბ. ა-ს ბრალდა ედება სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. 2021 წლის 6 აპრილს, დაახლოებით 17:00 საათზე, ტ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ც-ი, მართვის მოწმობის არქეოლოგი სასმელით მთვრალი ბ. ა. დაჯდა მის კუთვნილ „გაზ-69“ მოდელის (ვილისი) ავტომობილის (სახ. №D...) საჭესთან, რომელსაც გავლილი არ ჰქონდა ტექნიკური დათვალიერება, იგი თანასოფლელებთან – მ. კ-სთან, რომელიც იდგა ავტომანქანის საბარგულზე და კ. გ-სთან ერთად, რომელიც იჯდა ავტომანქანის წინა მარჯვენა ფრთაზე, გადაადგილდებოდა სოფელში არსებული ეკლესის (სასაფლაოს) მიმართულებით. სოფლის ქვალორიან, ვაკე ადგილზე მოძრაობისას ავტომანქანა ჩავარდა გზაზე არსებულ პატარა თხრილში, რა დროსაც გაითიშა ძრავი, ხოლო კ. გ. გადმოვარდა ავტომანქანის მარჯვენა ფრთიდან და დაეცა მიწაზე. ვინაიდან ავტომანქანზე დაზიანებული იყო გამშვები მექანიზმი და მისი ძრავის ამუშავება ხდებოდა რკინის სპეციალური მექანიკური ხელსაწყოს გამოყენებით, ბ. ა-მ ავტომანქანის ძრავის ასამუშავებლად კ. გ-ს მისცა რკინის მექანიკური ხელსაწყო, რის შემდეგაც მან იგი მოათავსა ძრავის ბორბალზე არსებულ ე.წ. „ხლაფავიკის გაიკაში“ და დაატრიალა მარჯვენივ, საათის ისრის მიმართულებით. რკინის მექანიკური ხელსაწყოს გადატრიალების მომენტში, ავტომანქა-

ნის დენის გამანაწილებელი (ე.წ. „ტრამლიორი“), რომელიც ეხმა-რება ავტომანქანის ძრავს დენის მინოდებაში, დაყენებული იყო არასწორ პოზიციაზე, კერძოდ, ნაცვლად ნეიტრალური პოზიციისა – ადრე პოზიციაზე. ამავდროულად ავტომანქანის საჭესთან ალ-კოპლური სასმელით მთვრალ ბ. ა-ს, ავტომანქანის სიჩქარის გა-დამრთველი ბერკეტი, რომელიც უნდა ყოფილიყო ნეიტრალურ პო-ზიციაში, მოთავსებული პქნდა მაღალ სიჩქარეში (მეორე, მესამე ან მეოთხე სიჩქარეში), ხოლო ავტომანქანის გამთაშველი ე.წ. „კო-ნუსის“ სისტემა არ პქნდა გათიშული. ამის შედეგად, რკინის მე-ქანიური ხელსაწყოს გადატრიალების მომენტში ავტომანქანა წა-ბორიდა, გააკეთა რამდენიმე სანტიმეტრით წინსვლა, ამავდრო-ულად რკინის მექანიკური ხელსაწყო დატრიალდა საპირისპირო მი-მართულებით, რა დროსაც მისი ტარი მუცელში მოხვდა დამტრია-ლებელ კ. გ-ს, რომელმაც მიიღო დაზიანება და საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. კ. გ-ს სიკვდილის უშუალო მიზე-ზი გახდა სხეულის ბლაგვი ტრავმით დაზიანებული შინაგანი ორ-განოდან (ლვიძლი) სისხლდენის შედეგად განვითარებული ზოგა-დი მწვავე სისხლნაკლებობა.

## 2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განაჩენით:

2.1. ბ. ა. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქარ-თველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალ-დებაში. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პა-ტიმრობა გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმ-რობიდან სასამართლო სხდომის დარბაზში.

2.2. გამართლებულ ბ. ა-ს განემარტა საქართველოს სისხლის სა-მართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებუ-ლი ზიანის ანაზღაურების უფლება.

## 3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-თლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით:

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-და და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურა-ტურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა ირაკლი კოძახი-ძემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასა-მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენის გაუქმება, ბ. ა-ს დამზაშვედ ცნობა საქარ-თველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და შესაბამისი სას-ჯელის შეფარდება.

4.1. გამართლებულ ბ. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატ-

მა 6. ჩ-მ შესაგებლით მოითხოვა პროკურორ ირაკლი კოძახიძის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენის ძალაში დატოვება.

5. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე პროკურორმა ირაკლი კოძახიძემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაცმაყოფილება.

6. დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარის პოზიციას და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ ბრალდების მხარის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის მტკიცებულებათა ხარისხობრივ მოთხოვნასთან ერთად ადგენს მათი საკმარისობის კონსტიტუციურ სტანდარტსაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ბრალდების მხარის იმპერატიული ვალდებულებაა სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი გამოძიების წარმოება, მტკიცებულებათა მოპოვება, მათი გამყარება და პირის ბრალეულობის დასადასტურებლად იმგვარი სამხილების წარმოდგენა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობა, თავისითავად, ზრდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შეცდომის, თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-103).

3. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც აუცილებელია პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, კერძოდ:

4. მონმე გ. კ-მა განმარტა, რომ 2021 წლის 6 აპრილს, 9 საათზე, მ. კ-ნ, ბ. ა-სთან, ხ. გ-ნ, კ. კ-ნ, გ. დ-ა და კ. გ-ასთან ერთად სამუშაოდ მივიდა პლანტაციაში. მუშაობის დაწყებიდან დაახლოებით 2 საათის შემდეგ გაწვიმდა, მათ იქვე არსებულ ჯიხურს შეაფარეს თავი და საჭმელად დასხდომა გადაწყვიტეს. ბ. ა-მ, კ. გ-ამ და მ. კ-მ

საჭმელთან ერთად ალკოჰოლური სასმელიც მიიღეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ბ. ა-ს კუთვნილი ავტომანქანით სოფლის მიმართულებით გაემართნენ. თავად მძლოლის გვერდით იჯდა, კ. გ. ავტომანქანის ფრთაზე, სხვები კი ავტომანქანის ძარაზე იდგნენ. დაახლოებით ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ, მოსაცდელთან გაჩერდნენ და ბ. ა-მ მ. კ-სთან ერთად ალკოჰოლური სასმელის მიღება განაგრძო. ალკოჰოლური სასამელის მიღების შემდეგ გზა განაგრძეს და ჯერ ხ. დატოვეს სახლთან, შემდეგ კი თავად, გ. კ. და ა. კ. დარჩნენ თავიანთი უბნის გადასახვევთან. ბ. ა-მ, მ. კ-მ და კ. გ-მ გზა განაგრძეს და, როგორც მისთვის ცნობილია, ისინი კ. გ-ს სახლში იმყოფებოდნენ, სადაც კიდევ მიიღეს ალკოჰოლური სასმელი. შემდგომ თანამშრომლის – კ-ს სანახავად წასულან, სადაც ისევ დაულევიათ ალკოჰოლური სასმელი. მოწმის განმარტებით, სოფელში ყველამ იცოდა, რომ კ. გ. ღვინომ დაახრჩო. გარდაცვალებიდან მესამე დღეს კი გაიგეს, რომ მას ბ. ა-ს ავტომანქანის ძრავის ამუშავებისას ე.წ. „რუჩიკა“ დაუბრუნდა და მოხვდა. ბ. ა-ს ავტომანქანის ძრავა ზოგ შემთხვევაში ე.წ. „რუჩიკით“ მუშავდებოდა და მას ხან ბ. ა., ხან კი კ-ი ამუშავებდნენ.

5. მოწმე გ. დ-მ განმარტა, რომ არის იმ ბრიგადის უფროსი, რომელშიც ბ. ა. და კ. გ. მუშაობდნენ. შემთხვევის დღეს წვიმდა და მან ბრიგადის წევრებს უთხრა სამუშაოდ არ წასულიყვნენ. ბრიგადის შვიდმა წევრმა მისი ნათქვამი არ გაითვალისწინა და მაინც წავიდნენ. სალამოს საათებში მას სოფლიდან დაუკავშირდნენ და კ. გ-ს ამპავი აუწყეს. სოფელში დაბრუნდა და ჯერ გარდაცვლილის ოჯახში მივიდა, შემდეგ კი ქ-ი – ექსპერტიზის ბიუროში. ყველამ იცოდა, რომ კ. გ. ტოქსიკური მოწამვლით გარდაიცვალა და დედამისისაც აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა. მისი გარდაცვალებიდან მესამე დღეს, როდესაც ბ. ა-სა და მ. კ-ს დაკითხვები დასრულდა და სამძიმარზე მივიდნენ, მ. კ-მა უამბო, რომ კ-ი ბ. ა-ის ავტომანქანის ფრთაზე იჯდა, თავდალმართში ჩასვლისას ავტომანქანიდან გადავარდა ან გადახტა, რის შემდეგაც ბ. ა-ს მიმართა – „ავტომაქანის მართვა ხომ არ დაგავიწყდაო“ და ძრავის ასამუშავებლად ე.წ. „რუჩიკა“ მოსთხოვა. მისი გადატრიალების შემდეგ ხელი მუცელზე მოიკიდა, ჩაიკეცა და „ვაი დედაო“ დაიძახა. კითხვაზე რა მოხდა, კ. გ-ს უთქვამს, რომ ძრავის ამუშავებისას ე.წ. „რუჩიკა“ დაუბრუნდა და მოხვდა. დაახლოებით 300 მეტრის გავლის შემდეგ იგი ცუდად გამხდარა. ამის შემდეგ საშველად ხალხისთვის მოუხმიათ და სასწრაფო გამოუძახებიათ. მ. კ-ს ეგონა, რომ კ. გ. ღვინისგან იყო გაგუდული, თუმცა მოგვიზებით გ-ს სიძეებ ექსპერტიზის პასუხი მიიტანა და ცნობილი გახდა, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი ღვიძლის გახეთქვა იყო. მოწმის განმარტებით, ბ. ა-ს ავტომანქანის ძრავას უმე-

ტესწილად ე.ნ. „რუჩკით“ ამუშავებდნენ. ყოფილა შემთხვევა, რომ ე.ნ. „რუჩკა“ უკან დაბრუნებულა და თავად ბ. ა-ს მოხვედრია ხელზე. მისივე განმარტებით, კ-ც ამუშავებდა ძრავას ე.ნ. „რუჩკით“ და ხელი შეჩვეული ჰქონდა.

6. მონმე ე. გ-მ განმარტა, რომ კ. გ. იყო მისი შვილი. 2021 წლის 6 აპრილს კ. სახლში მეგობრებთან ერთად დაბრუნდა. ისანი ნასკამები იყვნენ და 3-3 ჭიქა ღვინო კიდევ დალიეს. როდესაც შვილის მეგობრები მიდიოდნენ, მას სახლში დარჩენა სთხოვა, თუმცა არ დაუჯერა. მოგვიანებით სოფლის ექთანი დაუკავშირდა და შეატყობინა, რომ კ-ი შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. თავდაპირველად ცველამ იცოდა, რომ კ-ს გარდაცვალების მიზეზი არყით მონამდლა იყო, თუმცა მოგვიანებით მ-მ უამბო, რომ მის შვილს ავტომანქანის ძრავის ამუშავების დროს ე.ნ. „რუჩკა“ მოხვედრია მუცელში.

7. მონმე ა. კ-მ დაადასტურა იგივე ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან განმარტა, რომ ბ. ა-ს ავტომანქანის ძრავის ამუშავება ძირითადად ე.ნ. „რუჩკით“ ხდებოდა და მას ზოგჯერ ბ. ა., ზოგჯერ კი კ. გ. ამუშავებდნენ. კ-ს გარდაცვალების შემდეგ მისმა სიძემ მომხდარის გარკვევის მიზნით შეხვედრა მოითხოვა და მას სოფლის ეკლესიასთან შეხვდნენ. შეხვედრისას ბ. ა-მ განაცხადა, რომ არაფერი ახსოვდა, მ. კ-ს განმარტებით კი, კ-ს ძრავის ამუშავებისას ე.ნ. „რუჩკა“ დაუბრუნდა და მუცელში მოხვდა.

8. მონმე გ. კ-მაც დაადასტურა იგივე ფაქტობრივი გარემოებები. მან დამატებით აღნიშნა, რომ თავად პირველი დარჩა სახლში და შემდგომში განვითარებული მოვლენების შესახებ გადმოცემით იცის, კერძოდ, როგორც მისთვის ცნობილია, ავტომანქანის ძრავა გაითიშა და ამუშავებისას კ. გ-ს ე.ნ. „რუჩკა“ დაუბრუნდა, მუცლის არეში მოხვდა და ღვიძლი გაუხეთქა. მონმისა განმარტებით, ბ. ა-ს ავტომანქანის ძრავის ამუშავება ე.ნ. „რუჩკით“ ხდებოდა და მას ზოგჯერ კ-ი, ზოგჯერ კი ბ. ამუშავებდნენ.

9. მონმე ხ. გ-მ დაადასტურა იგივე ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან მიუთითა, რომ თვითონ სახლთან დარჩა, დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს. მოგვიანებით გ. კ. დაუკავშირდა და კ. გ-ს გარდაცვალების ამბავი შეატყობინა. იმ დროისათვის იცოდნენ, რომ გარდაცვალების მიზეზი ალკოჰოლი იყო, თუმცა შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მას მუცელში ე.ნ. „რუჩკა“ მოხვედრია. მონმის განმარტებით, ბ. ა-ს ავტომანქანის ძრავის ამუშავება ხშირად ე.ნ. „რუჩკით“ ხდებოდა და კ-ს გარდაცვალების დღესაც ე.ნ. „რუჩკით“ აამუშავეს, თუმცა კონკრეტულად რომელმა აამუშავა არ ახსოვს.

10. მონმე ზ. კ-მ განმარტა, რომ კ. გ. იყო მისი თანასოფლელი. გარდაცვალების დღეს დაინახა, რომ ბ. ა-მ და კ. გ-მ ავტომანქანით

გაიარეს გზაზე. ისინი საშუალო სიჩქარით მოძრაობდნენ და ბ-ს უბნიდან სოფლის ცენტრის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ. დაინახა, რომ კ-ი ავტომანქანის ფრთაზე იჯდა, ბ. ა. კი კარგად ვერ დაინახა. მოგვიანებით შეიტყო, რომ კ. გ-ს ავტომანქანის ძრავის ამუშავებისას მუცლის არეში ე.წ. „რუჩა“ მოხვედრია.

11. მოწმე ზ. კ-ს მონაბილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დადგენილია, რომ მოწმემ მიუთითა საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან დაახლოებით 50 მეტრში გამავალ სოფლის ქვალორლიან გზაზე, რომელიც განკუთვნილია სატრანსპორტო სამუალებებისა და ფეხით მოსარულეთათვის და განმარტა, რომ 2021 წლის 6 აპრილს, დაახლოებით 16:00 საათზე, იმყოფებოდა თავის საკარმიდამო ნაკვეთში, რა დროსაც გაიგო ავტომანქანის მოძრაობის ხმა. მან დაინახა „ვილისის“ მარკის ავტომანქანა, რომლის წინა მხარეს ავტომანქანის ძრავის სახურავზე ან ავტომანქანის წინა ფრთაზე იჯდა მის სოფელში მცხოვრები, აწ/გარდაცვლილი კ. გ. სხვა ვინ იყო ავტომანქანაში არ დაუნახავს; მიხვდა, რომ ავტომანქანის საჭესთან იქნებოდა ამავე სოფელში მცხოვრები ბ. ა. ვინაიდან, აღნიშნული „ვილისის“ მარკის ავტომანქანა მხოლოდ მას ჰყავს სოფელში, თან აწ/გარდაცვლილი კ. გ. და ბ. ა. იყვნენ მეგობრები. მისივე განმარტებით, ავტომანქანა მოძრაობდა ხ. ბ-ს საცხოვრებელი სახლის მხრიდან სოფელში არსებული სასაფლაოს მიმართულებით. აღნიშნულის შემდეგ მოწმე ზ. კ-მ მიუთითა იმ ადგილისაკენ, სადაც ჩაიარა ხსენებულმა ავტომანქანამ და განმარტა, რომ ის მოძრაობდა დაახლოებით 30 კმ/სთ სიჩქარით. ავტომანქანიდან რაიმე ჩეუბის ან ყვირილის ხმა არ გაუგია.

12. მოწმე ა. ბ-მ განმარტა, რომ არის ავტომანქანის ძრავების ხელოსანი და საპენსიო ასაკის მიღწევამდე ძირითადად რუსული ავტომანქანების, მათ შორის – „გაზ-69“ მარკისა და მიღელის ავტომანქანის სარემონტო სამუშაოებს ასრულებდა. იმ შემთხვევაში, თუ „გაზ-69“ მარკისა და მოღელის ავტომანქანას ე.წ. „სტარტერი“ დაზიანებული აქვს, ძრავის ამუშავება ხდება სპეციალური ბერკეტით, ე.წ. „რუჩკით“, რაც სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, კერძოდ, პირი, ვინც ძრავის ამუშავებას ცდილობს, ავტომანქანასთან შესაბამის პოზიციაში უნდა დადგეს, ისე, რომ დაბრუნების შემთხვევაში ბერკეტი არ მოხვდეს და ე.წ. „რუჩა“ უნდა დაატრიალოს ნახევარ ბრუნზე, რის შემდეგ ძრავა ამუშავდება. თუ ძრავა ნახევარ ბრუნზე არ ამუშავდა, აღნიშნული ინვენტ ბენზინის ძრავის ცილინდრებში დაგროვებას და იმ შემთხვევაში, თუ დენის გამანაზილებელი ე.წ. „ტრამლიორი“ არასწორ პოზიციაზე დაყენებული, ხდება ე.წ. „რუჩკის“ უკუგდება. ე.წ. „რუჩკის“ უკან დაბრუნება და ამოგდება ძლიერად ხდება და ხშირად ყოფილა შემთხვევის

ვა, როცა ამან ადამიანის ხელის მოტეხვა ან ბეჭის ამოგდება გამოიწვია. ე.წ. „ტრამლიორს“ აქვს ორი ნიშანი – გამოკლებისა და მიმატების. იგი ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციაზე უნდა იყოს დაყენებული, ხოლო როდესაც მიმატების მხარეს არის დაყენებული, აღნიშნული იჩვევს ე.წ. „რუჩის“ საპირისპირო მიმართულებით დაბრუნებასა და ამოგდებას. მოცავეულ შემთხვევაში, ავტომანქანის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ე.წ. „ტრამლიორი“ მიმატების ნიშანთან იყო დაყენებული, რაც არასწორია. მოწმის განმარტებით, ე.წ. „ტრამლიორის“ პოზიციის შეცვლა ძრავის ყოველი ამუშავებისას არ ხდება, ვრანიდან აღნიშნულისათვის გარკვეული ძალისხმევაა საჭირო, კერძოდ, ქანჩის მოშვება და პოზიციის შეცვლის შემდეგ თავიდან მოჭერა. ე.წ. „ტრამლიორის“ მიმატების ნიშანთან დაყენება არასწორია, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დენის გამანანილებელი ე.წ. „ტრამლიორი“ ნეიტრალურ პოზიციაზეა დაყენებული და ავტომანქანის ყველა ხელსაწყო შესაპამის მდგომარეობაშია, იშვიათად, თუმცა შესაძლებელია ძრავის ამუშავებისას ე.წ. „რუჩა“ მაინც დაბრუნდეს, რაც შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. მისივე განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ ძრავის ამუშავებისას ავტომანქანის გადაცემათა კოლოფი პირველ სიჩქარეშია, ავტომანქანა ადგილიდან არ დაიძვრება, ვინაიდან პირველი სიჩქარე ძლიერია, ხოლო თუკი გადაცემათა კოლოფი მეორე, მესამე ან მეოთხე სიჩქარეშია, ავტომანქანა შესაძლოა წაბორდიკდეს ანუ გარკვეული მანძილით ნინ წაიწევს და ძრავა კვლავ გაითიშება.

13. თავად ბ. ა-მ განმარტა, რომ კ. გ-ს გარდაცვალების დღეს სამუშაოდ იმყოფებოდნენ პლანტაციაში, თუმცა წვიმა დაიწყო და ალკოჰოლური სასმელის დალევა დაიწყეს. შემდეგ სოფლის მიმართულებით წავიდნენ, მოსაცდელთან გაჩერდნენ და ალკოჰოლური სასმელის მიღება გააგრძელეს. კ. გ-ს სახლში მისვლისას მან ორი ლიტრი ლვინო გამოიტანა და კიდევ დალიეს. თავად სახლში წასვლა გადაწყვიტა, თუმცა კ. გ. ერთ-ერთი თანამშრომლის სახლთან მისვლას სთხოვდა და ამბობდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოტოციკლით თავად წავიდოდა მასთან. საბოლოოდ აღნიშნული პირის სახლთან მივიდნენ, მაგრამ იგი სახლში არ იმყოფებოდა. მეზობელმა ლვინო გამოიტანა და რამდენიმე ჭიქა კიდევ დალიეს, თავად ალკოჰოლური სასმელი აღარ მიუღია. სოფლის ცენტრის მიმართულებით მოძრაობისას, გზაში, ავტომანქანის ძრავა გაითიშა. კ-მ ე.წ. „რუჩა“ მოსთხოვა და ძრავის ასამუშავებლად გადაატრიალა. კ. გ-ს იმ დღეს პირველად არ აუმჯუშავებდია ძრავი ე.წ. „რუჩით“, ძრავას სულ ის ამუშავებდა. თავად არ დაუნახავს და გაუგია, თუმცა იქვე მყოფმა მ. კ-მ უთხრა, რომ მეორე გადატრიალებისას კ-ს

ე.წ. „რუჩქა“ დაბრუნებია და მოხვედრია, რა დროსაც „გაი დედაო“ დაიძახა. ავტომანქანის ძრავის ამუშავების შემდეგ კ. თავისით ჩაჯ-და ავტომანქანაში და გზა განაგრძეს. დაახლოებით 2-3 წუთში კ. ცუდად გახდა. იგი ავტომანქანიდან გადაიყვანეს და შველას ითხოვდნენ. პ. ა-ს განმარტებით, მას აღნიშნული ავტომანქანა დაახლოებით სამი წელია ჰყავს და ე.წ. „ტრამლიორის“ ადრე, ნეიტრალური და გვიანი პოზიციები არ შეუცვლია, რადგან პოზიციის შეცვლის შემდეგ, შესაძლოა, ძრავმა არასწორად იმუშაოს. მისივე განმარტებით, ე.წ. „რუჩქის“ დატრიალებას ძალა სჭირდება, ხელი მჭიდროდ უნდა გეკიდოს და თუ ვერ მოერევი, უკან დაბრუნება იცის. კ. გ. შემთხვევის დღეს ნასვამი იყო, თან ფიზიკურად სუსტი იყო და ე.წ. „რუჩქას“ ვერ მოერია, რის გამოც უკან დაუბრუნდა და მოხვდა.

14. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, 2021 წლის 7 აპრილს, 06:10 საათიდან 07:50 საათამდე დროის მონაკვეთში, დეტექტივის თანაშემწერ-გამომძიებელ დ. ი-მ უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ გ. ნ-ს, ექსპრტ გ. კ-ს და მოწმეების – პ. ა-ისა და მ. კ-ს მონაწილეობით ჩაატარა ტ-ს რაიონის სოფელ ც-ში მდებარე შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რა დროსაც ტ-ს რაიონის სოფელ ც-ს საბავშვო ბალის ცენტრალური შესასვლელის ჭიშკართან, ქუჩაში იდგა ავტომანქანა „გაზ-69“, რომლის სანომრე ნიშნებზე იკითხებოდა D-. ავტომანქანას ყველგან აღნიშნებოდა დაზიანების კვალი; ჰქონდა ღია საბარგული, ხოლო წინა მხარე იყო გადახურული მორუხო ფერის ტენტით. სალონში იყო ორი სავარძელი. ავტომანქანის სავარძლების უკან მოწმეებმა მიუთითეს ე.წ. „რუჩქაზე“ და განმარტეს, რომ ის კ. გ-ს მოხვდა მარჯვენა მხარეს მუცლის არეში, როდესაც ძრავის ასამუშავებლად ატრიალებდა. შემდეგ მოწმეებმა მიუთითეს რკინის მომრგვალო (ძაბრისებრი ფორმის) დეტალზე და განმარტეს, რომ აღნიშნული ე.წ. „რუჩქის“ დაბრუნების დროს მოტყდა ბუფერზე. მოტეხვის შედეგად ე.წ. „რუჩქა“ გათავისუფლდა და მოხვდა კ. გ-ს. მოწმეების მითითებით, სალონში არსებული მომრგვალო (ძაბრისებრი ფორმის) რკინის დეტალი „დასვარკული“ იყო ბუფერზე დამაგრებულ რკინაზე. შემდგომ სოფელ ც-ში, წმინდა გ-ს სახელობის ეკლესიასა და სასაფლაოსთან მოწმეებმა მიუთითეს იმ ადგილზე, სადაც 6 აპრილს გაჩერებული იყო ავტომანქანა „გაზ-69“, რომლის ძრავის გაშვების დროს კ. გ-ს ე.წ. „რუჩქა“ მოხვდა მარჯვენა მხარეს, მუცლის არეში. საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, გრუნტიან გვერდულზე აღინიშნებოდა საბურავის მიერ დატოვებული კვალი და მოწმეებმა განმარტეს, რომ აღნიშნული კვალი დატოვებულია „გაზ-69“ მარკისა და მოდელის ავტომანქანის მიერ.

15. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ კ. გ-ს სიკვდილის მიზეზია სხეულის ბლაგვი ტრამვით დაზიანებული შინაგანი ორგანოდან (ლვიძლი) სისხლდენის შედეგად განვითარებული ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობა. კ. გ-ს გვამზე აღენიშნებოდა სიცოცხლისადროინდელი დაზიანებები: უსწოროკიდებიანი ჭრილობები ღვიძლზე, ირგვლივ მუქი მონითალო ფერის სისხლჩაქცევებით. მუქი მონითალო ფერის დიფუზური სისხლჩაქცევები დაიფრაგმის გუმბათზე მარჯვნივ. წვრილ ნაწლავზე და წვრილ ნაწლავის ჯორჯალზე და ორივე თირკმლის ცხიმოვან კაფსულაში. პერიტონეუმის ღრუში 2500 მლმდე მოცულობით სისხლი და სისხლის კოლტები – განვითარებული რაიმე მკვრიცი-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით, ერთობლიობაში მიეკუთვნებოდნენ სხეულის დაზიანებათა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხს და მიზეზობრივ კავშირში იმყოფებოდნენ დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან. ქიმიურ-ტრასოლოგიურ ექსპერტიზე ნარდგენილ კ. გ-ს გვამიდან აღებულ სისხლში აღმოჩნდა 2,65 % ეთილის სპირტი.

16. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ პაკეტში წარწერით: „...ავტომანქანის ე.წ. „რუჩა“ ძრავის გამშვები ბერკეტი...“ მოთავსებულ მეტალის მოგრძო ფორმის საგანზე არსებული მოყავისფრო-მონარინჯისფრო ნადებები (ობ. №1-3) სისხლს და გენოტიპირებისათვის საკამარის, ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალურ კონცენტრაციას არ შეიცავს. ამავე საგანზე არსებული ბიომასალის (ობ. №4, 5) გენეტიკური პროფილი შერეულია. ობ. №4, 5-ის გენეტიკური პროფილის ერთი ნილი ეკუთვნის ბ. ა-ს, მეორე ნილი ეკუთვნის კ. გ-ს; პაკეტში, წარწერით: „...ანაწმენდი ავტომანქანის საჭიდან და გადაცემათა კოლოფის ბერკეტიდან (რიჩაგიდან)...“, მოთავსებულ საჭიდან (ობ. №6) და სიჩქარეთა კოლოფის ბერკეტიდან (ობ. №7) აღებულ ანაწმენდებზე გენოტიპირებისათვის საკმარისი ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალური კონცენტრაცია არ აღმოჩნდა.

17. ავტომანქანა „გაზ-69“-ის (ვილისი) დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერებაში მონაწილეობდნენ ავტომანქანის ძრავის სპეციალისტი ა. ბ. და შპს „ი.“ სპეც.საჯარიმო სადგომის თანამშრომელი დ. ჭ. გაზ-69 (ვილისი) მოდელის ავტომანქანას, სახ. №D... გარეგნულად აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები, ცვეთისა და კოროზიის კვალი. იმისათვის, რომ შემოწმებულიყო, მუშაობდა თუ არა ავტომანქანის ე.წ. „სტარტერი“, ელექტროსადენები დაერ-

თდა ავტომანქანის მარჯვენა სავარძლის ქვემოთ მოთავსებულ კვების მოწყობილობაზე ანუ აკუმულატორზე, მაგრამ ავტომანქანა არ ამჟავდა გამომდინარე იქიდან, რომ კვების მოწყობილობა ანუ აკუმულატორი, სავარაუდოდ, მნიშვნელიდან იყო გამოსული. ავტომანქანის ე.წ. „ტრამლიორის“ დათვალიერების მიზნით გაიღო ავტომანქანის ძრავის სახურავი. სპეციალისტებმა ა. ბ-მ განმარტა, რომ ავტომანქანის ძრავზე მარჯვენა მხარეს მიმაგრებული იყო ე.წ. „ტრამლიორი“, ხოლო მის ქვემოთ – ე.წ. „სტარტერი“. „სტარტერი“ სანახევროდ მოცილებული იყო ძრავს და ხელის შეხებით ირხეოდა. „ტრამლიორსა“ და „სტარტერზე“ გადაიღეს ფოტოსურათები. „ტრამლიორს“ მიმაგრებული ჰქონდა შეკვივი, რაზეც იყო ღარი და აღნიშნულ ღარში მოთავსებული იყო ჭანჭიკი. ჭანჭიკის ღარში მოძრაობით ხდებოდა „ტრამლიორის“ რეგულირება ანუ „ტრამლიორის“ დაყენება ადრე, ნეიტრალურ და გვიან პოზიციებზე. შეკვივზე ქვემოთ მკრთალად ამოტვიფრული იყო + (პლუს) ნიშანი, ხოლო ზემოთ კი – (მინუს) ნიშანი. დათვალიერების დროს შეკვივზე ჭანჭიკი მოთავსებული იყო ქვემოთ ანუ + (პლუს) ნიშნულზე, რაც ა. ბ-ს განმარტებით, ნიშნავს, რომ „ტრამლიორი“ იყო დაყენებული „ადრე“ პოზიციაზე. ავტომანქანის ძრავის ნინა მხარეს, ა. ბ-ს განმარტებით, მოთავსებული იყო ე.წ. „ძრავის შეკვივი“, რაზეც დამაგრებული იყო ე.წ. „ხლაფავიკის გაიკა“, სადაც ხდებოდა რკინის მექანიკური ხელსაწყოს ანუ ხელის „რუჩკის“ შეყვანა ავტომანქანის ძრავის ხელით ამჟავებისას. ა. ბ-ს განმარტებით, ვიზუალურად შეკვივზე რაიმე დაზიანების კვალი არ ეტყობოდა, ხოლო შეკვივი შეცვლილი იყო თუ არა, ამის დადგენა მას არ შეეძლო. ავტომანქანის ნინა ბამპერზე იმ ადგილას, სადაც არის რკინის მექანიკური მოწყობილობის ანუ ხელის „რუჩკის“ შესასვლელი ადგილი, მოტეხილი იყო რკინის დეტალი.

18. საქართველოს შპ სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალის-ტიკური დეპარტამენტის კომისარის ავტოტექნიკურ-ავტოტრასოლოგიური ექსპერტიზის №... . დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი „გზა 69“ მოღელის ავტომანქანა, სახ. № დ... იმყოფებოდა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. გამოძიებით დადგენილი გარემოებების მიხედვით, მძღოლის – ბ. ა-ს მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.15 და 46.10 (ა) მუხლების მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მას შეეძლო, მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება. (აღნიშნული მტკი-ცებულება ეხება ჯერ კიდევ ძრავის ამუშავებამდე მომხდარ საგ-ზაო შემთხვევას, როდესაც სოფლის ქვალორლიან, ვაკე ადგილზე მოძრაობისას ავტომანქანა ჩაიგრძა გზაზე არსებულ პატარა

თხრილში, რა დროსაც გაითიშა მისი ძრავი, ხოლო კ. გ. გადმოვარდა ავტომანქანის მარჯვენა ფრთიდან და დაეცა მიწაზე).

19. საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალის-ტიკური დეპარტამენტის ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ „გაზ-69“ მოდელის ავტომობილს, სახ. №D... ე.ნ. „ბამპერსა“ და რკინის მექანიკური ხელსაწყოს მოთავსების ადგილზე აღნიშნებოდა ლითონის ტეხნიკის კვლები, რომელიც განვითარებული იყო მექანიკური ძალის ზემოქმედების შედეგად; ე.ნ. „ძრავის შეკვეთზე“ არსებულ ე.ნ. „ხლაფავიკის გაიკაზე“ რაიმე მექანიკური დაზიანების კვალი, გარდა საექსპლუატაციო ცვეთისა, არ გააჩნდა; ავტომობილის წინა ბამპერზე, შუა ადგილზე ელ. შედუღების სამუალებით დამაგრებული ლითონის კუთხის ფორმის დეტალის დაზიანებულ ზედაპირზე, შედარებულ იქნა FCD1183006 პაკეტში არსებული ლითონის დეტალს დაზიანებული ზედაპირი. შედარებისას დადგინდა მათი სრული შეთავსება და ის წარმოადგენდა „გაზ-69“ მოდელის სახ. №... ავტომობილის წინა ბამპერზე ელ. შედუღებით დამაგრებულ კუთხის ფორმის დეტალის შემადგენელ ნაწილს. რკინის მექანიკური ხელსაწყოს საპირისპირ მიმართულებით დატრიალების დროს გამოწვეული დარტყმის შედეგად დაზიანების განსაზღვრა შეუძლებელი იყო რკინის მექანიკური ხელსაწყოს არარსებობის გამო.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპონბისათვის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც დამნაშავე არღვევს საყოველთაოდ სავალ-დებულო წესებს თუ წინდახედულობის ნორმებს, რასაც დანაშაულებრივი შედეგი მოსდევს. ადამიანისათვის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპონბა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც თვითომედოვნებით, ისე დაუდევრობით. თვითომედოვნების დროს დამნაშავე ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპონბის აბსტრაქტულ შესაძლებლობას, ესმის, რომ ამგვარ ქმედებას ზოგადად შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სიცოცხლის მოსპონბა, მაგრამ უსაფუძლოდ იმედოვნებს ამ შედეგის თავიდან აცილებას. მას იმედი აქვს თავისი ძალის, გამოცდილების, მოხერხებულობის, პროფესიონალიზმის და თვლის, რომ მიღებული ზომების შედეგად ან სხვა პირთა დახმარებით, ან სხვა კონკრეტულ ფაქტორთა ზეგავლენით თავიდან აიცილებს მავნე შედეგს. მეორე სახის გაუფრთხილებლობითი ბრალის – დაუდევრობის დროს კი ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობის საკითხი დამნაშავის წინაშე სულაც არ წარმოიშვება, თუმცა მას ევალებოდა გა-

ეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა, რომ მის ქმედებას შეიძლება მოჰყოლოდა ასეთი შედეგი.

21. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად არის დადგენილი და არც მხარეები ხდიან სადაცოდი იმ გარემოებას, რომ მას შემდეგ, რაც პ. ა-ს კუთვნილი „გაზ-69“ მოდელის ავტომობილით (ვილისი) გადაადგილებისას ავტომანქანის ძრავა გაითიშა, ძრავის ასამუშავებლად კ. გ-მ რკინის მექანიკური ხელსაწყო მოათავსა პ. ა-ს ავტომანქანის ძრავის ბორბალზე არსებულ ე.წ „ხლაფავიკის გაიკაში“ და დაატრიალა მარჯვნივ, საათის ისრის მიმართულებით. რკინის მექანიკური ხელსაწყოს გადატრიალების დროს რკინის მექანიკური ხელსაწყო დატრიალდა საპირისპირო მიმართულებით და მისი ტარი მუცელში მოხვდა კ. გ-ს.

22. პროკურორი ირაკლი კოძახიძე საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ რკინის მექანიკური ხელსაწყოს საპირისპირო მიმართულებით დატრიალება და მისი ტარის დამტრიალებელ კ. გ-ს მუცლის არეში მოხვდედრა გამოწვეული იყო პ. ა-ს ბრალეულობით, ვინაიდან რკინის მექანიკური ხელსაწყოს გადატრიალების მომენტში ავტომანქანის დენის გამანანილებელი (ე.წ. „ტრამლიორი“), რომელიც ეხმარება ავტომანქანის ძრავს დენის მიწოდებაში, დაყენებული იყო არასწორ პოზიციაზე, კერძოდ, ნაცვლად ნეიტრალური პოზიციისა – ადრე პოზიციაზე. ამავდროულად ავტომანქანის საჭესთან ალკოჰოლური სასმლით მთვრალ პ. ა-ს, ავტომანქანის სიჩქარის გადამრთველი ბერკეტი, რომელიც უნდა ყოფილიყო ნეიტრალურ პოზიციაში, მოთავსებული ჰქონდა მაღალ სიჩქარეში (მეორე, მესამე ან მეოთხე სიჩქარეში), ხოლო ავტომანქანის გამთიშველი ე.წ „კონუსის“ სისტემა არ ჰქონდა გათიშული, რის შედეგადაც ავტომანქანი ნაბორძიყდა, გააკეთა რამდენიმე სანტიმეტრით ნინსვლა, ამავდროულად რკინის მექანიკური ხელსაწყო დატრიალდა საპირისპირო მიმართულებით და მისი ტარი მუცელში მოხვდა დამტრიალებელ კ. გ-ს.

23. პროკურორის მიერ საკასაციო საჩივარში განვითარებულ ზემოაღნიშნულ მსჯელობასთან მიმართებით საკასაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის მსჯელობას და მიუთითებს, რომ ბრალდების მხარემ უერნარმოადგინა არათუ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ ვერცერთი მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ კ. გ-ს მიერ პ. ა-ს ავტომანქანის ძრავის ასამუშავებლად რკინის მექანიკური ხელსაწყოს გადატრიალების მომენტში ავტომანქანის სიჩქარის გადამრთველი ბერკეტი მოთავსებული იყო მაღალ სიჩქარეში (მეორე, მესამე ან მეოთხე სიჩქარეში), ხოლო ავტომანქანის გამთიშველი ე.წ „კონუსის“ სისტემა არ იყო გათიშული, რის შედეგად ავტო-

მანქანა წაბორძიკდა და გააკეთა რამდენიმე სანტიმეტრით წინ-სვლა.

24. რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ პ. ა-ს ბრა-ლეულობის დასადასტურებლად მითითებულ არგუმენტს, რომ რკი-ნის მექანიკური ხელსაწყოს გადატრიალების მომენტში ავტომან-ქანის დენის გამანანილებელი (ე.წ. „ტრამლიორი“), რომელიც ეხმა-რება ავტომანქანის ძრავს დენის მიწოდებაში, დაყენებული იყო არასწორ პოზიციაზე, კერძოდ, ნაცვლად ნეიტრალური პოზიციისა – ადრე პოზიციაზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცე-მულ შემთხვევაში ის ფაქტობრივი გარემოება, რომ პ. ა-ს „გაზ-69“ ავტომანქანის დენის გამანანილებელი (ე.წ. „ტრამლიორი“) დაყე-ნებული იყო ადრე პოზიციაზე, დასტურდება როგორც 2021 წლის 1 ოქტომბრის ავტომანქანა „გაზ-69“-ის (ვილისი) დათვალიერების ოქმით, ასევე მოწმე ა. ბ-ს ჩვენებით, რომელმაც განმარტა, რომ ე.წ. „ტრამლიორს“ აქვს ორი – გამოკლებისა და მიმატების ნიშანი. მოცემულ შემთხვევაში, ავტომანქანის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ე.წ. „ტრამლიორი“ მიმატების ნიშანთან იყო დაყე-ნებული.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პ. ა-ს კუთვნილ „გაზ-69“ ავტომანქანის დენის გამანანილებელი ე.წ. „ტრამლიორი“ დაყენებული იყო ადრე პოზიციაზე, რაც სასამარ-თლოში დაკითხვისას დაადასტურა თავად პ. ა-მ, საქმეში წარმოდ-გენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ავტომანქანის დენის გამანანილებელი ე.წ. „ტრამლიორის“ ადრე პოზიციაზე და-ყენება არასწორია და ცალსახად იწვევს რკინის მექანიკური ხელ-საწყოს უკან დაბრუნებასა და ამოგდებას.

26. აღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად ბრალდების მხა-რე უთითებს მოწმე ა. ბ-ს ჩვენებაზე, რომელიც წლების განმავლო-ბაში ასრულებდა „გაზ-69“ ავტომანქანისა და ასევე სხვა რუსული წარმოების ავტომანქანების ძრავების სარემონტო სამუშაოებს და რომელმაც სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ დენის გა-მანანილებელი ე.წ. „ტრამლიორის“ მიმატების ნიშანთან დაყენება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, არასწორია და იგი ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციაში უნდა იყოს, ვინაიდან დენის გამანანილებელი ე.წ. „ტრამლიორის“ მიმატების მხარეს დაყენება ე.წ. „რუჩკის“ საპირისპირ მიმართულებით დაბრუნებასა და ამოგ-დებას იწვევს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, როგორც ამ მოწმის ჩვენებით ირკვევა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დენის გამანანილებელი ე.წ. „ტრამლიორი“ ნეიტრალურ პოზიციაზეა დაყენებული და ავტომანქანის ყველა

ხელსაწყო შესაბამის მდგომარეობაშია, იშვიათად, თუმცა შესაძლებელია ძრავის ამუშავებისას ე.ნ. „რუჩქა“ მაინც დაბრუნდეს, რაც შესაძლოა სხვადასხვა მიზეზებით იყოს გამოწვეული, მაგალითად ბენზინის დაბალი ხარისხით ან ე.ნ. „რუჩქის“ არასწორად დაბრუნებით.

27. განსახილველ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც პ. ა-ს ჩვენებით დგინდება, ალნიშნულ ავტომანქანას იგი დაახლოებით სამი წელია ფლობს და ე.ნ. „ტრამლიორის“ ადრე, ნეიტრალური და გვიანი პოზიციები არ შეუცვლია, რადგან პოზიციის შეცვლის შემდეგ შესაძლოა ძრავმა არასწორად იმუშაოს. პ. ა-ს მიერ მითითებული გარემოება დაადასტურა მოწმე ა. ბ-მ, რომელმაც განმარტა, რომ ე.ნ. „ტრამლიორის“ პოზიციის შეცვლა ძრავის ყოველი ამუშავებისას არ ხდება, ვინაიდან ალნიშნულისათვის გარკვეული ძალისხმევაა საჭირო, კერძოდ, ქანჩის მოშვება და პოზიციის შეცვლის შემდეგ – თავიდან მოჭერა.

28. ყურადსალებია ის გარემოებაც, რომ როგორც პ. ა-ს, ასევე მოწმეების – გ. კ-ს, გ. დ-ს და გ. კ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ პ. ა-ს კუთვნილი „გაზ-69“ ავტომანქანის ძრავის ამუშავება უმეტესწილად რკინის სპეციალური მექანიკური ხელსაწყოს გამოყენებით ხდებოდა და მას ამ ხერხით ზოგჯერ პ. ა. ზოგჯერ კი კ. გ. ამუშავებდნენ. საქმეში ნარმოდგენილი მტკიცებულებებით კი არ დასტურდება, რომ მიუხედავად დენის გამანაზნილებელი ე.ნ. „ტრამლიორის“ ადრე პოზიციაზე ყოფნისა, ძრავის რკინის სპეციალური მექანიკური ხელსაწყოს გამოყენებით ამუშავებისას იგი რომელიმე მათგანს დაუბრუნდა და რამე ზიანი გამოიწვია.

29. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასებისას განაჩენში გადმოცემულ დასაბუთებას და დამატებით ალნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე სასამართლოში არ დაკითხულა ფაქტის შემსწრე პირი – მ. კ., რომელსაც შეეძლო ნათელი მოეფინა შემთხვევის დღეს განვითარებულ მოვლენებზე. საქმის მასალებით ბუნდოვანია, ვინ მიუთითა კ. გ-ს რკინის სპეციალური მექანიკური ხელსაწყოს გამოყენებით პ. ა-ს კუთვნილი „გაზ-69“ ავტომანქანის ძრავის ამუშავებაზე. უფრო მეტიც, გამოძიება არ ჩატარებულა და შესაბამისად, არ არის აღმოფხვრილი ეჭვი იმის თაობაზე, ხომ არ მიიღო გარდაცვლილმა კ. გ-მ დაზიანება მანქანიდან გადმოვარდნის ან გადმოხტომისას. მოცემულ საქმეზე დაკითხული მოწმეები – გ. კ-ი, გ. დ, ა. კ-ი, ზ. კ-ი გადმოსცემენ მხოლოდ მათთვის სხვა პირებისგან გაგებულ ინფორმაციას და ისინი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილან. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძირითადად უშუალოდ შემთხვევის

ადგილზე მყოფ პირებს – მ. კ-სა და ბ. ა-ს უნდა მიეწოდებინათ; საქმის მასალების თანახმად კი, სასამართლოში დაკითხვისას, ბ. ა. თავის სასარგებლო ჩვენებას აძლევს, ხოლო როგორც ზემოთ აღნიშნა, ფაქტის უშუალო შემსწრე პირი – მ. კ. საერთოდ არაა და-კითხული.

30. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეზე არ ჩატარებულა საგამოძი-ები ექსპერიმენტი, რომლითაც დადგინდებოდა, ატომანქანის კო-ნუსის გამთიშველი სისტემის არგათიშვის გარეშე, მექანიკური სის-ტემის დატრიალებით, მოხდებოდა თუ არა ავტომანქანის წაბორ-ძიკება, როგორც ეს ბრალდების შესახებ დადგენილებაშია მითი-თებული; შესაბამისად არ არსებობს საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და ვერ დგინდება ავტომანქანის წაბორძიკება გახდა თუ არა სახელურის დატრიალების მიზეზი.

31. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სიცოცხლის გა-უფრთხილებლობით მოსპობა გულისხმობს საყოველთაოდ სავალ-დებულო წესებისა თუ წინდახედულობის ნორმების დარღვევას; ამასთან, ამ დარღვევასა და სხვა პირის სიკვდილს შორის მიზე-ზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს. პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის, თუ იგი ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებნა მის მოქმედება-სა და ადამიანის სიკვდილს შორის არსებული მიზეზობრივი კავში-რის განვითარების ძირითადი რგოლები მაინც. თუ არ არსებობს გათვალისწინების ასეთი შესაძლებლობა, იგი პასუხს არ აგებს დამ-დგარი შედეგისათვის.

32. საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზებისა და შეფასების შედეგად საკასაციო სასამართლო, სააპელაციო პალა-ტის მსგავსად მიიჩნევს, რომ ბ. ა. პასუხს არ აგებს კ. გ-ს სიცოც-ხლის გაუფრთხილებლობით მოსპობისათვის, ვინაიდან, მას არ შე-ეძლო გაეთვალისწინებინა მოვლენების ასეთი განვითარება. ამას-თან, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მიზეზობრივი კავშირი ბ. ა-ს ქმედებასა და კ. გ-ს გარდაცვალებას შორის. აქედან გამომდინარე, მის ქმედებაში არ არსებობს მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის შემადგენლობა.

33. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ბ. ა-ს ქმედება შესაძლოა შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგალითად, როგორიცაა ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, თუმ-ცა მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს და დაამძიმოს ბ. ა-ს ქმედება, ვინაიდან საკასაციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ

**ნარდგენილი კვალიფიკაციის ფარგლებში.**

34. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

35. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენის მოტივებს ბ. ა-ს საქართველოს საკასაციო 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ნარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში არ არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, რომ მან ჩაიდონა მითითებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ბ. ა-ს მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სასაკასაციო 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამართველოს უფროსის – ირაკლი კოძახიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განაჩენის უცვლელად დატოვება (სსკ-ის 25,260-ტ  
მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი)**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№844აპ-22

26 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაში სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატაშ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენით განიხილა საქართველოს გენერალური პრო-  
კურატურის შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრი-  
მინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოიყების საპროცესო  
ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ანი ხახანაშვილის  
საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022  
წლის 22 ივნისის განაჩენზე.

**აღნერილობითი ნაწილი:**

**1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ი. პ-ს ბრალად  
ედებოდა:**

1.1. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შე-  
ძენა, შენახვა და გასაღება, დანაშაული, გათვალისწინებული სა-  
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქარ-  
თველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის  
„ა“ ქვეპუნქტებით;

1.2. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა,  
დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხ-  
ლის პირველი ნაწილით.

**2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ი. პ-ს მიერ ჩა-  
დენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:**

2.1. 2020 წლის 27 აგვისტოს, დღის საათებში, ქ. თ., სოფელ ფ-  
ში, ც-ის ქუჩა №...ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი. პ-მა 550 ლარის  
სანაცვლოდ შ. ა-ზე უკანონოდ გაასაღა მის მიერ უკანონოდ შეძე-  
ნილი და შენახული, დიდი ოდენობით, 0,699 გრამი, ნარკოტიკული  
საშუალება „ჰეროინი“. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმა-  
ვე დღეს ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დე-  
პარტამენტის თანამშრომლებმა შ. ა-სგან.

2.2. ი. პ-მა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეი-

ძინა და შეინახა 0.0258 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა პირადად. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება 2020 წლის 14 სექტემბერს საქართველოს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლება ამოიღეს ქ.თ., დ-ს დასახლებაში, მ., მ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, ი. პ-ს პირადი ჩხრეკისას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 3 ივნისის განაჩენით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შეწყდა ი. პ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დეპნა და იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედდებისათვის;

3.1. ი. პ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის „ა“ ქებუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

3.2. ი. პ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო სამუალების მართვის უფლება; 15 წლით – საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი ოვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება, ხოლო 20 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

3.3. ი. პ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2020 წლის 14 სექტემბრიდან;

4. სასამართლომ დაადგინა, რომ 2020 წლის 27 აგვისტოს, დღის საათებში, ქ. თ., სოფელ ფ-ში, ც-ის ქუჩა №..ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი.პ-მა 550 ლარის სანაცვლოდ შ. ა-ზე უკანონოდ გაასაღა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, დიდი ოდენობით, 0,699 გრამი, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შ. ა-სგან.

4.1. ი. პ-ს ქმედებაში აშკარად იკვეთება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის

ნიშნები, თუმცა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო განსახილველ შემთხვევაში დაცვის მხარემ სასამართლოს წინაშე განაცხადა თანხმობა, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების მიმართ გავრცელებულიყო „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონით დადგენილი შეღავათი. შესაბამისად, ი. პ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს და იგი უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის.

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ი. პ-ს ადვოკატმა ს. ჯ-ემ, რომელმაც მოითხოვა ი. პ-ს გამართლება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებაში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

5.1. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა პროკურორმა ანი ხახანაშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 3 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

6.1. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შეწყდა ი. პ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის;

6.2. ი. პ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

6.4. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ი. პ-ს გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

6.5. ი. პ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო სამუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლება; 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

6.6. ი. პ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2020 წლის 14 სექტემბრიდან.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა ანი ხახანაშვილმა, რომელიც ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და ი. პ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

8. პროკურორის საკასაციო საჩივრაშვილი შესაგებელი წარმოადგინა მსჯავრდებულის ადვოკატმა ს. ჯ-მ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

9. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე პროკურორებმა ნუგზარჭიტაძემ და თამარ ბეჟუაშვილმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივრას და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

10. დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრას და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება, როგორც კვალიფიკირის, ისე სასჯელის ნაწილში.

10.1. იმავდროულად ადვოკატმა იშუამდგომლა, რომ საქმეს დაერთოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებები. ასევე განმარტა, რომ მისი შეფასებით განსახილველ შემთხვევაში ადგილი პქნდა დანაშაულის პროცეგაციას, ნარკოტიკული საშუალების როგორც გასაღების, ისე შეძენა-შენახვის ნაწილში, თუმცა, ვინაიდან ი. პ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, საბოლოო სიტყვის ეტაპზე, თავი დამნაშავედ ცნო ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ნაწილში, ის, როგორც ადვოკატი იზიარებს (მიჰყება) მსჯავრდებულის პოზიციას, შესაბამისად, დაცვის მხარის მოთხოვნა პირველი ინსტანციიდან მოყოლებული არის ის, რომ ი. პ-ს არ ჩაუდე-

ნია ნარკოტიკული საშუალების გასაღება, რაც ადვოკატის პოზიციით გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ და ო. პ-ი გაამართლა ნარკოტიკული საშუალების გასაღებაში, იმ საფუძვლით, რომ საქმეში არ იყო ნარმოდგენილი საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, ასევე მიუთითა შ. ა-ზე, როგორც დაინტერესებულ პირზე და იმავდროულად – დანაშაულის შესაძლო პროცესუაციაზე („ძალიან წააგავს დანაშაულის პროცესუაციაზა“). ადვოკატმა ს. ჯ-მ ასევე აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლოთან და გადაწყვეტილებებთან, კერძოდ, ის არ ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას ან/და მის დამატებით ოქმს/ოქმებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს, შესაბამისად, დაცვის მხარის მტკიცება დანაშაულის შესაძლო პროცესუაციასთან დაკავშირებით მიერმართება ნარკოტიკული საშუალების მხოლოდ გასაღების წანილს (რაშიც მსჯავრდებული გამართლებულია და შესაბამისად, დაცვის მხარეს არ ჰქონდა ამ წანილში საკასაციო საჩივრის წარმოდგენის შესაძლებლობა, ხოლო ბრალდების სხვა წანილში მსჯავრდებას ეთანხმება) და აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ადვოკატი ამ საფუძვლით (დანაშაულის შესაძლო პროცესუაციით) ითხოვს ო. პ-ს სრულად გამართლებას და ამით ეწინააღმდეგება გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

### **სამოტივაციო წანილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასაღები, შეამოწმა საქართველოს გენერალური პროკურატურის შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ანი ხახანაშვილის საკასაციო საჩივრის საფუძლიანობა და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის განაჩენი.
2. დაცვის მხარის მუამდგომლობასთან (საქმეს დაერთოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები) დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-71-ე მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 273-ე მუხლს;
- 2.1. სასამართლო ასევე ითვალისწინებს ზედა ინსტანციის სა-

სამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., Gorou v. Greece (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

3. საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარე ითხოვს ი. პ-ს დამნაშავედ ცნობას თავდაპირველი კვალიფიკაციით – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ხოლო დაცვის მხარე ეთანხმება სააპლაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, ი. პ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. შესაბამისად, მხარეებს შორის დავის საგანის საკითხის გაკვეთა – საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელი დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა ი. პ-მა. იმავდროულად, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში სასამართლოს განხილვის საგანს არ ნარმოადენს შ. ა-ს მხრიდან დანაშაულის პროცესუალის შესაძლებლობა.

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით ი. პ-ს დამნაშავედ ცნობის თაობაზე და იზიარებს გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ მსჯავრდებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. იმ საკითხის გასარკვევად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელი ქმედება ჩაიდინა ი. პ-მა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეებს შორის დავის საგანი მიემართება – 2020 წლის 27 აგვისტოს ი. პ-ს მიერ შ. ა-სათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტს.

4.2. სასამართლო სხდომაზე მოწმე შ. ა-მა განმარტა, რომ შემთხვევით შეხვდა ი. პ-ს, რომელიც დაპირდა, რომ მიჰყიდიდა ნარკოტიკულ საშუალებას. შ. ა-მა მას გამოართვა ტელეფონის ნომერი, შემდეგ კი ნებაყოფლობით მიმართა განცხადებით პოლიციას

და მიაწოდა ინფორმაცია ი. პ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების თაობაზე. ასევე თანხმობა განაცხადა სამართალდამცავებთან თანამშრომლობაზე, რის შემდეგაც აღჭურვეს სათვალთვალო ვიდეოკამერით და გადასცეს ნარკოტიკული საშუალების შესაძენად 550 ლარი. 2020 წლის 27 აგვისტოს დაუკავშირდა ი. პ-ს, სათანადოდ აღჭურვილი ავტომობილით გაუარა მას და უთხრა, რომ ნარკოტიკული საშუალების შეძენა სურდა. ი. პ-ი ავტომანქანაში მძღოლის გვერდით არსებულ სავარძელზე დაჯდა. შ. ა-მა 550 ლარი გადასცა მსჯავრდებულს, რომელმაც თანხა ჩადო თამბაქოს ყუთში და კონკრეტულ ადგილზე – სოფელ ფ-სი, ც-ის ქუჩა №... მიმდებარე ტერიტორიაზე ისროლა ღობის მეორე მხარეს. ცოტა ხნის შემდეგ ი. პ-მა ტელეფონით მიიღო შეტყობინება. ავტომანქანით დაბრუნდნენ იმავე ადგილას, ი. პ-ი გადავიდა, ავტომანქანიდან, აიღო თამბაქოს ყუთში მოთავსებული ნარკოტიკული საშუალება, ჩაჯდა ავტომანქანაში და ხელში გადასცა ერთი ცალი, ღია ფერის პოლიეთილენის პაკეტის წონაკი, მეორე წონაკზე კი უთხრა, რომ იყო თავისი. მოწმემ დაადასტურა, რომ ავტომანქანაში მათ გარდა სხვა პირი არ იმყოფებოდა. ი. პ-ს ავტომანქანიდან გადასვლის შემდეგ კი გზა განაგრძო და რ-ს გზატკეცილის №..ის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებს გადასცა მსჯავრდებულისაგან შეძენილი ნარკოტიკული საშუალება, რომელიც დაიღუქა. ასევე შედგა სათანადო ოქმი, რომელსაც მოაწერა ხელი. ადვოკატის კითხვაზე მოწმემ უპასუხა, რომ: ის თავადაც არის ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი და მას ი. პ-თან ერთად მოუხმარია ნარკოტიკული საშუალება; ადრეც უთანამშრომლია სამართალდამცავ ორგანოებთან და კიდევ ითანამშრომლებს; მის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება ნარკოტიკული დანაშაულისათვის.

4.3. ამოლების ოქმის თანახმად, 2020 წლის 27 აგვისტოს ქ. თ..., რ-ს გ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ. ა-სგან ამოიღეს მის მიერ გამოძიებისთვის ხებაყოფლობით წარდგენილი ერთი ცალი, ღია ფერის პოლიეთილენის პარკის წონაკი, თავზე მიკრული მოშავო ფერის ძაფით, მასში არსებული მუქი ფერის ნივთიერებით.

4.4. ქიმიური ექსპერტიზის 2020 წლის 31 აგვისტოს დასკვნის თანახმად, შ. ა-სგან ამოღებული, შავი ძაფით თავმოკრულ თეთრ პოლიეთილენის ნაჭერში ერთ ცალად გახვეული, მოყავისფრო ფხვნილისებრი ნივთიერება ნოტიო მდგომარეობაში, წონით ნოტიო მდგომარეობაში – 3,47 გრამი, ხოლო გამოშრობის შემდეგ წონით – 2,61 გრამი, წარმოადგენს „კერონის“ შემცველ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ რაოდენობაა – 0,699 გრამი.

4.5. გამომძიებელმა ჯ. ტ-მ დაადასტურა, რომ ამოილო პოლიე-  
თილენის პარკში გახვეული ნივთიერება, რომელიც შ. ა-მა ნება-  
ყოფლობით წარადგინა. ასევე განმარტა, რომ მიმდინარეობდა შ. ა-  
ს სრული ვიზუალური კონტროლი, როგორც საკონტროლო შესყიდ-  
ვამდე, ისე – საკონტროლო შესყიდვის მიმდინარეობისას და შემ-  
დეგ, ნარკოტიკული საშუალების ამოღების ჩათვლით. შ. ა-ს ავტო-  
მანქანაში და მათ ახლოს მიმდებარე ტერიტორიაზე უცხო პირი არ  
შეუნიშნავს.

4.6. გამომძიებელმა ლ. გ-მა განმარტა, რომ 2020 წლის 26 აგვის-  
ტოს შ. ა-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება ი. პ-ს მი-  
ერ ნარკოტიკულ საშუალების უკანონო შეძენა, შენახვისა და გა-  
სალების ფაქტებზე. მოსამართლის განჩინების საფუძველზე შ. ა.  
აღიჭურვა შესაბამისი მოწყობილობით, ასევე გადაეცა 550 ლარი,  
რის შემდეგაც მონაწილეობდა ი. პ-სგან ნარკოტიკული საშუალე-  
ბის საკონტროლო შესყიდვაში. ნარკოტიკული საშუალება სამარ-  
თალდამცავებმა დაუყოვნებლივ ამოიღეს. მოწმემ ასევე დაადას-  
ტურა, რომ საკონტროლო შესყიდვა მიმდინარეობდა პოლიციის  
თანამშრომლების სრული ვიზუალური კონტროლით.

4.7. სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა ი. პ-მა განმარ-  
ტა, რომ არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი და ჩარ-  
თული იყო მეთადონის პროგრამაში. მას ადრეც, პირადი მოხმარე-  
ბის მიზნით, შ. ა-თან ერთად შეუძენია და იქვე მოუხმარია ნარკო-  
ტიკული საშუალება. შ. ა. დაუკავშირდა მობილურ ტელეფონზე და  
კვლავ სთხოვა ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარება.  
ისინი იმავე დღეს წავიდნენ ფ-ში. იქიდან გამომდინარე, რომ შ. ა.  
ავტომანქანას მართავდა, გამყიდველს, ვინმე – „ა., რომლის ნომე-  
რიც თავად შ. ა-მა მისცა, თავად ეკონტაქტებოდა ტელეფონის სა-  
შუალებით. შ. ა-მა ასევე მიაწოდა თანხა, რომელიც მას არ დაუთ-  
ვლია და გადააგდო ავტომანქანიდან კონკრეტულ ადგილას, სადაც  
დაბრუნდნენ შეტყობინების მიღების შემდეგ ნარკოტიკული სა-  
შუალების ასალებად. მათ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება გა-  
ინაწილეს და დაშორდნენ ერთმანეთს. მსჯავრდებულმა დაადას-  
ტურა, რომ მას არანაირი გასაღების მიზანი არ ჰქონია.

5. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწი-  
ნებს, რომ საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახ-  
მად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერ-  
თმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებუ-  
ლებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადას-  
ტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი  
საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფი-  
რებელ გარემოებასთან მიმართებით.

6. მოცემულ შემთხვევაში იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ი. პ-მა გამოთქვა სურვილი და შ. ა-ზე გაასაღა ნარკოტიკული საშუალება, წარმოდგენილია მხოლოდ მოწმე შ. ა-ს ჩვენება, კერძოდ, მან განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც შემთხვევით შეხვდა ი. პ-ს, რომელიც დაპარიდა, რომ მიყიდიდა ნარკოტიკულ საშუალებას, შ. ა-მა ითანამშრომლა საგამოძიებო ორგანისათან და ჩაერთო საკონტროლო შესყიდვაში. აღნიშნული მოწმის ჩვენების შეფასებისას საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მის განმარტებებზე ადვოკატის მიერ დასმულ კითხვებზე, რომ: ის თავადაც არის ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი და მას ი. პ-თან ერთად მოუხმარია ნარკოტიკული საშუალება; ადრეც უთანამშრომლია სამართლდამცავ ორგანოებთან და კიდევ ითანამშრომლებს; მის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის ნარმოება ნარკოტიკული დანაშაულისათვის.

7. იმ პირობებში, როდესაც მოწმე შ. ა-ს განმარტებით, საკონტროლო შესყიდვის დაგეგმვის ფარგლებში, 2020 წლის 27 აგვისტოს დაუკავშირდა ი. პ-ს და უთხრა, რომ ნარკოტიკული საშუალების შეძენა სურდა, ხოლო საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, თუ რა შინაარსის შეთანხმება შედგა ი. პ-სა და შ. ა-ს შორის უშუალოდ ნარკოტიკული საშუალების შეძენასთან დაკავშირებით (ასევე – „გამოძიებით დაუდგენელ“ გამსალებელსა და ი. პ-ს შორის (ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში)); საქმეში წარმოდგენილი ვიდეოჩანანერისა და კრებსების გათვალისწინებით, მათ შორის, მის მხედველობაში მიღებით, რომ არ დგინდება რომ ი. პ-ს გააჩნდა რამე ინტერესი შ. ა-ს მიერ მიტანილი ფულადი თანხის – 550 ლარის – მიმართ, ვინაიდან ფარული ჩანანერითა და შესაბამისი კრებსებით დასტურდება, რომ ავტომობილში ჩაჯდომის შემდეგ შ. ა-მა ი. პ-ს მისუა 550 ლარი, რომელიც მოგვიანებით მოათავსეს თამბაქოს ყუთში და ი. პ-მა გადაგდონ ავტომანქანის ფანჯრიდან (თანხის ამ ოდენობით გადახდის ფაქტი სადავოდ არ გამსდარა მხარეთა მიერ), ასევე იმ მიზნის გათვალისწინებით, რომელიც ამოძრავებდა ი. პ-ს ფულის გადაგდების და შემდეგ ნარკოტიკული საშუალების მანქანაში შემოტანისას; ი. პ-ს მიერ ნარკოტიკული ნივთიერების დაუფლებიდან შ. ა-სათვის გადაცემამდე დროის მონაკვეთის და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ი. პ-მა ფული გადააგდო და ნარკოტიკული საშუალების ასაღებად მანქანიდან გადავიდა შ. ა-თან შეთანხმებით, – საკასაციო სასამართლო იზიარებს საპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ ი. პ-ს მიერ შ. ა-ს მიერ მიცემული ფულის ფანჯრიდან გადაგდება (როგორც ნარკოტიკის შესაძნად ფულის გადახდის ფორმა), ხოლო შემდეგ ნარკოტიკული საშუალების აღება,

ავტომანქანაში შემოტანა და შ. ა-სთვის ხელში გადაცემა, ვერ ჩაითვლება მის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღებად.

8. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ: ი. პ-ს მიერ შ. ა-სათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემა ავტომატურად ნიშნავს, რომ მან ნარკოტიკული საშუალება გაასაძა; ნარკოტიკული საშუალების ხელიდან ხელში გადაცემა გამორიცხავს – ნარკოტიკული სამუალების შეძენაში დახმარებას. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვიდეოჩანაწერისა და კრებსების თანახმად, ი. პ-ი და შ. ა. დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს და ჰყავთ ბევრი საერთო ნაცნობი, ხოლო მათი საუბარი შეეხბა, მათ შორის – ნარკოტიკული საშუალების შეძენას. ამასთან, შ.- ა. ი. პ-ს ეუბნება: „დღეს კიდევ ავიღებთ, რა, მერე, ერთ სამ ცალს. ჯერ ძმაკაცებს ვუღებ, რომ გაიგეს 900-ებში იღებენ. ისე, შენ მაგარი წესიერი ბიჭი ხარ, შენს მაგივრად სხვა 700-ებში...“, რაზეც ი. პ-ი პასუხობს: „მე ეგეთი რამე არ შემიძლია. ვინც ყიდულობს, ყველას ვეუბნები – ნამოდით აგერ ძმაო, ნახეთ, რა, როგორ, რანაირად. ზედმეტად, ხომ იცი არ მიზდა“. ასევე, ნარკოტიკული საშუალებით ავტომანქანაში დაბრუნებულმა ი. პ-მა შ. ა-ს უთხრა – „ნახე რას მჩუქნის“.

9. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარეს არ დაუდგენია თუ ვინ არის ის პირი, ვის-თანაც მივიდა ი. პ-ი შ. ა-თან ერთად ნარკოტიკული საშუალების შესაძენად, მაშინ, როცა საქმეში ნარმოდგენილი ვიდეოჩანაწერისა და შ. ა-ს ჩვენების თანახმად, ი. პ-მა შ. ა-ს მიერ გადაცემულ ფულადი თანხა გადააგდო კონკრეტულ მისამართზე (იქვე განმარტა – „აქ ცხოვრობს თვითონ“), სადაც ცოტა ხანში დაბრუნდნენ ნარკოტიკული საშუალების მისაღებად. ვიდეოჩანაწერის თანახმად, ი. პ-ი გადავიდა აგტომანქანიდან, დაიძახა სახელი და დაბრუნდა ნარკოტიკულული საშუალებით – დიდი შეკვრა მისცა შ. ა-ს, ხოლო პატარა შეკვრა დაიტოვა თავად და შ. ა-ს უთხრა – „ნახე რას მჩუქნის“.

10. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება ი. პ-ს მიერ შ. ა-ზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, თუმცა გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ი. პ-მა შ. ა-ს, მისივე თხოვნით, ხელი შეუწყო და მასაც დაეხმარა ნარკოტიკული საშუალების შეძენაში, კერძოდ, მასთან ერთად ნავიდა ფ-სი ნარკოტიკის საყიდლად.

11. შესაბამისად, უსაფუძვლოა პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებული ი. პ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით ნარ-დგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობის შესახებ; სააპელაციო

სასამართლომ ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფა-  
სა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ი. პ-ი უდანაშაულოდ  
ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-  
ქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მსჯავ-  
რი დასდო საქართველოს სსკ-ის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“  
ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

12. ბრალდების მხარის მტკიცება, რომ ი. პ-მა ჩაიდინა – დიდი  
ოდენობით ნარკოტიკული სამუალების უკანონო შეძენა, შენახვა  
და გასაღება არის ვარაუდი, საკასაციო სასამართლო კი ითვალის-  
წინებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის  
იმპერატიულ დანაწესს, ასევე საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის,  
259-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთ-  
ხოვნებს და მიაჩინა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულე-  
ბებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ი. პ-ს  
მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და მე-5  
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი  
ქმედების ჩადენა; სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული  
ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები  
სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეა-  
ფასა და ი. პ-ს მსჯავრი დასდო საქართველოს სსკ-ის 25,260-ე მუხ-  
ლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაუ-  
ლის ჩადენისათვის.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სამართლიანი სასამარ-  
თლოს უფლება სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთი-  
თონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მი-  
ღებისას. „ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს  
სადაც გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და ის უნდა  
განისაზღვროს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინე-  
ბით..... ზემოაღნიშნული ვალდებულება არ მოითხოვს მომჩინე-  
ბის მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის  
გაცემს (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011).  
გადაწყვეტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ განხილულ იქნა  
საქმის არსებითი საკითხები (Lobzhanidze and Peradze v. Georgia, nos.  
21447/11, 35839/11, §§65,66, ECtHR, 27/02/2020).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-  
ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნ-  
ქტით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის შსს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ანი ხახანაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის განაჩენი ი. პ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სისხლისსამართლებრივი დეპინის შეცვების შესახებ განრიცხვის უცვლელად და ადგენერაცია

### განრიცხვა საქართველოს სახელი

№227აპ-23

5 მაისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი დოლაკიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 თებერვლის განჩინებაზე, რომლითაც ბ. ა-ს ინტერესების დამცველის – ნ. ს-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ბ. ა-ს მიმართ შეწყდა სისხლის-სამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და გათავისუფლდა ამ საქმეზე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ა-ს ბრალად ედებოდა:

1.1. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსა-

წინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, იმის მიერ, ვინც ნასა-მართლებია ამ მუხლის მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნატით;

1.2. ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით;

1.3. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42<sup>10</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისავის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 248<sup>11</sup>-ე მუხლით.

## 2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით პ. ა-ს მიერ ჩა-დენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2020 წლის 10 სექტემბრის მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით გასამართლებულმა პ. ა-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს – სროლისათვის ვარგის, კუსტარული წესით დამზადებულ პისტოლეტს და საბრძოლო მასალას – გამოსაყენებლად ვარგისს 5 ცალ ქარხნული წესით დამზადებულ 9X18 მმ კალიბრიან ვაზნას, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და, რაც 2021 წლის 4 აპრილს მ-ს რაიონის სოფელ ძ-ში პ. ა-ის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მ-ს რაიონული სამმართველოს მ-ს პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა.

2.2. 2020 წლის 10 სექტემბერის მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენით პ. ა. ცნობილ იქნა დამწაშვედ საქართველოს სსკ-ის 273<sup>12</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 3 წლით ჩამოერთვა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება. მიუხედავად აღნიშნულისა პ. ა-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს – სროლისათვის ვარგის, კუსტარული წესით დამზადებულ პისტოლეტს და საბრძოლო მასალას – გამოსაყენებლად ვარგისს 5 ცალ ქარხნული წესით

დამზადებულ 9X18 მმ კალიბრიან ვაზნას, რომლებსაც მართლსა-ნინააღმდეგოდ ატარებდა და, რაც 2021 წლის 4 აპრილს ბ. ა-ს პი-რადი ჩხერევისას ამოილეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მ-ს რაი-ონული სამმართველოს მ-ს პოლიციის განყოფილების თანამშრომ-ლებმა.

3.3. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 453-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართვე-ლოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამ-ტკიცდა იზოლაციისა და კარანტინის წესები, რომლის მე-2 მუხ-ლის მე-6<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, „საცხოვრებელ ადგილზე მოსახლე-ობის დარჩენის უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მთელ ტერიტორია-ზე აიკრძალა 21:00 საათიდან 05:00 საათამდე პირთა გადაადგილე-ბა, როგორც ქვეითად, ისე სატრანსპორტო საშუალებით, ასევე სა-ჯარო სივრცეში ყოფნა“. ბ. ა. 2021 წლის 13 იანვარს დაჯარიმებულ იქნა ზემოთ მითითებულ იზოლაციის წესის დარღვევისათვის სა-ქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42<sup>10</sup>-ე მუხლით. მიუხედავად ამისა, იზოლაციის წესის დარღვევი-სათვის ადმინისტრაციულსახდელდადებულმა პირმა ბ. ა-მ კვლავ დაარღვია იზოლაციის წესი და 2021 წლის 4 აპრილს, დაახლოებით 03:00 საათზე, ქვეითად მოძრაობდა მ-ს რაიონის სოფელ ძ-ში, რა დროსაც დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 1 დეკემ-ბრის განაჩენით ბ. ა. ცონბილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვე-პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით;

3.2. საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

3.3. საქართველოს სსკ-ის 248<sup>11</sup>-ე მუხლით – თავისუფლების აღ-კვეთა 1 წლით – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 7 სექტემბრის კანონის საფუძველზე ბ. ა. გათავისუფლდა დანიშნუ-ლი სასჯელისგან;

3.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ბ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლე-ბის აღკვეთა 9 წლით;

3.5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამი-სად, გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 სექ-ტემბრის განაჩენით ბ. ა-ს მიმართ დანიშნული პირობითი სასჯე-ლი;

3.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამი-

სად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 სექტემბრის განაჩენით პ. ა-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ პ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.7. პ. ა-ს მიმართ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის განჩინებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა – გაუქმდა;

3.8. პ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების დღიდან – 2021 წლის 4 აპრილიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. ა-ს ადვოკატმა 6. ს-მ, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულის გამართლება.

4.1. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა პროკურორმა გიორგი დოლაკიძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრდებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით პ. ა-ს ინტერესების დამცველი 6. ს-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა;

5.1. პ. ა-ს მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

5.2. ცნობად იქნა მიღებული, რომ პ. ა-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

5.3. პ. ა-ს დაენიშნა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა და მკურნალობის ჩატარების მიზნით მოთავსდა სტაციონარში – შპს ...ის სახელობის ... ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (...) 4 წლით;

5.4. იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების მიზნით პ. ა-ს სტაციონარში მოთავსების ვადა აითვალა მისი სტაციონარში – შპს ... სახელობის ... ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (...) მოთავსების მომენტიდან. ცნობად იქნა მიღებული, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში პ. ა. დღეისათვის უკვე მოთავსებულია აღნიშნულ ცენტრში;

5.5. იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შენყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, „... ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 221-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება ამავე კანონით დადგენილ წესით.

6. სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა პროეუ-  
რორმა გიორგი დოლაკიძემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩი-  
ნების – ბ. ა-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტი-  
სა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების შესა-  
ხებ, – გაუქმება, იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამარ-  
თლოში საქმის განხილვისას ეჭვებეშ არ დამდგარა ბ. ა-ს შერაცხა-  
დობის საკითხი, ხოლო მას შემდეგ, რაც დაცვის მხარემ სააპელა-  
ციო სასამართლოში წარმოადგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც,  
ბ. ა. ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დროს იყო შეურაცხა-  
დი, ბრალდების მხარემ დანიშნა ფსიქიატრიული ექსპერტიზა,  
თუმცა სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სისხლისსა-  
მართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიიღო მხოლოდ დაც-  
ვის მხარის მიერ წარდგენილი ფსიქიატრიული ექსპერტიზის დას-  
კვნის საფუძველზე. აღნიშნულით დაირღვა საქართველოს სსსკ-  
ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი (სისხლისსამართლებ-  
რივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორ-  
ციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძ-  
ველზე).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარ-  
მოდგენილი საკასაციო საჩივარი და მიაჩინა, რომ მცხეთის რაიო-  
ნული პროეურატურის პროეურორ გიორგი დოლაკიძის საკასაციო  
საჩივარი ბ. ა-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვე-  
ტისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების შე-  
სახებ განჩინების გაუქმების შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილდეს  
და გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-  
თლოს გადაწყვეტილებას – ბ. ა-ს მიმართ სისხლისსამართლებ-  
რივი დევნის შეწყვეტის თაობაზე და ითვალისწინებს, რომ:

2.1. საქართველოს სსკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-  
ნახმად, საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული მართლსაწინა-  
ალმდევგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედე-  
ბის ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსი-  
ქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური  
დაავადების გამო არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების  
ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვა-  
ნელა მისთვის;

2.2. საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-  
პუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა და-  
იწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ პირი დანაშა-

ულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით;

2.3. საქართველოს სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისამართლებრივ დევნის. ამასთანვე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 221-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი.

2.4. საქართველოს სსსკ-ის 107-ე მუხლის თანახმად, განჩინება სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა; სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ამ მუხლით გათვალისწინებულ საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

2.5. მოცემულ შემთხვევაში 2022 წლის 11 აპრილის მსჯავრდებულის ადვოკატმა ნ. ს-მ წარადგინა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლითაც დასტურდება სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ბ. ა-ს შეურაცხადობა, რაც იყო საფუძველი იმისათვის, რომ განსახილველი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მხარეს დაენიშნა ექსპერტიზა, რათა გარკვეულიყო მსჯავრდებულის შერაცხადობის საკითხი კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით.

2.6. 2022 წლის 22 ნოემბერს ადვოკატმა ნ. ს-მ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა ფსიქიატრიული ჯანმრთელობის და ნაკრებმანის პრევენციის ცენტრის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლის თანახმად, მათ შორის, ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს, 2021 წლის 4 აპრილს, ბ. ა. დაავადებული იყო დაუზუსტებელი არაორგანული ფსიქოზით და მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტორივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისით (შეურაცხადობა). ამჟამად თავისი, ფსიქიკური მდგომარეობით ბ. ა-ს არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ბ. ა. დაავადებულია იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით ბ. ა-ს არ შეუძლია ჩვენების მიცემა და სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება. თავისი ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის

რისკის ხარისხის მიხედვით პ. ა. წარმოადგენს სოციალურ საშიშ-როებას და იგი საჭიროებს იძულებითი მქურნალობის გაგრძელებას, „აკად. ... სახელობის ... ცენტრში“ (...).

2.6.1. აღნიშნული დასკვნის სისწორე და კატეგორიულობა, საა-პელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას დაადასტუ-რეს მისამ შემდგენმა ექსპერტებმა: ხ. ჭ-მ და ხ. დ-მ.

3. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ არსებული გა-რემოებების მიუხედავად ბრალდების მხარემ სააპელაციო სასა-მართლოში, მათ შორის – ადვოკატის მიერ 2022 წლის 11 აპრილს სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნის წარ-მოდგენის შემდეგ, 2022 წლის 19 სექტემბერს გამართულ სასამარ-თლო სხდომაზე, დააფიქსირა პოზიცია, რომ არ არსებობდა განსა-ხილველი საქმის ფარგლებში სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერ-ტიზის ჩატარების საჭიროება (00:03:15) და სსიპ ლევან სამხარაუ-ლის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ფსიქოლოგიუ-რი, ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით მიმარ-თა მხოლოდ 2023 წლის 30 იანვარს (არ დაკავშირდების მხარის შუამდგომლობა, საქმეს ცნობის სახით დაერთო ბრალ-დების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე), მაშინ, როცა მსჯავრდებულის ჯანმრთელო-ბის მდგომარეობის შემოწმების საფუძველი წარმოიშვა ჯერ კი-დევ 2022 წლის აპრილში, როდესაც სხვა სისხლის სამართლის საქ-მის გამოძიების პროცესში დადგინდა პ. ა-ს შეურაცხადობა.

3.1. მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით კასატორის პოზიციასთან მიმართებით სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლისსამარ-თლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცე-სი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე და მხარეს უფლება აქვს, დადგენილი წესით დააყე-ნოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამო-ითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკი-ცებულება. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცება, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სის-ხლისსამართლებრივი დევნის შენცვეტის შესახებ მიიღო მხოლოდ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ფსიქიატრიული ექსპერტი-ზის დასკვნის საფუძველზე და, იმავდროულად, ბრალდების მხა-რეს არ მისცა საშუალება სასამართლოში წარმოედგინა ალტერნა-ტიული ექსპერტიზა. სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნუ-ლი უფლებით ბრალდების მხარემ არ ისარგებლა ექსპერტიზის ჩა-ტარების საფუძვლის წარმოშობისთანავე/გონივრულ ვადებში და იგი დანიშნა დაგვიანებით; 2023 წლის 30 იანვარს თბილისის სააპე-

ლაციო სასამართლოს სხდომა გადაიდო 2023 წლის 27 თებერვლამდე (პროკურორმა განაცხადა, რომ ექსპერტიზის დასკვნის მოპოვებას დასჭირდებოდა დაახლოებით 1 თვე, რადგან მსჯავრდებული იმყოფებოდა სტაციონარში (11:20:31)). ბრალდების მხარეს დასკვნა არ წარმოუდგენია ამ (საკასაციო სასამართლში გადატყვეტილების მიღების) დრომდე – (საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილების მიღების შემოვიდა – 2023 წლის 13 მარტს).

3.2. ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში წარმოდგენილია პ. ა-ს მიმართ წარმოებულ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარებული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების დასკვნები (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის .. აპრილის სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის..... მაისის ამბულატორიული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნა; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის .. სექტემბრის ამბულატორიული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნა) და ყველა შემთხვევაში დადგენილია პ. ა-ს შეურაცხადობა, ასევე არ არსებობს რაიმე ობიექტური გარემოება ამბულატორიული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნის ობიექტურობაში ეჭვის შესატანად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩიავრი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 თებერვლის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 34-ე, საქართველოს სსსკ-ის 105-ე, 107-ე, 191-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი დოლავიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. აცლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასიცვის წესი**

**აცლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის  
გადასიცვის თაობაზე შუამდგომლობის დაუშვებლად  
ცოცხის შესახებ განიხილოს გაუძვება და სასაკალაფიო  
სასამართლოსთვის მითითება – დაუშვას  
შუამდგომლობა**

### **განიხილა საქართველოს სახელით**

№43აგ-22

28 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
ლ. ფაფუაშვილი (თავმჯდომარე),  
შ. თადუმაძე,  
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ო-ს საკა-  
საციონ საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინე-  
ბაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 1 ივლისის  
განაჩენით კ. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ  
და ზომად განესაზღვრა:

1.1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში  
– საქართველოს სსკ-ის) 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“  
ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

1.2. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვე-  
პუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძ-  
ველზე თანაბარი სასჯელებიდან ერთმა სასჯელმა შთანთქა მეო-  
რე სასჯელი და კ. ო-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სა-  
ხედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

1.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძ-  
ველზე გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7  
ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, საქარ-

თველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, კ. ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

1.5. მსჯავრდებულ კ. ო-ს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექნის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობის უფლება;

1.6. კ. ო-ს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და მისი მოხდის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2019 წლის 3 ოქტომბრიდან.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 28 მაისის განაჩენით დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ვახტანგ ჭუმბურიძის სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; მსჯავრდებულების – გ. და კ. ო-ების ადვოკატის – ი. ჯ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა;

2.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 1 ივლისის განაჩენში შევიდა ცვლილება და კ. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე თანაბარი სასჯელებიდან ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე სასჯელი და კ. ო-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნული პირობით მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და ჯარიმა – 130,84 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, კ. ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით და ჯარიმა – 130,84 ლარი;

2.2. მსჯავრდებულ კ. ო-ს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბოუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება, 10 წლით – იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება, ხოლო 15 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და ნარმომადგენლობის უფლება;

2.3. კ. ო-ს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში და მისი მოხდის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2019 წლის 3 ოქტომბრიდან.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 9 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულების – კ. და გ. ო-ების ინტერესების დამცველი ადვოკატის – ი. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა კ. ო-მ, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის 2013 წლის 5 აპრილის განაჩენების გადასინჯვა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულ კ. ო-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 11 ოქტომ-

ბრის განჩინებით მსჯავრდებულ კ. ო-ს შუამდგომლობა გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ დაკმაყოფილდა და აღდგენილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრების გაცდენილი ვადა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ო-ზ, რომელიც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მის მიმართ გამოტანილი განაჩენების გადასინჯვას. კასატორის მტკიცებით სადაცო – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტისა და 2013 წლის 5 აპრილის განაჩენებით დადგენილი, მის მიერ ჩადენილი ქმედებები, დღეის მდგომარეობით აღარ წარმოადგენს დანაშაულს, მსჯავრდებული ითხოვს ნასამართლობის მოხსნას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) ამომწურავად განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძვლებს და ადგენს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი, ხოლო „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, – იმ შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

3. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებული ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის განაჩენების გადასინჯვას/გაუქმებას.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის გა-

ნაჩენით კ. ო. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 3 თვით განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი სასჯელის ნაწილი – 9 თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით 1 წლისა და 9 თვის გამოსაცდელი ვადით;

4.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის) განაჩენის თანახმად, კ. ო-ს ბრალი ედებოდა და მსჯავრი დაედო – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, კერძოდ, მას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების „ოპიუმის ჯგუფის ალკალინ-დების“ (მორფინი) უკანონო მოხმარებისათვის. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განაჩენით კ. ო-ს მსჯავრი დაედო „ოპიუმის ჯგუფის ალკალინ-დების“ (მორფინის) უკანონო მოხმარებისათვის, აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით კი კ. ო-ს მსჯავრდების შემდეგ, რაიმე ცვლილება, რაც გააუჯობესებდა მსჯავრდებულის სამართლებრივ მდგომარეობას არ განხორციელებულა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის განაჩენით კ. ო. ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – ამავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 6 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო დარჩენილი 4 წელი და 6 თვე ჩაეთვალა პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 5 წელი და 6 თვე; საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით – ჯარიმა 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და საბოლოოდ, კ. ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარი და თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 6 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდე-

ლად, ხოლო დარჩენილი 4 წელი და 6 თვე ჩაეთვალა პირობით და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 5 წელი და 6 თვე.

5.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის) განაჩენით კ. ო-ს ბრალი ედებოდა და მსჯავრი დაედო – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული რომელი-მე დანაშაული, ასევე ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, კერძოდ, მას მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით – 0,0001942 გრამი ნარკოტიკული საშუალება – დეზომორფინისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – დიჰიდრომორფინის უკანონო შეძენა-შენახვისათვის და ოპიუ-მის ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის.

5.1.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორები-სა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონს, რომლის თანახმად, დღეის მდგომარეობით 0,001 გრამამდე დეზო-მორფინი (მითითებული ოდენობის ჩათვლით) ითვლება მცირე ოდე-ნობად, ხოლო აღნიშნულ ინდენბაზე მეტი, 0,01 ოდენობამდე (მი-თითებული ოდენობის ჩათვლით), ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ინდენბად, შესაბამისად, ვერ გაიზია-რებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან კ. ო-ს ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინის შეძენა-შენახვასთან ერთად მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუა-ლება დიჰიდრომორფინის შეძენა-შენახვისათვის, რაც დღეის მდგომარეობითაც არის დანაშაული, მსჯავრდებულ კ. ო-ს შუამ-დგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გა-დასინჯვის თაობაზე, ვერ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულ საფუძველს.

6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯვება, იმ შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენის სთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო, რასაც ადგილი აქვს მოცემულ შემთხვევაში (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის განაჩენით ნარკოტიკული საშუალება – დეზომორ-

ფინის უკანონო შენახვა-შეძენის და ექიმის დანიშნულების გარე-შე მოხმარების ნაწილში)

7. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ კ. ო. მრავალ-ჯერ არის ნასამართლევი ნარკოტიკული დანაშაულისათვის და თი-თოეული განაჩენი შემდგომი განაჩენისთვის ქმნის ისეთ მაკალი-ფიცირებლებს, როგორიცაა – დანაშაულის ჩადენა არაერთგზის ან იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინე-ბული რომელიმე დანაშაული, ასევე საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესის გათვალისწინებით, რომელიც პირდაპირ არის მითითებული, რომ ახალი კანონის არსებობა, რო-მელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისამართლებრივ პასუხის-მგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გა-დასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო ნარმოადგენს ახლად გა-მოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძ-ველს, – მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობა დაშვებულ უნდა იქნეს განსახილველად.

8. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 288-ე მუხლის დანაწესს, რომლის თა-ნახმად, ნასამართლობის მოხსნის საკითხს სასჯელმოხდილი პი-რის შუამდგომლობით განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები ან სასჯელმოხდილი პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედ-ვით რაიონული (საქალაქო) პირველი ინსტანციის სასამართლო ზე-პირი მოსმენის გარეშე.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინება უნდა გაუქმდეს და სააპელაციო სასამართლოს მიეთითოს, რომ დაუშ-ვას შუამდგომლობა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ კ. ო-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 აგვისტოს განჩინება და მიეთითოს სააპელაციო სასამართლოს, რომ დაუშვას მსჯავრდებულ კ. ო-ს შუამდგომლობა;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)